ISSN 1987-5355

#49
2014
May, June, Jule

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN




FORUM
NEW LIGHT
FAZ COLLECTION BY VONDOM - MADE IN SPAIN
www.newlight.ge
220 24 24


№1
Alpina
მაღალი
ტენიანობის მქონე
ოთახებისათვის
Alpina
ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი

AAG

Association of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

www.archias.ge

**გამომცემელი - საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია** და დიმიტრი მოსულიშვილი

**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე

**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ბეჟან ზეიკიძე.

**თარგმანი** - ნატა კურტანიძე

**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე

**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკა ჯავახიშვილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** & Dimitri Mosulishvili

**EDITOR -** Nino Laghidze

**INFORMATION -** Nino Laghidze, Bezhan Zeikidze.

**TRANSLATION -** Nata Kurtanidze

**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze

**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Eka Javakhishvili

0160 თბილისი, შარტავას ქ.#35/37
ტელ/ფაქსი: 237-52-97. მობ: 593 42-74-73; 577 44-86-00

35/37 Shartava Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 237-52 97
Mob: (+995 593) 42-74-73; (+995 577) 44-86-00,
http://www.archias.ge
http://www.archiaward.com
E-mail: laghidze.n@gmail.com

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე**
**რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველ-ყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!

# World of Steel Quality
# GEOSTEEL

შპს "ჯეოსტილი" მსოფლიო ხარისხის ფოლადის პროდუქცია

## Radioactive Radiation free World Class Re-bar
## არარადიაციული მსოფლიო კლასის არმატურა

**Only Accredited Company in Entire Caucasus Region by world's prestigious Certification Authority UK CARES**

მთელს კავკასიის რეგიონში ერთადერთი კომპანია, რომელიც აკრედიტებულია მსოფლიოს პრესტიჟული სასერტიფიკატო წარმომადგენლობის "UK CARES"-ის მიერ

- **Extra Bonding** - მეტად მყარი
- **Extra Strength** - მეტად გამძლე
- **Extra Elongation** - მეტი დრეკადობა
- **Extra Weldability** - მეტი შედუღების უნარიანობა
- **Extra Corrosion Resistance (Antirusting Properties)** - მეტად მდგრადი კოროზიის მიმართ
- **Seismic (Earthquake) Resistance** - სეისმური გამძლეობა
- **Ultimate Quality Guarantee** - უმაღლესი ხარისხის გარანტი



**Ø8mm to Ø32mm. Grade B500B as per BS4449:2005**

დავით გარეჯის 36, რუსთავი 3700, საქართველო. 36 David Gareji Street, 3700 Rustavi, Georgia.
Tel/Fax: +995 341 241007, +995 322 243795; Mob: +995 595 581390, +995 595 335943, +995 595 085762
sales@geosteel.com.ge www.geosteel.com.ge

# შპს "ჯეოსთილი" მსოფლიო ხარისხის ფოლადის პროდუქცია

## Geosteel Specification of Billet Chemistry:

## ჯეოსთილის ნამზადის ქიმიური შემადგენლობა:

| Attributes | %C | %Mn | %Si | %P | %S | %Ni | %Cr | %Cu | %Mo | %V | $N_2$(PPM) | CE |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **Min.** | 0.15 | 0.50 | 0.10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.30 |
| **Max.** | 0.24 | 0.7 | 0.20 | 0.045 | 0.045 | 0.30 | 0.30 | 0.30 | 0.10 | 0.05 | 120 | 0.42 |
| **AIM** | 0.20-0.22 | 0.55-0.65 | 0.12-0.18 | 0.035Max | 0.035Max | - | - | - | - | - | - | - |

This chemistry satisfying following international standards of rebar...

აღნიშნული ქიმიური შემადგენლობა აკმაყოფილებს მსოფლიოს შემდეგ სტანდარტებს:

| | |
|---|---|
| **BS4449:2005** | **GRADE B500B** |
| **BS4449:2005** | **GRADE B500C** |
| **EN10080:2010** | **GRADE B500B** |
| **DIN 488-2:2009-08** | **GRADE B500B** |
| **ASTM A615/615M** | **GRADE 60** |
| **GOST R52544:2006** | **GRADE A500C** |
| **GOST 10884:94** | **GRADE At500C** |
| **GOST 10884:94** | **GRADE At400C** |
| **DSTU 3760:06** | **GRADE A500C** |
| **TS708:2010** | **GRADE B420C** |
| **TS708:2010** | **GRADE B420B** |
| **TS708:2010** | **GRADE S420** |
| **IS 1786:2008** | **GRADE FE500D** |

Less variation of chemical composition leads more uniform and stable mechanical properties

პროდუქციის ქიმურ შემადგენლობაში ნაკლები ცვლილება ანიჭებს მას მეტ სიმყარეს და მექანიკურ მდგრადობას

### ჯეოსთილის პროდუქციის თვისებები

- მაქსიმალურად სუფთა ფოლადი ქიმიური შემადგენლობის და ნახშირბადის ექვივალენტის მკაცრი კონტროლით.
- EAF (ელექტრო-რკალური ღუმელი) და LRF-ში (ციცხვის ღუმელი) ორმაგი დამუშავების პროცესი ეფექტურად აშორებს ფოსფორს "P" და გოგირდს "S".
- მოწინავე TMT (თერმო-მექანიკური დამუშავება) ხაზი "თერმაქსი" უზრუნველყოფს ეფექტურ გაციების და თვით-წრთობის (QST) პროცესს.
- დამატებითი დენადობის ზღვარი ($R_e$) და წელვადობა ($A_{gt}$).
- დამატებითი ჭიმვადობის ზღვარი ($R_m$).
- საერთაშორისოდ მიღებული სპეციფიკაცია უზრუნველყოფს წიბოების ზომას და განლაგებას, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ მოჭიდების ფართობს ($f_R$).
- უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხარისხის უზრუნველყოფის ლაბორატორია უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის მკაცრ კონტროლს.

### ჯეოსთილის ხარისხის გარანტია

- თანაბარი მექანიკური თვისებები არმატურის ღეროს მთელ სიგრძეზე.
- დამატებით შედუღებითი თვისებები.
- დამატებითი ანტიკოროზიული თვისებები.
- თანაბარი მექანიკური და მეტალურგიული თვისებები არმატურის ღეროს თითოეულ მეტრში.
- დამატებითი დენადობის ზღვარი ($R_e$) და წელვადობა ($A_{gt}$).
- დამატებითი ღუნვადობა.
- უზრუნველყოფს მაღალ სეისმომედეგობას.
- უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობისთვის ფოლადის მინიმალურ გამოყენებას.
- უზრუნველყოფს ძლიერ მოჭიდულობას ფოლადის არმატურასა და ბეტონს შორის (დამატებითი მოჭიდება).
- ხარისხის გარანტია.

# QUALITY ASSURANCE PROCESS…
# პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხს





- **Quality Assurance - Ensure uniform chemistry during steel making**
  ხარისხის უზრუნველყოფა ფოლადის ჩამოყალიბების დროს საჭირრო ქიმიური შემადგენლობის მისაღებად
- **Modern ARL 3460 ADV spectrometer**
  თანამადეროვე ARL 3460 ADV სპექტომეტრი
- **26 Channel (26 element can analyzed at a time)**
  26 არხი (26 ელემენტის ერთდროული ანალიზის ფუნქცია)
- **One complete analysis took 36 seconds**
  ერთ სრულ ანალიზს სჭირდება 36 წამი
- **Online feedback to EAF during production.**
  EAF ელეტრონ-რკალური ღუმელის მუშაობის შედეგების ონლაინ რეჟიმში მიღება.
- **1 to 3 sample analysis per heat to ensure effectiveness of clean steel**
  1-დან 3-მდე საცდელი ანალიზი დნობის შესაბამისად სუფთა ლითონის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
- **Quality Assurance - Ensure uniform Mechanical Properties During Rolling**
  ხარისხის უზრუნველყოფა გლინვის პროცესში მექანიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

## UNIQUE TESTING PROCEDURE TO ENSURE UNIFORM MECHANICAL AND METALLURGICAL PROPERTIES…
## შემოწმების უნიკალური საშუალება საჭირრო მექანიკური და მეტალურგიული თვისებების უზრუნველსაყოფად.

- Tensile Testing
  წელვადობის განსაზღვრა
- Bend and Rebend Testing
  მოხრის უნარის გასაზღვრა
- Elongation (%$A_{gt}$ and $A_5$) measurement
  დრეკადობის (%$A_{gt}$ and $A_5$) გაზომვა
- Rib geometry measurement.
  წიბოს გეომეტრიული განსაზღვრა
- Relative rib area measurement.
  შედარებითი წიბოს ფართობის განსაზღვრა
- Determination of actual cross sectional area.
  არმატურის კვეთის განსაზღვრა
- Determination of mass per unit length.
  ერთეულის მთლიანი გრძივი წონის განსაზღვრა
- Macro examination of metallurgical structure
  მეტალურგიული სტრუქტურის მაკრო განსაზღვრა









# CUSTOMER CARE...
## მომხმარებლის ინტერესებზე ზრუნვა

- Uniform 12 meter length each bundle.
  თითოეული შეკვრაში გათვალისწინებულია 12 მეტრიანი სიგრძის პროდუქტის ზუსტი ზომა.
- Each bundle five equidistance wire/rebar tighten to avoid loose bundling.
  თითოეულ შეკვრას მჭიდროდ ამაგრებს 5 თანაბარი დისტანციით დაშორებული გლინულა.
- Two bundles are tied together and two wire rod hooks are provided for easy and safe handling and storage.
  ორი შეკვრა ერთად მაგრდება, ხოლო ორ ადგილზე მიმაგრებული დამჭერი (ხამუტი) საჭიროა შეკვრებზე მარტივად მოსაჭიდებლად და მათი შენახვისთვის.
- Each bundle having FIXED number of pieces by theoretical calculation to ensure GURANTEED number of pieces to our esteemed customer.
  თითოეულ შეკვრაში არის თეორიული კალკულაციით დათვლილი ღერების ფიქსირებული რაოდენობა.
- Fast delivery cycle to ensure minimum inventory at customer end.
  სწრაფი მიწოდების მექანიზმით პროდუქციის მიწოდება მომხმარებელთან ხდება დროულად და დაუყოვნებლივ.

| Ø | ნომინალური წონა (Kg/m) Nominal Weight | წონა შეკვრაში (Kg/m) Boundle Weight | ღერების რაოდენობა No of PCS |
|---|---|---|---|
| 8 | 0.395 | 2000 | 422 |
| 10 | 0.620 | 2000 | 270 |
| 12 | 0.890 | 2000 | 188 |
| 14 | 1.210 | 2000 | 138 |
| 16 | 1.580 | 2000 | 106 |
| 18 | 2.000 | 2000 | 84 |
| 20 | 2.470 | 2000 | 68 |
| 22 | 2.980 | 2000 | 56 |
| 25 | 3.850 | 2000 | 44 |
| 28 | 4.830 | 2000 | 34 |
| 32 | 6.310 | 2000 | 26 |

თითოეულ 2000 კგ.-იან შეკვრაში გარანტირებულია 12 მეტრიანი ღერების ზუსტი რაოდენობა
Guaranteed Number of 12 meter rebar in each 2000kg Th. Weight.








# Our Projects. ჩვენი პროექტები


Parliament of Georgia, Kutaisi
საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი


Orbi recidence, Batumi
ორბი რეზიდენსი, ბათუმი


Batumi technological university
ბათუმის ტექნიკური
უნივერსიტეტი


Bridge, Gori
გორის ხიდი


$M^2$ Tbilisi / თბილისი


Hotel Hilton, Batumi
სასტუმრო ჰილტონი, ბათუმი


Port Baku Residences
პორტი, ბაქო


Absheron JW Marriott Hotel, Baku
სასტუმრო აფშერონ მერიოტი, ბაქო


Airport, Kutaisi
ქუთაისის აეროპორტი


Heydar Aliyev Cultural Centre,Baku
ჰეიდარ ალიევის კულტურის ცენტრი, ბაქო

დავით გარეჯის 36, რუსთავი 3700, საქართველო. 36 David Gareji Street, 3700 Rustavi, Georgia.
Tel/Fax: +995 341 241007, +995 322 243795; Mob: +995 595 581390, +995 595 335943, +995 595 085762
sales@geosteel.com.ge www.geosteel.com.ge


www.archias.ge
AAG
STYLE
www.archias.ge
593 427 473



JUNG
"ჭკვიანი" სახლი

# www. archias.ge







„არქიტექტორთა კლუბის“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
შარტავას ქ. 35/37
ტელ./ფაქსი: +995 32 237 52 97.
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

**მზადდება წიგნის მეორე ნაწილი**

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს დაგვიკავშირდით:

e-mail: laghidze.n@gmail.com

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book

Project organizers: STYLE Magazine, Architects’ Club

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
35/37 Shartava Street, Tbilisi, Georgia;
Tel/fax: +995 32-2375297
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Tel/Fax.: +995 32 2375 297 Mob. +995 593 427 473



"MOOD DECO" COLLECTION:
NATURAL EXTENSION OF THE BRAND GIORGIO PIOTTO.





REPRESENTS THE VALUES AND THE STYLISTIC CODES TYPICAL OF THE BRAND ITSELF, WITHOUT OVERLOOKING THE ARTISAN KNOWLEDGE WHICH HAS ALWAYS CHARACTERISED ITS DETAILS.

A scenographic setting, characterised by a classic-contemporary contaminated identity and by a language with strong personality. As a talented orchestra conductor understands the opera that he is about to direct, outlining the main features and the characters, in the same way Giorgio Piotto has been able to interpret and meet the highest expectations of a refined and educated clientele with discreet luxury and chic elegance suggestions, an authentic expression of the Made in Italy. Natural extension of the brand Giorgio Piotto, "Wood Déco" represents the values and the stylistic codes typical of the brand itself, without overlooking the artisan knowledge which has always characterised its details.
The outline of the volumes of the exhibition space proposes a project of residential architecture, dressed with sophisticated materials inclined to soft tones like greys, beiges, browns and blacks ... inspired by the colours of the earth. Protagonists are the precious woods such as Ebony Makabar, Canaletto Walnut, Clear Maple and Black Tanganyika, leather inserts and steel, fine finishes involving the furniture in a continuous dialogue. Each ambience is a corner of taste that draws a map of inspiration for Architects and Interior Designers.

A table of emotions painted tracing sinuous, refined lines and exclusive design destined to stimulate creativity ... to tell a lifestyle.





სარეკლამო



GIORGIO PIOTTO

MOOD DECO
COLLECTION

WWW.GIORGIOPIOTTO.COM

AAG

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის ეგიდით", არქიტექტორთა კლუბის" და ჟურნალი STYLE-ს მხარდაჭერით ტარდება არქიტექტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალი

**29-30 სექტემბერი**

ფესტივალის მიზანია საუკეთესო პროექტების წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის განვითარების საქმეში.

**არქიტექტურის მესამე საერთაშორისო ფეს-ტივალის ფარგლებში (29-30 სექტემბერი):**

**2014 წლის 29 სექტემბერს:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 14:00 საათზე, გაიხსნება არქიტექტურისა და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი არქიტექტორები და დიზაინერები, აგრეთვე უმაღლესი არქიტექტურული სკოლების სტუდენტები.

გამოფენის სივრცეში (29 სექტემბერს) პრო-ფესიონალები (არქიტექტორები, დიზაინერე-ბი, სამშენებლო კომპანიები) ჩაატარებენ სემ-ინარებს, მასტერ-კლასებს არქიტექტურისა და დიზაინის თემებზე.

**2014 წლის 30 სექტემბერს:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 17:00 საათზე გაიმართება მე-9-ე საერთაშორისო კონკურსში - "არქიტექტურული პრემია 2014" გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოე-ბის საზეიმო ცერემონიალი.

საერთაშორისო კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2014" საცხოვრებელი თუ საზოგადოე-ბრივი სივრცის, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.

საერთაშორისო კონკურსი 2006 წლიდან ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის (http://www.archiaward.com/)

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება რეალიზე-ბული და სარეალიზაციო პროექტები და იდეები.

საერთაშორისო კონკურსზე ნამუშევრები შეფასდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (რეალიზებული)
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი (რეალიზებული)
- საცხოვრებელი ინტერიერი (რეალიზებუ-ლი)
- საზოგადოებრივი ნაგებობა (რეალიზებუ-ლი)
- საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზე-ბული)
- რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (რეალიზე-ბული)
- საპარკო არქიტექტურა (რეალიზებული)
- სტუდენტური პროექტი
- არქიტექტურული პროექტები
- ინტერიერი (პროექტი)

ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ:
http://www.archias.ge
http://www.archiaward.com


PRADA
EYEWEAR
რონიკო
Roniko



# სრულყოფილებამდე მიყვანილი წახნაგოვანი დიზაინი

## კოლექცია GROHE SPA: ონკანების ახალი ხაზი Allure Brilliant

როგორც არქიტექტურაში, ისე მრეწველობაში მზარდი პოპულარობით სარგებლობს წახნაგოვანი ფორმები. იქნება ეს თანამედროვე შენობის, ფუტურისტული ავეჯის თუ უახლესი ელექტრონული ხელსაწყოს დიზაინი, ავტორები უპირატესობას ანიჭებენ წახნაგოვან დიზაინს. მოულოდნელი კუთხეები და სივრცეში უჩვეულო განლაგება უნიკალურ და თვითმყოფად ეფექტს ქმნის. ეს თავდაჯერებული სტილი ჩვენს აბაზანებშიც შემოიჭრა GROHE-ს ონკანების ახალი ხაზის - Allure Brilliant-ის წყალობით.

### შემოქმედებითი თვითმყოფადობა

მკვეთრი კუთხოვანი ფორმების წყალობით, სააბაზანო გარნიტურის ხაზი Allure არაორაზროვნად განსაზღვრავს კოლექცია GROHE SPA-ს სტილს. თუ გაქვთ სურვილი სტანდარტული სააბაზანო ოთახი კერძო სპად აქციოთ, Allure Brilliant საუკეთესო არჩევანია. ექსტრა-კლასის დიზაინისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ვრცელი სპექტრის წყალობით, Allure Brilliant-ის ხაზის ონკანები მაქსიმუმამდე მიიყვანს თქვენი სააბაზანო ოთახის შესაძლებლობებს, უნიკალურ და ექსკლუზიურ აურას შემატებს მას.

Allure Brilliant-ის ონკანების ხაზი სრულყოფილების განსახიერებაა. მას გამოარჩევს უმაღლესი სტანდარტის დიზაინი და საათივით აწყობილი მექანიკა. მკვეთრი წახნაგები და ჭრილები ჭეშმარიტად უნიკალურ იერს ანიჭებს GROHE-ს ამ პროდუქციას. მრავალფეროვან წახნაგებში სინათლე ისე ირეკლება, როგორც კარგად დამუშავებულ ძვირფას ქვებში. მთელი კოლექცია თანმიმდევრული, ჰარმონიული დიზაინერული ფილოსოფიით გამოირჩევა.

სიზუსტისა და დეტალებისადმი სათუთად დამოკიდებულების წყალობით, GROHE-ს დიზაინერულმა სტუდიამ ჭეშმარიტად უნიკალური ონკანი შეიმუშავა. ყველაზე გამორჩეული მისი მახასიათებელია წყლის სადინარი, რომელიც GROHE-ს ოსტატობის ნამდვილი განსახიერებაა. მისი ოთხკუთხა ღიობი "Aqua Window" ფუნქციურობისა და დახვეწილი დიზაინის შესანიშნავი ნაზავია, რომელიც წყლის ჭავლს ონკანის დიზაინის ორგანულ ნაწილად აქცევს. წყლის სადინარის ინოვაციური ღიობი კიდევ უფრო მსუბუქ და ელეგანტურ იერს აძლევს ისედაც დახვეწილი ფორმის ონკანებს.

თვალისმომჭრელია რელიეფური, წახნაგოვანი სიბრტყეების მქონე წყლის მოსაშვები ბერკეტიც, რომელიც ზუსტად შვიდგრადუსიანი კუთხითაა აცდენილი შემრევის ძირითად სიბრტყეს. ვრცელი კომფორტის ზონის წყალობით, GROHE-ს ე.წ. "დიზაინერული დნმ"-ის ეს ელემენტი კიდევ უფრო სასიამოვნოს და სახალისოს ხდის Allure Brilliant-ის ონკანების მოხმარებას.

### ფართო არჩევანი უნიკალურობისთვის

Allure Brilliant-ის ონკანების უზადო დიზაინი ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლებითაც ეს ნაწარმი დამზადდა. GROHE EcoJoy® უზრუნველყოფს წყლის სასიამოვნო, მაგრამ ეკონომიურ მოხმარებას. წყლის მოსაშვები ბერკეტის შეუფერხებელი მუშაობის გარანტიას იძლევა ტექნოლოგია GROHE SilkMove®. ხოლო ზედაპირების დამუშავების სპეციალური ტექნოლოგია GROHE StarLight® გულისხმობს იმას, რომ ყველა ქრომირებული ზედაპირი მრავალი წლის განმავლობაში არ დაკარგავს ბზინვარებს.

Allure Brilliant-ის ასორტიმენტი აკმაყოფილებს თანამედროვე არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის ყველა მოთხოვნას. ეს უნიკალური კოლექცია მოიცავს როგორც ცალკეულ ონკანებს აბაზანებისთვის და წყლის ნიჟარებისთვის, ისე აბაზანაში ჩასამონტაჟებელი გარნიტურის რთულ კომბინაციებს. ერთბერკეტიანი შემრევები სხვადასხვა სიმაღლის სადინარებით, ორსახელურიანი ონკანები, სხვადასხვა სიგრძის კედელზე დასამონტაჟებელი სადინარები, თერმოსტატები და ა.შ. - პროდუქციის ეს ხაზი მართლაც ყოვლისმომცველია. მის ასორტიმენტს ავსებს ახალი ხელის შხაპი Sena Cube შესაფერისი აქსესუარებით - კედლის სამაგრები, გადამრთველები, სასაპნეები და საპნის დისპენსერები.

სახლი იქაა, სადაც GROHE SPA გვაქვს მოწყობილი.


საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# GROHE Blue®
# ვარიანტების ფართო არჩევანი

## მძლავრი პარტნიორი გაფილტრვის ტექნოლოგიაში



გაზიანი, საშუალო, უგაზო - სისტემა GROHE Blue® სთავაზობს მომხმარებელს ცივი და ჩაციებული დასალევი წყლის ფართო არჩევანს. მისი მიღება შესაძლებელია არა მარტო GROHE Blue®-ს ონკანებიდან, არამედ სამზარეულოს სპეციალური ონკანებიდან „Minta“ და „K7“. მომხმარებლებს დამატებით შეუძლიათ აირჩიონ ვარიანტი „Pure“ (სუფთა), რომელიც მხოლოდ ფილტრს მოიცავს, ან სრული პაკეტი, რომელშიც ასევე შედის ქულერი და სატურატორი. სახლში თუ ოფისში დამონტაჟებული ონკანიდან ნებისმიერ დროს გემრიელი და სუფთა წყლის დალევის შანსი დაგავიწყებთ, რომ ოდესმე გიყიდიათ ჩამოსასხმელი მინერალური წყლის მძიმე შეკვრები, დაგიზოგავთ ფულს და თან ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას. შესაბამისად, GROHE Blue®-ს სისტემების შეძენა კომფორტული, უპრობლემო და უსაფრთხო გადაწყვეტილებაა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ სისტემების წარმატებაში გახლავთ გროჰეს თანამშრომლობა წყლის ფილტრაციის ტექნოლოგიებში აღიარებულ ევროპულ ლიდერთან - BWT-სთან (Best Water Technology). ამ კომპანიის მიერ დამზადებული ფილტრები ჩვეულებრივი ონკანის წყლის დალევას ნამდვილ სიამოვნებად აქცევს. GROHE-ს და BWT-ს ურთიერთობა უაღრესად წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია.

### კომბინირებადი დიზაინი თავისუფალი არჩევანის პირობებში

იმისდა მიუხედავად თუ რა მოგწონთ უფრო - ახალი „Minta“-ს ნატიფი ცილინდრული ფორმები, „K7“-ის მკაცრი და წარმოსადეგი იერი, ქრომი თუ უჟანგავი ფოლადი, GROHE Blue® ახლა უკვე ყველანაირ გემოვნებას აკმაყოფილებს. საბაზო კომპლექტი The GROHE Blue® Pure შეიცავს ერთბერკეტიან შემრევს (ფორმის არჩევანი თქვენზეა) ფილტრის ფუნქციით, ლამაზ მინის სურას და შესაბამის წყლის ფილტრს. მათ, ვისაც ჩაციებული და მინერალური ონკანის წყალიც უნდათ, უნდა დაამატონ საბაზო ასორტიმენტს GROHE Blue®-ს ქულერი და ნახშირორჟანგის ცილინდრი, რომელიც გაფილტრულ ჩაციებულ წყალში ნახშირმჟავის წვრილ ბუშტუკებს უშვებს. ონკანის სახელური არეგულირებს სატურაციის დონეს. GROHE Blue®-ს სისტემის ყველა ონკანში წყლის მიწოდების ორნაირი სისტემაა გათვალისწინებული: ერთი განკუთვნილია გაუფილტრავი ცხელი ან ცივი წყლისთვის, ხოლო მეორე - ახლად გაფილტრული და ჩაციებული სასმელი წყლისთვის.

### GROHE Blue® Mono - კომფორტული ავტონომიური გადაწყვეტილება

GROHE Blue®-ს ინოვაციური სისტემის კიდევ ერთი კომპონენტია GROHE Blue® Mono. ეს მოწყობილობა შეიძლება დამონტაჟდეს სამზარეულოში უკვე არსებულ ონკანზე ან GROHE Red®-თან (პირდაპირ ონკანიდან მდუღარე წყლის მიმწოდებელი სისტემა) კომბინაციაში. ამ დანამატის წყალობით, შეგიძლიათ გააგრძელოთ სარგებლობა თქვენი სამზარეულოს ონკანის ყველა უპირატესობით, და ყოველივე ამას დაემატება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უგემრიელესი სასმელი წყლის მიღების შესაძლებლობა. ეს ავტონომიური სისტემა ისეთივე მოსახერხებელია მოხმარებაში, როგორც GROHE Blue®-ს სხვა მოდიფიკაციები. შემრევის დახვეწილი ბერკეტი 180-გრადუსიანი ბრუნით, რომელიც ფიქსირდება 90 და 45-გრადუსიან პოზიციებზე, განსაკუთრებით მარტივს ხდის უგაზო, ზომიერად გაზიანი და გაზიანი წყლის ჭავლის ინტენსივობის რეგულირებას.

გემრიელი სასმელი წყალი დღისა თუ ღამის ნებისმიერ მონაკვეთში - GROHE Blue®-ს ახალი პროდუქცია თითქმის უსასრულობამდე ზრდის თანამედროვე სამზარეულოს შესაძლებლობებს.


საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

GORGIA საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

SIDO
საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# ინოვაციური დიზაინისა და პროფესიული ტექნოლოგიის შერწყმის წერტილი



ახალი თაობის თერმოსტატი
Grohtherm 2000 New

ისედაც წარმატებული პროდუქტის - თერმოსტატის განახლებული ვერსიის გამოშვებისას, GROHE-მ საფუძვლიანად იზრუნა ყველა საჭირო ფუნქციის და მახასიათებლის გაუმჯობესებაზე. განახლებული ტექნოლოგია, მეტი უსაფრთხოების ზომები, ეფექტურობა და კომფორტი, ერგონომიული და მაღალესთეტიური დიზაინი და მოსახერხებელი სამართავი პანელი, Grohtherm 2000 New-ს საშხაპე-სააბაზანოს შეუცვლელ კომპონენტად აქცევს. ეს ელეგანტური, ზედმეტ ზიზილ-პიპილოებს მოკლებული ხელსაწყო ნებისმიერ სააბაზანო ოთახს დაამშვენებს. Grohtherm 2000 New-ს დახვეწილი.

## შხაპი - ნეტარება, ეკონომიურობა და გარემოს დაცვა

ამ თერმოსტატის ძლიერი მხარეებია უსაფრთხოება, მოხერხებულობა, ეკონომიურობა და გარემოსდაცვითი თვისებები. GROHE CoolTouch® ტექნოლოგიით აღჭურვილი ლითონის გარსი გამორიცხავს ცხელ ქრომირებულ ზედაპირებზე შეხებით დათუთქვის რისკს. ახალი ტექნოლოგია GROHE Aquadimmer Eco ხელს უწყობს წყლის დაზოგვას აპარატის აბაზანის გავსების რეჟიმიდან შხაპის რეჟიმში გადართვისას. მარტივი პიქტოგრამები განმარტავს შხაპში წყლის ჭავლის ინტენსივობის მარეგულირებელი ღილაკის პოზიციებს. თერმოსტატის მექანიზმი აღჭურვილია ტექნოლოგიით GROHE TurboStat®, რომელიც უზრუნველყოფს წყლის სასურველ ტემპერატურამდე სწრაფად გაცხელებას და შხაპის მიღების პროცესში ამ ტემპერატურის შენარჩუნებას.

## სრულად გადახალისებული დიზაინი

მაქსიმალური პრაქტიკულობისა და დახვეწილი სტილის უზრუნველსაყოფად, GROHE-ს დიზაინერებმა გადაწყვიტეს სადა, ესთეტიური დიზაინის ერგონომიულ თვისებებთან შერწყმა. ინოვაციური ბერკეტები, რომლებიც ტრადიციულ მრგვალ სახელურებს ცვლის, უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტს და გამორიცხავს სრიალს. მათი განსაკუთრებული დიზაინის წყალობით, მომხმარებელი უმალვე აფიქსირებს იმ მომენტს, როდესაც წყლის ტემპერატურა 38°C-იან ზღვარს ცდება. სახელურებზე დატანილი სამართავი ღილაკების დიზაინი GROHE-ს ე.წ. დიზაინერული დნმ-ის ტიპიური ნიმუშია. ფირმის საავტორო სტილში ჩამჯდარი ამ და სხვა დიზაინერული ნიუანსების წყალობით, თერმოსტატი კარგად ეხამება GROHE-ს სხვა საშხაპეებსა და ონკანებს, რაც ამარტივებს მის ჩართვას სააბაზანო ოთახის დეკორში.

## კერძო ჩანჩქერი როგორც დიზაინერული ობიექტი

აბაზანის ჩანჩქერი თვალისმომჭრელი დიზაინერული დეტალია. ფართო ონკანი თითქოსდა შეუმჩნევლად გამოეყოფა აბაზანის შემრევს და წყლის ფართო ჭავლს აფრქვევს. ამ შთამბეჭდავ კონცეფციას საფუძვლად უდევს ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების იდეა. შხაპის თარო GROHE EasyReach™, რომელიც საბაზო კომპლექტში არ შედის, შეიძლება დამონტაჟდეს კედლის როზეტებზე, თერმოსტატსა და კედელს შორის ღიობის შესანიღბად. მისი გლუვი ზედაპირი მალავს კიდეებს და შეერთებებს, და აქცევს თერმოსტატს თვითმყოფად დიზაინერულ ობიექტად.

## სწორი არჩევანი ნებისმიერი გამოყენებისთვის

გაყიდვაშია Grohtherm 2000 New-ს არაერთი მოდიფიკაცია როგორც შენიღბული, ისე შეუნიღბავი მონტაჟისთვის. განსაკუთრებით მოსახერხებელია შენიღბული ვარიანტები, რომლებსაც გამოარჩევს იდენტური სამართავი ღილაკები და სრიალისგან დაცული სპეციალური ზედაპირი GROHE ProGrip. თუ გსურთ შხაპის ყოველი მიღება დაუვიწყარ გამოცდილებად აქციოთ, GROHE-ს ამ თერმოსტატებთან ერთად დაამონტაჟეთ საშხაპე კომპლექტი GROHE Power&Soul™, ან უბრალოდ შეარჩიეთ შესაფერისი დაკიდული და ხელის შხაპები.

თერმოსტატი Grohtherm 2000 საუკეთესოა GROHE-ს პროდუქტებს შორის.


საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

GORGIA საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

SIDO საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# ᲛᲝᲔᲨᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲣᲮᲢᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ ᲨᲮᲐᲞᲨᲘ

GROHE-ს შხაპები
Power&Soul™
დაპატენტებული
ტექნოლოგიით



რუტინისგან თავის დასაღწევად ყოველთვის არაა სავალდებულო უქმეების განსაკუთრებულად გატარება ან სამოგზაუროდ წასვლა - ახლა უკვე საკმარისია შეხვიდეთ სააბაზანოში, სადაც გელოდებათ ინოვაციური შხაპი, რომელიც მზადაა თქვენი ნებისმიერი სურვილი შეასრულოს. შხაპი მიესადაგება სხვადასხვა პირობებს, მას შეუძლია განსხვავებულად იმუშავოს დღე-ღამის ამა თუ იმ მონაკვეთში, შეუძლია დამუხტოს მომხმარებელი ენერგიით ან დაეხმაროს მას დაძაბულობის მოხსნაში. GROHE-ს შხაპი Power&Soul™ შხაპის მიღებას აქცევს უალრესად პირადულ განცდად, რომელსაც ძალუძს სხეულისა და გონების ჰარმონიის აღდგენა.

## ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲦᲘᲚᲐᲙᲖᲔ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ

შხაპის მიღება მართლაც ღილაკზე თითის ერთი დაჭერითაა შესაძლებელი - უბრალოდ აირჩიეთ წყლის ჭავლის სასურველი ნაირსახეობა შხაპის „ტელეფონზე“ მოთავსებული ოთხი ღილაკიდან ერთ-ერთის დაჭერით. დაუკვირდით საკუთარ სხეულს და მიხვდებით რა გჭირდებათ - ახალი ენერგია თუ დასვენება. ჭავლები GROHE Bokoma Spray™ და Jet ააქტიურებს და აცოცხლებს, ხოლო GROHE Rain O² და Rain პირიქით - ადუნებს. გარდა ამისა, ოთხი ძირითადი ნაირსახეობის შერევით შეგიძლიათ შვიდი განსხვავებული ჭავლის შექმნა.

თუ შხაპში ბოლომდე მოდუნების სურვილი გაქვთ, მაგრამ ინტენსიური, უხვი წყლის ჭავლი გინდათ, მაშინ საუკეთესო არჩევანია ჰაერით გამდიდრებული GROHE Rain O². თუ წყლის ნაზი, ახალი ენერგიის მომგვრელი წკარუნი გირჩევნიათ, ჯობია დააჭიროთ ღილაკს „Rain“ (წვიმა). ინოვაციური ჭავლი GROHE Bokoma Spray™ დაგეხმარებათ სტრესის მოხსნაში და ენერგიის რეზერვების გააქტიურებაში. ამ რეჟიმის არჩევით და კანზე შხაპის წრიული მოძრაობით, თქვენ ჩაიტარებთ ავსტრალიელ აბორიგენებში ცნობილ წყლის მასაჟს. წყლის მძლავრი მასტიმულირებელი ჭავლი Jet მოადუნებს დაძაბულ კუნთებს, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. ამ ოთხი საბაზო რეჟიმის შერევით შეგიძლიათ შექმნათ წყლის ჭავლის დამატებითი სახეობები, რომლებიც ოპტიმალურად შეესაბამება თვენს საჭიროებებს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში.

## ᲤᲝᲠᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐ

უნიკალური დიზაინის წყალობით, GROHE Power&Soul™-მა უკვე მოიგო 2012 წლის კონკურსები „iF product design“ და „red dot award“. GROHE სთავაზობს მომხმარებელს სამი სხვადასხვა დიამეტრის (115, 130 და 160 მმ) და ორნაირი დიზაინის Power&Soul შხაპებს. „Cosmopolitan“-ის სადა ელეგანტურობა იმეორებს თანამედროვე არქიტექტურის გეომეტრიულ ფორმებს; მასში იდეალურადაა შეხამებული დიზაინი და ფუნქციურობა. მოდიფიკაცია „Contemporary“ გამოირჩევა ეფექტური, სასიამოვნო და მიმზიდველი დიზაინით და პრაქტიკულობით.

ტექნოლოგია GROHE DreamSpray®, რომელიც საფუძვლად უდევს GROHE შხაპის ნებისმიერ მოდელს და გულისხმობს შხაპის „ტელეფონის“ მთელ სიბრტყეზე წყლის წნევის თანაბარ განაწილებას, უზრუნველყოფს წყლის ჭავლის მაღალ სიზუსტეს და ხარისხს. ხოლო თანამდევი ტექნოლოგია GROHE EcoJoy® ამცირებს წყლისა და ენერგიის მოხმარებას მაქსიმალური კომფორტის და სიამოვნების პირობებში.

GROHE Power&Soul™ - მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური შხაპი; ხარისხის, დიზაინის, თანამედროვე ტექნოლოგიის და ეკონომიურობის საუკეთესო კომბინაცია.

საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# სარჩევი
# Content



უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECT

Golden Mile -
სრული სიჯანსაღე 26



თქვენი საოცნებო მარანი
THE WINE CELLAR OF YOUR DREAMS 30



კულტურათა შორის
სხვაობების მოგერიება
DEALING WITH DIFFERENCES BETWEEN CULTURES 34



პოზიტიური და
ავანგარდული
Positive and Modern 38



პროფესიონალების აზრი

ავტორიტარიზმის
არქიტექტურული
ანატომია 42



ქალაქი
CITY
თბილისის ბაღ-პარკების
ექსპანსიის პრობლემები
საბაზრო-ეკონომიკის პირობებში
Problems landscape gardening expansion of Tbilisi in the economic conditions 48



გიგა ბათიაშვილის წიგნი
"ჩემი ცხოვრება თბილისურ
არქიტექტურაში" 52



ბიენალე
BIENNIAL

შეუმდგარი ქართული
პავილიონის ისტორია 56



სახლი
HOUSE

ფორუმი ახალი ნათებისგან
Forum By New Light 60



დამზადებულია
საქართველოში 64



ისტორია
HISTORY
ტანსაცმლის მოხმარების
თავისებურებანი 90-იანი
წლების თბილისში
Specifics of Dress Styles in Tbilisi of the 1990'ies 68



ვერნისაჟი
VERNISAGE

სოთბის სააუქციონო სახლის
ყოველწლიური გამოფენა
"გზაჯვარედინზე"
Sotheby's Auction House 72




www.antoniolupi.it
www.antoniolupi.it
www.jacuzzi.eu
www.jacuzzi.eu
HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
www.devon-devon.com
33 Chavchavadze ave.
0179 Tbilisi Georgia
Tel/Fax: +995 32 2420993
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge
www.devon-devon.com
www.gessi.com
www.jacuzzi.eu

# სარჩევი
# Content




სტუდენტობიდან პროფესიონალამდე 74



## ინტერიერი
## INTERIOR

პროფესიონალური კალეიდოსკოპი
**Professional Kaleidoscope** 76



იდეიდან - კონკრეტულ მატერიამდე
**From idea to specific materia** 80



ფუნქციურობა და კომფორტი
**Functionality and comfort** 84



ინდივიდუალური სახლის ინტერიერი 86



კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე 88



## სიახლეები
## NEWS

თითოეული მატერია შესაძლებელია იყოს ხედვის საშუალება ხელოვნებაში...
**In art, everything can serve as a way to see...** 90



SKIA 2014 - ღია არქიტექტურული კონკურსი 94



უჯრედები
**The Cells** 96



"ფერადი სიზმრები - 20 წლის შემდეგ" 98



ჟურნალი „სტილის" 48-ე ნომრის პრეზენტაცია 99




# სტუდია D73

მარკო ვისმარას და ანდრეა ვიგანოს მიერ დაფუძნებული სტუდია "D73"-ის საქმიანობის სფეროს არქიტექტურული დიზაინი წარმოადგენს. სტუდია "D73"-ს მდიდარი გამოცდილება აქვს ინტერიერის დიზაინთან, სხვადასხვა დანიშნულების კომერციულ თუ კერძო პროექტებთან, კვლევებთან თუ პროექტების რეალიზაციასთან მიმართებაში; სამუშაოს ყოველი ეტაპი სრულდება გამორჩეული პროფესიონალიზმით, რაც სტუდია "D73"-ის იტალიურ სათაო ოფისში, მოსკოვის, ტუნისის და თბილისის წარმომადგენლობებში მომუშავე ექსპერტების მდიდარი ცოდნითაა განპირობებული. ბოლო წლების მანძილზე სტუდია "D73"-მა საგრძნობლად გააფართოვა სამუშაო არეალი რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში შესვლით; კომპანია მომავალშიც აპირებს ახალი ტერიტორიების "დაპყრობას".სტუდია "D73"-ის მაღალპროფესიული პროექტები მოიცავს გამაჯანსაღებელ კომპლექსებს, სასტუმროებს, შოურუმებს და საცხოვრებელ კომპლექსებს.




# STUDIO D73

Studio D73 by Marco Vismara and Andrea Vigaнт is specialized in architectural and design projects in a wide international dimension. Studio D73 deals with interior design, different commercial and private projects, from analysis to production, and carries out the project phases thanks to a very efficient team of professionals based in the headquarter in Italy and the three other offices in Moscow, Tunis and Tbilisi. Within the past few years, Studio D73 has grown and reached many countries abroad, mainly in Russia, East Europe and North Africa, with the aim of keeping growing in new countries in the near future. State-of-the-art design project solutions by Studio D73 include Spa, hotel, showroom, and residential buildings.

Studio d73
relazioni@d73.it
**www.d73.it**




# Golden Mile - სრული სიჯანსაღე

ადგილმდებარეობა: მოსკოვი
ფართობი: 4500 კვ.მ.
წელი: 2013
ავტორი: სტუდია D73

Park Palace გახლავთ ელიტური საცხოვრებელი კომპლექსი მოსკოვის ცენტრში; 2013 წელს მის ტერიტორიაზე გაიხსნა ექსკლუზიური გამაჯანსაღებელი ცენტრი "Golden Mile".

"Golden Mile" მხოლოდ კლუბი კი არაა, არამედ ცხოვრების სტილია! პროექტზე მუშაობის საწყისი სტადიიდანვე, ყველა ნიუანსის, ყველა დეტალის გათვლა ორიენტირებული იყო სტუმრებისთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი სივრცის შექმნაზე. "Golden Mile" ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია ივარჯიშოს ან მოეშვას და დაისვენოს საუკეთესო პირობებში, გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით.

"Golden Mile"-ს ჯამური ფართობია 4500 კვ.მ.; ეს ჭეშმარიტად ელიტური გამაჯანსაღებელი ცენტრი განლაგებულია ახალთახალ ორსართულიან შენობაში, რომელსაც თამამად შეიძლება დაეკრას ნიშანი "დამზადებულია იტალიაში".

### პირველი სართული

პირველ სართულზე მოწყობილია ვრცელი ვესტიბიული სტუმრების მისაღებად. აქვე განლაგებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე სივრცეები - საპარიკმახერო, გასახდელი და ადმინისტრაციული ბლოკი.

### ესთეტიკის ზონა

ესთეტიკის ზონა წარმოადგენს სივრცეს 600 კვ.მ. ფართობით, რომელიც მოიცავს 15 კაბინეტს და ორ იზოლირებულ სპა-კომპლექსს (თითოეულ მათგანში გაერთიანებულია თურქული აბანო, საუნა, სამასაჟე საწოლი და ჯაკუზი.













### ფიტნესის ზონა

900 კვ.მ. ფართობის მქონე ფიტნესის ზონაში არის დიდი სატრენაჟორო დარბაზი და იოგასა და პილატესისთვის განკუთვნილი ორი მცირე დარბაზი.

### საერთო ზონები

საერთო ზონების დანიშნულებაა ე.წ. "მშრალი" და წყლის ზონების გამიჯვნა. სპეციალური კვლევის შედეგად, გადაწყდა საერთო სივრცეებში განათების სისტემების ფარდების უკან დამონტაჟება, რაც ოთახებს უფრო ნათელს ხდის და ვიზუალურად ზრდის სივრცეს.

### წყლის ზონა

ერთი დიდი ზონა საგანგებოდ წყლისა და წყლის პროცედურებისთვის გამოიყო. აქ გაერთიანებულია ვრცელი აუზი ცურვისა თუ ფიტნეს-ვარჯიშებისთვის, ბარი, ორი ჯაკუზი, საუნა, თურქული აბანო, კნაიპის ბილიკი და ფერადი შხაპი არომათერაპიით. წყლის ზონას ამშვენებს ოქროსფერი ბიზაცას მოზაიკით და სანათიანი სარკეებით დეკორირებული დიდი სვეტები.

საფუძვლიანი კვლევა ჩატარდა გამაჯანსაღებელ კომპლექსში აკუსტიკის საკითხთან დაკავშირებით. შედეგად, სტუდია "D73"-მა დაამზადა დაკიდული ჭერები, რომლებიც აკავებს ზედმეტ ხმაურს.

დღესდღეობით, "Golden Mile" ყველაზე ელეგანტური და ექსკლუზიური ადგილია მოსკოვის ცენტრში, სადაც შეგიძლიათ ჭეშმარიტად დაისვენოთ და მიიღოთ დაუვიწყარი სიამოვნება.

Studio d73
relazioni@d73.it
www.d73.it

Wellness Today - Happy Sauna Group
marketing@happysauna.it
www.wellnesstoday.it



# Golden Mile

PROJECT SHEET
Name of the project: Golden Mile
Place: Moscow
Year: 2013
Area: 4,500 square meters
Author: Studio D73

Park Palace is a luxury estate in Moscow city centre and it hosts Golden Mile, an exclusively wellness center which opened to public in December 2013.

Golden Mile is not only a club, it's a lifestyle! From the beginning of the project to its realization, every detail and every choice has been made to create a place entirely dedicated to the guests. Golden Mile is a place where you can train or relax yourself, assisted by the most experienced professionals and by the best services.

It covers a surface of 4,500 square meters on two floors and is a real luxury and wellness pantheon. This brand new building is characterized by a complete "Made in Italy" process: from project to realization and furniture. Golden Mile has been realized by Wellness Today – Happy Sauna Group who turned to Studio D73 for design.

Golden Mile has five areas and two large zones: a wet zone and a dry one. In every area Studio D73 made deep studies to find out which elements – from furniture to flooring, from lighting to acoustic system – were more suitable for the area.



**GROUND FLOOR**

On the ground floor there is a big space to welcome guests in a large reception hall. Here you can also find some of the main services of the building, such as the hairdresser, the cloakroom and the offices. From the ground floor it is possible to go downstairs where you can find the core of Golden Mile.

**BEAUTY AREA**

The beauty area counts an exclusive esthetic zone of 600 square meters with fifteen beauty treatment rooms and two private Spa. Each private Spa includes: Turkish bath, sauna, massage bed and a whirlpool where guests can relax for the whole day in total privacy.

**FITNESS AREA**

The 900 square meter fitness area includes a large gym and two rooms employed only for yoga and pilates sessions. A big central dome lights up the gym from sunshine and includes a 3 meter diameter "big circle" light, especially made by Flos exclusively for this project.

**COMMON AREAS**

The common areas' purpose is to clearly distinguish between the dry and the wet zone. A particular study about lightning has been made in the common areas. The corridors have lighting behind curtains to make the rooms brighter and give the impression of a larger space.

**WET AREA**

A big area is dedicated to water. It includes a large swimming pool for swimming or fitness sessions, a bar, two whirlpools, sauna, Turkish bath, a Kneipp path and an emotional colored shower with aromatherapy. The big pillars of the wet zone has been wisely valued thank to the gold Bisazza mosaic employed and mirrors with lights on them. In this area there is also a snow cabin, completed with a waiting room where guests can stay at a temperature of 7-8 °C before entering the 0 °C zone, which is regularly cooled down by snow jets. Here you can also find the "water para-





dise", a corridor with water jets from the ceiling and the walls around.

Golden Mile spaces stand out for the incredible contrast between the black and white marble, for the Bisazza mosaic, for the gold finish touch to pillars, sinks, chairs and whirlpool ceilings in the swimming pool area: every detail has been exclusively designed and created for Golden Mile.

A very long study has been dedicated to the sound in the area: Studio D73 made false-ceilings to absorb the noise and allow guests complete relax. The gummed gym floor has also a soundproof layer to soften bangs and noise. The sound study takes into consideration the different areas and took different solutions for the wet and the dry zone.

A deep study was also made about lighting and height of the structure: the ceilings were covered with "specchiopiuma", a real high quality light mirror that gives the impression to widen the spaces and the heights. Lighting creates a completely different environment in each room, by changing its color and intensity.

Today Golden Mile is the most elegant and exclusive place in Moscow city center, where you can you're your time to relax and enjoy it.

Info
*Studio d73*
*relazioni@d73.it*
*www.d73.it*

*Wellness Today - Happy Sauna Group*
*marketing@happysauna.it*
*www.wellnesstoday.it*





# თქვენი საოცნებო მარანი

## მე-17 საუკუნის მარნიდან - კომფორტისა და დახვეწილი დიზაინის განსახიერებამდე

პროექტის სახელწოდება: იტალიური ვილა
ადგილმდებარეობა: იტალია
რეალიზაციის წელი: 2011
ავტორი: სტუდია D73





სურათებიდან ვერაფრით მიხვდებით, რომ 1700 წლით დათარიღებული და ელიტურ კერძო საცხოვრებლად გადაკეთებული ეს შესანიშნავი ნაგებობა ოდესღაც ღვინის მარანი, საწყობი და ბეღელი იყო.

მარნის აღდგენამ მთელი წელი წაილო და არც ისეთი მარტივი გამოდგა, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო. მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მიწისქვეშა წყლების სიახლოვით გამოწვეული მაღალი ტენიანობა, რომელმაც თითქმის 50 წლით შეაფერხა აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა - ასე აგვიხსნეს ბრეშიაში, იტალიაში არსებული სტუდია „D73"-ის არქიტექტორებმა მარკო ვისმარამ და ანდრეა ვიგანომ. თუმცაღა, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, მათ მიაგნეს ადეკვატურ გადაწყვეტილებას - შენობის ყველა ზედაპირზე დამონტაჟდა სპეციალური ბარიერები, რომლებმაც შეზღუდეს ნესტის გამოდინება.

დიდი რუდუნებით შეირჩა კარ-ფანჯრების დიზაინი: მათი დამზადება დაევალა გამოცდილ ხარატებს, რომლებმაც კარგად იციან თანამედროვე ინტერიერში ძველებური კულტურის ელემენტების შეხამება.

სტუდია „D73"-მა პროექტზე მუშაობა ნოლიდან დაიწყო. ფაქტობრივად, შენობა ხახვივით გაიფცქვნა: უახლესი სარესტავრაციო ტექნოლოგიების წყალობით, შესაძლებელი გახდა იატაკის და ბათქაშის ფენების მოშორება.

სამუშაოებში ჩართული ყოველი მუშაკისთვის დიდ სიამოვნებად იქცა შენობის თავდაპირველი სახით ხილვა, მისი ზედმეტი შრეებისგან გათავისუფლება ისე, როგორც ადამიანი ღამე, დაწოლის წინ, ტანსაცმელს რომ იხდის.

პროექტის პირველ ეტაპზე მოხდა ქვების ქვიშით გაწმენდა და კედლებიდან თეთრი კირის საღებავის ჩამორეცხვა.

რაც შეეხება განათებას და ავეჯს, ეს პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ. ამ თემას მრავალი კვლევა მიეძღვნა, ვინაიდან მიჩნეულია, რომ განათების ხარისხმა შეიძლება საგრძნობი გავლენა მოახდინოს ჩვენი ცხოვრების ხარისხზე.

სტუდია „D73"-ს სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე, არქიტექტორებმა გადაწყვიტეს მე-17 საუკუნის მარნის ინტერიერის ხასხასა ფერის და თანამედროვე დიზაინის მქონე ავეჯით გაფორმება, რათა მკაფიოდ გაემიჯნათ სახლის ისტორიული და თანამედროვე ნაწილები, შეექმნათ კონტრასტი სიძველის ატმოსფეროსა და თანამედროვეობას შორის და ხაზი გაესვათ ინტერიერის კომფორტულობასა და სიმყუდროვისთვის, რომელიც თითქმის დავიწყებულია 21-ე საუკუნეში.





კარ-ფანჯარა, განათება, ავეჯი შეიქმნა ექსკლუზიურად ამ პროექტისთვის, რაც სტუდია „D73“-ის ჩვეული ხელწერაა.

მისაღებ ოთახში გვაოცებს დიზაინის სრულყოფილება; არანაკლებ მიმზიდველია კორიანით მოპირკეთებული სამზარეულოც, შუაში კუნძულივით თავმოყრილი მაგიდით და ელექტრო ხელსაწყოებით. იგივე სტილშია შესრულებული წითელ ფერში გადაწყვეტილი სააბაზანო ოთახიც: აბაზანა დგას ცენტრში და აღჭურვილია ჭერზე დამონტაჟებული, წვიმის ეფექტის მქონე შხაპით.

ვრცელ და ნათელ მისაღებ ოთახში ჭერი ქვისაა, ხოლო იატაკი - მინის; იატაკში დატანილია 10 მეტრი სიღრმის ღრმული ხელოვნური განათებით, რომელიც ამხელს შენობის ძველ საძირკველს. მინით გადახურული ასეთივე ღიობი, რომელიც დატანილია საძინებლების წინ არსებული დერეფნის იატაკში, გვაჩვენებს პირველი სართულის საძირკველში ჩამალულ კიდევ ერთ ისტორიულ აღმოჩენას - მე-16 საუკუნის გრილ საკუჭნაოს, სადაც წელიწადის ცხელ დროში ინახებოდა სურსათ-სანოვაგე.

Studio d73
relazioni@d73.it
www.d73.it

Wellness Today - Happy Sauna Group
marketing@happysauna.it
www.wellnesstoday.it



# THE WINE CELLAR OF YOUR DREAMS

Name of the project: Private Italian Villa
Place: Italy
Year: 2011
*Author: Studio D73*



From an ancient wine cellar that dates back to the Seven century to a masterpiece of comfort and design.

The pictures don't make you recognize the original function of this superb building that dates back to the 1700 and has been rearranged to a luxury private residence. It used to be a wine cellar, an historic stockroom used as a warehouse and as a shelter for the harvest.

It took an entire year to restore it and it was not as easy as it could seem. High humidity due to a close underground river was the main problem that blocked the restoration works for more than 50 years - explained architects Marco Vismara and Andrea Vigan? from Studio D73 based in Brescia, Italy. But after many years of studies and research, the solution was found: some special barriers that are able to block humidity to come out again have been attached to every surface of the building.



Doors and windows have been chosen with extreme attention and great taste: they are all handmade by wood craftsmen who know very well this kind of art which combines ancient culture to elegance in a modern place.

The Studio D73 started from nothing, but keeping deep in mind the project. The building, in fact, has been taken back to the origin: tanks to the most innovative and finest techniques in restoration field, floors and plasters have been removed.

For all the workers it was a great pleasure to see the building just like it was born, in its original phase, back to the substance origin. The building has then been "night dressed", making the most of it in any possible way.

The first project step ended with the sandblasting of the stones and the coloring of the walls, which were white washed.

Let's move to the lighting and furniture world, a delicate and very important part. Many studies and research have been made about this topic: they say quality of light is able to influence quality of life, by changing even our behavior and emotions.

Studio D73 works with one of the best team in this field and is well aware of what we are talking about. So, architects chose vivid color and modern design for the furniture of the ex Seventeen centu-







ry wine cellar. Their aim was to create a clear separation between the historical and neutral part of the house and the modern time we are living in, to give a sense of wellness and comfort we miss in our century.

From doors to windows, from bathrooms to lighting, furniture has been designed especially for this project, just like in every other work by Studio D73.

In the living room we are astonished by the perfection of it: the kitchen is one of the brightest jewel of the entire building: made in corian material, it has a central island and electrical appliances in white glass. The same material has been used for the red bathroom sink. In the middle, there is a big central bath tub with a rain filler system from the ceiling which guarantees moments of relax.

In the great and bright living room, with natural stone ceiling, there is a glass on the floor that lights up the ancient 10-meter-deep pit. A second glass, before the bedrooms, opens a slice of history hidden in the lower level: it's a 1500 century icebox totally well conserved, that was used to store food in the hottest seasons.

Studio d73
relazioni@d73.it
www.d73.it

Wellness Today - Happy Sauna Group
marketing@happysauna.it
www.wellnesstoday.it





ანდრეა ბრუნო

# კულტურათა შორის სხვაობების მოგერიება

*ინტერვიუ ანდრეა ბრუნოსთან*
*ავტორები:*
*ნიკოლოზ ლეკვეიშვილი*
*ალექსი ჯავახიშვილი*

*ანდრეა ბრუნო დაიბადა ტურინში, იტალიაში, 1931 წელს. 1956 წელს მან დაამთავრა ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი და წამოიწყო აკადემიური კარიერა რესტავრაციის დარგში. დღესდღეობით, ანდრეა ბრუნო გახლავთ ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის რესტავრაციის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი და ბელგიის ლევენის კათოლიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურული და ურბანული მემკვიდრეობის კონსერვაციის საკვლევი ცენტრის“ თავმჯდომარე. 1974 წლიდან ანდრეა ბრუნო უწევს კონსულტაციებს იუნესკოს მხატვრული და კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის დარგში. მან როგორც იუნესკოს კონსულტანტმა მონაწილეობა მიიღო არაერთ ოფიციალურ მისიაში, მეტწილად შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ჩრდილოეთ აფრიკაში.*

*ანდრეა ბრუნომ პირველმა დაიწყო ბაიმანის ველის კვლევა, მან ააშენა ისლამური ხელოვნების მუზეუმი ღაზნიში და აღადგინა ჰერათის მონუმენტური კომპლექსი და ჯამის მინარეთი. 2002 წელს ანდრეა ბრუნო გახდა იუნესკოს კულტურული განყოფილების მრჩეველი ავღანეთის საკითხებში.*

*ანდრეა ბრუნოს პროექტებს შორის, შეგვიძლია გამოვყოთ თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „ბრიგიტინები“ (ბრიუსელი, ბელგია), წყლის მუზეუმი (პონ-ან-რუაიანი, საფრანგეთი), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი რივოლის სასახლეში (ტურინის პროვინცია, იტალია) და სულ ბოლო პროექტი - აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი პალაცო მაცონიში (ტურინი, იტალია).*

მადლობას მოვახსენებთ პროფესორ მარინა მოლონს და ფრანჩესკო ლენცინის პროფესორ ანდრეა ბრუნოსთვის ჩვენი გაცნობის გამო, რამაც მოგვცა საშუალება აგვეღო ეს ინტერვიუ ქართული არქიტექტურული ჟურნალი „სტილისთვის“.

**1. ჰერათის მონუმენტური კომპლექსისა და ჯამის მინარეთის აღდგენის შემდეგ, თქვენ დაინიშნეთ იუნესკოს კულტურული განყოფილების მრჩევლად ავღანეთის საკითებში. ხომ ვერ გვეტყოდით, რა პრობლემებს აწყდებით ამ რთულ რეგიონში მუშაობისას და რა მნიშვნელობას ანიჭებს ავღანური საზოგადოება კულტურულ მემკვიდრეობას?**

ავღანეთში პირველად ჩავედი 27 წლის ასაკში. მას მერე, თითქმის ყოველწლიურად ვსტუმრობდი ამ ქვეყანას. ჩვენი პირველი პროექტი უკავშირდებოდა ჯამის მინარეთის აღმოჩენას; ზუსტად 6 დღე დაგვჭირდა ამ საქმისთვის. იმ დროს არ არსებობდა ამ არქიტექტურულ ძეგლთან მისასვლელი გზა, ჯერ კიდევ არ გვქონდა Google earth-ის მსგავსი ტექნოლოგიები; დახმარების ერთადერთ წყაროდ გვაყვდა ადგილობრივი გიდი, და მასაც ხშირად ებნეოდა გზა-კვალი. მინარეთი ძველი საკულტო კომპლექსის ერთადერთი შემორჩენილი ნაწილი გახლდათ; ისიც უკვე განადგურების პირას იყო მისული. დეტალური მოკვლევის შედეგად, განხორციელდა გასამაგებელი სამუშაოები, რამაც საშუალება მოგვცა გადაგვერჩინა ეს ძეგლი. დღესდღეობით, ჯამის მინარეთი ავღანეთის ერთ-ერთი ძირითადი ღირშესანიშნაობაა.

როდესაც ჰერათის ციტადელის აღდგენაზე ვმუშაობდი, მთხოვეს ნაგებობის გადახურვისა და მიშენების თანამედროვე მასალებით შესრულება. ამის ნაცვლად, მოვძებნე კომპლექსის მშენებლობაში მონაწილე ერთ-ერთი მუშის შთამომავალი. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი მისდევდა თავისი წინაპრის ხელობას და მიუწვდებოდა ხელი იგივე მასალაზე, რასაც კომპლექსის მშენებლობის დროს იყენებდნენ; საბოლოო ჯამში, რეკონსტრუქცია ზუსტად ისე განხორციელდა, როგორც ძველებური მშენებლობა.

თავდაპირველი კონსტრუქციისგან განსხვავებით, მიშენება არაა დეკორირებული ტრადიციული ისლამური ორნამენტებით, და კომპლექსის ამ ორ ნაწილს შორის სხვაობა აშკარაა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მიშენება ისტორიული ნაგებობის გაგრძელებას არ წარმოადგენს, მნახველს შეუძლია წარმოიდგინოს როგორი იერი უნდა ჰქონოდა ორიგინალს.

ცნობილია, რომ ავღანელები ისლამურ მემკვიდრეოვას უფრო დიდად აფასებენ, ვიდრე რეგიონში არსებულ სხვა პერიოდის კულტურულ ძეგლებს. თუმცაღა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. როგორც უკვე გითხარით, ავღანეთში პირველად რომ მოვხვდი ძალიან ახალგაზრდა ვიყავი; მაშინ განსაკუთრებულად შემიყვარდა ბუდას ქანდაკება: მახსოვს, მის თა-



ვზე ვბანაკდებოდი და მზის ასვლა-ამოსვლას ვაკვირდებოდი ხოლმე. ჩემის აზრით, დასავლურმა მას-მედიამ მიახვედრა ავლანელ მებრძოლებს, თუ რამდენად ძვირფასია ეს მონუმენტი ჩვენთვის და უბიძგა მათ მისი განადგურებისკენ. ახლა ბუდას ეს ქანდაკება აღარ არსებობს.

**2. თქვენი ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი პროექტია რივოლის სასახლის რესტავრაცია. ამ ნამუშევარში თქვენ განგებ დატოვეთ ისტორიული ცვლილებების კვალი, რათა მთელი სისავსით წარმოგეჩინათ სასახლის ყოფა. ხომ არ მოგვიყვებოდით ცოტა მეტს ამ პროექტის შესახებ? რატომ არჩიეთ ასეთი მიდგომა და არ აღადგინეთ ეს ნაგებობა ე.წ. პირვანდელი სახით?**

ალბათ გეცოდინებათ - რივოლის სასახლე დაზიანდა და ნაწილობრივ განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი რესტავრაცია ორ ეტაპად შესრულდა. პირველი ეტაპის სამუშაოები განხორციელდა 1961 წელს; ბიუჯეტი მეტად შეზღუდული იყო და მხოლოდ ძირითადი კონსტრუქციის შეკეთებას ეყო. აღდგენითი სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყო 1979 წელს; შედეგად, 1984 წელს რივოლის სასახლე მუზეუმად იქცა. მართალია ჩვენს განკარგულებაში იყო შენობის ომამდელი სახით აღდგენისთვის საჭირო ყველანაირი ინფორმაცია, ჩვენ გადავწყვიტეთ წარმოგვეჩინა მისი ისტორიული განვითარების ეტაპები, მათ შორის შედარებით ახალი ცვლილებები, რომლებმაც სასახლის დღევანდელი იერსახე განსაზღვრა. რესტავრაციის პროცესში ხელუხლებელი დავტოვეთ რამდენიმე დაზიანება და გავითვალისწინეთ სხვადასხვა ზონების ახალი ფუნქციები - მუზეუმი, საგამოფენო დარბაზები, ფოიე. ყოველივე ამან გადაახალისა შენობა ისე, რომ არ დაირღვა მისი ფუნქციურობა და გეომეტრია.

**3. ერთ-ერთი ბოლო პროექტისთვის - ბაგრატის საკათედრო ტაძრის რეკონსტრუქციისთვის, თქვენ 2013 წელს დაჯილდოვდით დომუსის ოქროს მედლით რესტავრაცია-რეკონსტრუქციის დარგში. ქართულმა საზოგადოებამ ეს პროექტი მწვავე დებატების საგნად აქცია. ხომ ვერ მოგვიყვებოდით მეტს ბაგრატის აღდგენის შესახებ? რა იყო მისი ყველაზე დიდი გამოწვევები, როგორ უპასუხეთ თქვენ მათ?**

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დამიკავშირდა საქართველოს კულტურის მინისტრი ნიკა რურუა და მთხოვა რომში შეხვედრა. შეხვედრის დროს მან მითხრა, რომ ნანახი ჰქონდა რივოლის რესტავრაციის პროექტი და უნდოდა, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა მსგავსი კონცეფციით მომხდარიყო.

როდესაც მე ჩავერთე პროექტში, ტაძარს უკვე ორჯერ ჰქონდა ჩატარებული რესტავრაცია - რამდენიმე ათწლეულის წინ ჩატარებული პირველი ეტაპის სამუშაოები ნაწილობრივ დაგეგმა ვ.ცინცაძემ, ხოლო მეორე ეტაპი მოამზადა ი.გრემელაშვილმა. ვ.ცინცაძის მიდგომაზე უარი თქვეს მისი პროექტის განხორციელებიდან რამდენიმე წელიწადში. გრემელაშვილმა იხელმძღვანელა ლე დიუკის მეთოდით, რომელიც რადიკალურად განსხვავებულ ფილოსოფიას ემყარება.

მე საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე ვიდექი: ან უნდა მომეშორებინა რესტავრაციის ორივე ეტაპის კვალი და თავიდან დამეწყო მუშაობა, ან წინა სარესტავრაციო სამუშაოებისთვის ხელის შევლების გარეშე დამესრულებინა ბაგრატის რესტავრაცია - უკვე ჩემი მეთოდით. მეორე შემთხვევაში, ბაგრატი მეტად საინტერესო გახდებოდა მკვლევარებისთვის როგორც სამი განსხვავებული სარესტავრაციო ფენისა და კონტრასტული სამშენებლო მასალების თანაარსებობის უნიკალური ნიმუში. საბოლოო ჯამში, მეორე მიდგომა ვარჩიე, და ბაგრატის ტაძარმა დომუსის ოქროს მედალი მიიღო.

ყოველი შენობისთვის ავთენტურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უნდა გვესმოდეს ისიც, რომ ყოველი ჩარევის შემდეგ იგი ახალ შტრიხებს იძენს და ჩვენც უნდა შევეგუოთ მის ახალ სახეს იმის ნაცვლად, რომ კვლავინდებურად ძველი ვეძიოთ. ჩემის აზრით, სარესტავრაციო არქიტექტურა არ არსებობს - არის მხოლოდ არქიტექტურა, და რესტავრაცია მისი ერთ-ერთი დარგია და მეტი არაფერი.

ბაგრატის საკათედრო ტაძარი ააგო მეფე ბაგრატმა, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ. ეს ტაძარი საქართველოს ერთიანობის ერთგვარი სიმბოლოა. პროექტის ფარგლებში, ჩვენ გადავწყვიტეთ ნაგებობის მეორე სართულზე შეგვექმნა მუზეუმი, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი ექნებოდა. დღეს ბაგრატის ტაძარი წარმოადგენს საზოგადოებრივი და რელიგიური სივრცეების ნაერთს, აქ გამოფენილია ქვეყნის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები, რაც ბაგრატის ტაძარს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

**4. რა პრობლემებს წააწყდით ბაგრატის საკათედრო ტაძრის აღდგენაზე მუშაობისას? რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგით?**

რაღა თქმა უნდა, პრობლემების გარეშე ამ პროექტს არ ჩაუვლია. ყოველთვის, როცა კი საქართველოდან გამგზავრების შემდეგ უკან ვბრუნდებოდი, ვხედავდი, რომ სადღაც რაღაცა შეცდომით კეთდება, და ამის გამოსწორებას დრო და ენერგია მიჰქონდა. მაგალითად, სახურავის ფერი ჩემს უკითხავად შეარჩიეს. მართალია, არქეოლოგიური მონაპოვრებით დადგინდა, რომ ბაგრატის ტაძრის მშენებლობის პერიოდში შენობების გადახურვა მწვანე იყო, მე ვივარაუდებდი, რომ ახალი სახურავი რამდენიმე წელიწადში გახუნდებოდა და შენობის საერთო შეფერილობას მიუახლოვდებოდა. საბოლოო ჯამში, უპირატესობა მიენიჭა ხალისიან მწვანეს, რასაც მე პირადად არ ვეთანხმები.

ძალიან ცოტა დრო მომცეს პროექტის დასასრულებლად. მე ეს ვიცოდი და დავაფიქსირე, რომ რესტავრაციის სრულად განხორციელება ამ ვადებში შეუძლებელი იქნებოდა. საბოლოოდ, სარესტავრაციო სამუშოების აჩქარებული ტემპებით დასრულებას და ბაგრატის ტაძრის ამჟამინდელ კონდიციამდე მიყვანას უდიდესი ენერგია მოხმარდა.

ვაღიარებ, რომ ბაგრატის რესტავრაცია დღესაც შორსაა დასრულებამდე და სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. საცოდაობაა, რომ საქართველოში გამართული არჩევნების შემდეგ ეს პროექტი გაყინეს. დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ მომეცემა საშუალება გავაგრძელო მუშაობა ბაგრატის საკათედრო ტაძარზე - ეს პროექტი, თავისი არქიტექტურული მოცულობითა და უდიდესი მნიშვნელობით, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად შეიძლება იქცეს. სულ არაა აუცილებელი მისი შემჭიდროვებულ ვადებში დასრულება.





ANDREA BRUNO

# DEALING WITH DIFFERENCES BETWEEN CULTURES



*INTERVIEW WITH ANDREA BRUNO*
*BY: NIKOLOZ LEKVEISHVILI, ALEKSI JAVAKHISHVILI*

*Andrea Bruno was born in Torino Italy in 1931. He graduated from Politecnico di Torino with degree in Architecture in 1956, and further developed his academic career as a professor of restoration. Presently Andrea Bruno is full professor in Architectural Restoration in the Faculty of Architecture of Politecnico di Torino and is a member of the Acadūmie Royale de Belgique and President of the "Centre d'Etudes pour la Conservation du Patrimoine Architectural et Urbain" at the Katholieke Universiteit Leuven in Belgium.*
*Since he is Consultant of for the restoration and preservation of the artistic and cultural heritage. While on this position he participated in numerous official missions, mainly focusing on and n regions.*
*Andrea Bruno was the first to develop studies on the Bamyan Valley, he realized the Museum of Islamic Art in Ghazni and restored monumental complex of Herat and the Minaret of Jam. In 2002 Andrea was appointed the role of adviser for Afghanistan for the Cultural Division of UNESCO.*

*Andrea Bruno's projects include the Centre d'art contemporain du Mouvement et de la Voix , Les Brigittines, in Brussels, the Mus?e de l'eau in Pont-en-Royans in France, the Museum of Contemporary Art of the castle of Rivoli in province of Turin, Italy, and - the most recent - the MAO - Museo Oriental Art, in Palazzo Mazzonis in Turin, Italy. etc.*

We would like to thank Prof. Marina Molon and Francesco Lenzini for introducing us with Prof.Andrea Bruno, giving us an opportunity to take an interview for the Georgian architectural magazine "Style".

**1. after restoration of the monumental complex of Herat and the Minaret of Jam, you've been appointed the role of adviser for Afghanistan for the Cultural Division of UNESCO.** What are the main challenges while working in such complicated region and what is the role of cultural heritages for Afghan society?

I was 27 years old when I first went to Afghanistan, since then I've been visiting it almost every year. Our first project was finding Minaret of Jam; it took us as long as 6 days to find it. At the time there was no road available to monument and technologies like Google earth did exist; the only means of help that was available to us was the local guide who himself was often lost. Minaret was the only structure remaining from the religious complex, it was strongly damaged due to the soil and was about to collapse. After careful investigation the reinforcement works have been performed, which allowed the monument to preserve. Today it is one of the main landmarks of Afghanistan.

While working on ancient citadel complex of Herat, I was asked to make the cover and extension of the building with contemporary material. Instead I found the descendant of the worker who has been participating in construction of the complex. In fact the descendant had the same profession as his ancestor and had access to the same construction material used in the original building; overall it can be said that the reconstruction was carried out in a way it would have been done during the old times.

Compared to the original structure, the extension did not have the same



Islamic pattern and was ended with clearly visible cuts. Even though the extensions did not complete the building, it helped the observers to conclude how it could have looked like in the original state and draw overall picture in their mind.

It is well known that in general for Afghan people Islamic heritage represents higher cultural value than any other available in the region, though this is not true for the whole population. As I said before, I was very young when I first went to Afghanistan, I have special feeling towards monument of Buddha; I remember the times when I slept on the head of the statue watching sunset and sunrise. I blame western media in provoking local fighters in letting them know how badly the destruction of the monument can hurt us. Now, there is no Buddha anymore, I'm old, my hair is white and I'll be gone soon too.

**2. One of your well-known projects is restoration of *Castle of Rivoli***. In this project you've left the traces of the historical changes, giving the right importance to all the moment of the life of the castle. Can you tell us more about this project? Why did you decide to approach it this way rather than restoring the "pure" form of the building?

As you might know, Castle of Rivoli was damaged and partly demolished during Second World War. Restoration works were done in two phases. First reparation was performed in 1961. The budget was very limited and was just enough to repair the structure of the complex. The second phase started in 1979; as a result in 1984 the Rivoli Castle was opened to public as a museum. Despite having all the information at our disposal, which would have allowed us to restore the building to its original condition as it was before World War II, we have decided to preserve all the historical aspects of the monument, including the recent ones that have affected the building till the present time. During restoration we have left several decays in the building intact, and integrated new functions like museum, exhibition hall, entry etc. this gave it new life and retained its past functions and the geometry.

**3. for one of your latest project – Reconstruction of Bagrati Cathedral, you were awarded with golden medal on *Domus Restoration and Reservation awards 2013***. The project represents the topic of multiple debates in our society. Can you tell us more about this project? What were the biggest challenges and how did you respond to them?

I was called up by minister of culture of Georgia Mr. Nika Rurua and offered to meet him in Rome. In Rome he mentioned that he has seen the restoration project of Rivoli and wanted the similar concept to be executed with Bagrati cathedral.

When I got involved in the project the cathedral had already undergone two different restoration process – first partially executed by Tsintsadze several decades back and the second prepared by I.Gremelashvili. The approach used by V.Tsintsadze was abandoned few years after its execution. Gremelashvili chose completely different path compared to Tsintsadze, I.G. followed LeDuc method which is completely different philosophy.

I faced two realities, either I had to remove both layers of restoration and start intervention from scratch, or finish the building using my method by giving the building strong contrast in materials, without altering the previous restorations and turn the building into unique example if scientific research where three different restoration philosophies are applied each masked with the layer of the others. I chose the latter approach and as a result Bagrati Cathedral received golden medal of Domus awards.

Authenticity has the highest importance for each building, but we have to realize that after any intervention it gains new authenticity and we have to think about this new authenticity instead of looking for the old one. In my opinion there is no such thing as restoration architecture, there is only architecture, and restoration is part of it.

Bagrati Cathedral was built by King Bagrati, the first King of the united Georgia. In a way the Cathedral serves as a symbol of the unity of Georgia. As part of the project we have decided to integrated museum space on the second floor of the building which would have independent entrance. Today it is used as a social space within religious structure and is the place where country's archeological findings are exhibited, emphasizing the importance of the building

**4. What were major challenges while working on BC and are you satisfied with outcome?**

Obviously there were problems. Every time I left Georgia and came back something went wrong, removal and repairing took time and energy. The color of the roof was chose without me, even if the archeological findings hinted that the roof coloring of the period was green, I would have suggested the coloring that would have rusted in a few years and would have merged into the style of the building. In the end the industrial green was chosen. I myself do not agree with this choice

I was given very limited time to finish the project, I knew and I mentioned that it was impossible to complete the restoration. In the end huge amount of energy was invested to finish the building and bring it to the current condition.

I admit that even now the project is far from being finished and there is lot more left to work on. It is a pity that after elections in Georgia it was decided to suspend the project. I have big hope to continue working on Bagrati Cathedral, with its architectural volume and importance of the building, it can easily turn into a project of my lifetime. It does not have to be finished in such a short time.



ALEKSI JAVAKHISHVILI, NIKOLOZ LEKVEISHVILI, ANDREA BRUNO




ბრანიმირ ტოდოროვი
BRANIMIR TODOROV


გეორგი სტოიკოვი
GEORGI STOIKOV


დეიან იორდანოვი
DEYAN YORDANOV


გალინა ტანჩევა
GALINA TANCHEVA

# პოზიტიური და ავანგარდული

გაგაცნობთ ბულგარულ არქიტექტურულ ფირმას NTP-project-ს, რომლის შემადგენლობაში არიან არქიტექტორები: შაფიკ ალსბეი, კალინ ცაჩევი, ბრანიმირ ტოდოროვი, გალინა ტანჩევა, დეიან იორდანოვი, გეორგი სტოიკოვი და ინჟინერი დანიელ ზარევი. ფირმის სამუშაო სფერო მოიცავს ქალაქგეგმარებას, სხვადასხვა დანიშნულების შენობების არქიტექტურული პროექტირებას და ინტერიერის დიზაინს. ფირმის ოფისი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარეობს.

გარდა, ამასა NTP-project არის ავსტრალიური კომპანიის NTP-Norton Teritori pre-stressing წარმოადგენელი, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს მთელ რიგ მომსახურეობას მშენებლობის წარმოებისთვის.







კალინ ცაჩევი
CALIN TSACHEV



ლაჩეზარ ნიკოლოვი
LACHEZAR NIKOLOV



შაფიკ ალსბეი
SHAFIQ ALSBEI



ინჟინერი დანიელ ზარევი
ENGINEER DANIEL ZAREV





NTP-project მუშაობის ძირითადი პრინციპებია: ფუნქციურობა, პოზიტიური და ავანგარდული დიზაინი, ეკონომიურობა, ეფექტურობა, ორიგინალირი იდეები.

ფირმის პროექტები რეალიზებულია არა მარტო ბულგარეთში, არამედ საზღვარგარეთ - მრავალ ქვეყანაში. NTP-project-ს პროფესიონალები იმედოვნებენ, რომ საქართველოშიც იპოვნიან თავიანთ თანამოაზრეებს და პარტნიორებს.

www.ntp-bg.org



# Positive and Modern

We would like to introduce a Bulgarian architectural company NTP-Project, which comprises architects Shafiq Alsbei, Calin Tsachev, Branimir Todorov, Galina Tancheva, Deyan Yordanov, Georgi Stoikov and engineer Daniel Zarev. The company engages in urban planning, architectural and interior design. Company office is located in Chavchavadze Avenue, Tbilisi.

Apart from the above, NTP-Project is an official representative of Austrian NTP-Norton Territory Pre-stressing, which offers a range of construction services.

The key working principles applied by NTP-Project are: functionality, positive and modern design, sustainability, efficiency and original ideas.

NTP-Project's works have been realized not only in many different countries. NTP-Project specialists hope that they will also find partners and supporters in Georgia.

www.ntp-bg.org















architectural company NTP-Project



ვახტანგ დავითაია

**22.12.1934წ.** – დაიბადა ს. ძველ-სენაკში (სენაკის რ-ნი). **1958** წ. დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფ-ტი, არქიტექტურის სპეციალობით. **1958-1962** – მუშაობდა "საქალაქმშენსახპროექტი"-ში. **1962** წლიდან: სტუ-ს ასპირანტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, სრული პროფესორი.

პროფესიული პოზიცია. არჩევა. სტუ-ს არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე, **1995-2008; 2008** წლიდან დღემდე არქიტექტურული გეგმარების მიმართულების ხელმძღვანელი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, **1995-2000**. შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმის თავმჯდომარე, **1996-2000**. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, **1994**. ასა-ს მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსი და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი, **1995**. საქართველოს საინჟინრო აკადემიის, **1996**, და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, **2001**. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, **1992-2007**. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, **1996-1999**. სტუ-ს სამეცნიერო და პროფესორთა საბჭოს წევრი, **1995-2005**. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს წევრი, **1995-1999**. თბილისის ქალაქგეგმარებითი საბჭოს წევრი, **1985-2003**. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე, **1997-2000/2004-2006**.

წოდება. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მინიჭებული აქვს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო – გიორგი ნიკოლაძის მედალი. **2004**.

საპატიო წევრობა: ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, **1991**. რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერების, **1994**, და უკრაინის არქიტექტურის აკადემიის უცხოელი წევრი, **2000**. მარ დელ პლატას (არგენტინა) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, **1987**. მექსიკის ჯალისკოს შტატის არქიტექტურული კოლეჯის საპატიო პროფესორი, **1988**. ქ. მანსის (აშშ) ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, **1989, 1991**. ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი, **1994**. ქ. ფოთის, **1980**, და ქ. მანსის, **1991**, საპატიო მოქალაქე.

პრემიები: რუსთაველის პრემიის ლაურეატი; სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. საქართველოს კომკავშირის და მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი. სოფიის მსოფლიო არქიტექტურული ბიენალეს – "ინტერარქ-**83**" და "ინტერარქ-**85**" და "ინტერარქ-**2012**"-ის ლაურეატი. სსრკ-ის არქიტექტორთა კავშირის "წლის საუკეთესო პროექტის" **1984, 1985, 1986, 1987, 1990** წლების და "წლის საუკეთესო ნაგებობის" **1986** და **1988** წლების (გრან პრი) ლაურეატი. თბილისის საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალეს ლაურეატი.

პერსონალური გამოფენები. თბილისი, მოსკოვი, რიგა, კაუნასი, მინსკი, კიევი, როდნო, ხარკოვი, სოფია (ბულგარეთი), დრეზდენი, ვაიმარი, ბერლინი (გერმანია), სერჟი-პონტუაზი (საფრანგეთი), მანსი, ატლანტა, ოქსფორდი (აშშ), ბუენოს-აირესი (არგენტინა), ნარა (იაპონია).

კოლექტიური გამოფენა. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსების: სოფიაში, ბერლინში, სტამბულში, ბარსელონაში, მოსკოვში, პეკინში, ტურინში.

ძირითადი რეალიზაციები. „მზიური ველი“ ბაკურიანში; სამხატვრო გალერეა ქ. სენაკში; ბიზნეს ცენტრი "მთაწმინდა" თბილისში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები: საგარეჯოში, ქუთაისში, წყნეთში, ოფშქვითში, ტაბახმელაში; პურის ქარხნები: ვაზისუბანში და თბილისის ზღვის რაიონში; საგამოფენო დარბაზი "მთაწმინდა" თბილისში; ხელოვნების ცენტრი გულრიფშში, რეკონსტრუქცია-გაფართოება; სკოლა **600** მოსწავლეზე სოფ. გავაზში; კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში; გამარჯვების მონუმენტი გორში; მემორიალი და დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში; "ხსოვნის ტაძარი" სოფ. მუხრანში; "ალგეთის ბაზილიკა" სოფ. ტბისში; "ხსოვნის კუბი" ქ. სენაკში; მეზღვაურთა მემორიალი, "კოლხეთის დედა" და ცოტნე დადიანის ძეგლი ქ. ფოთში.

პუბლიკაცია, პროექტები. არის **200**-მდე სტატიის და **250**-მდე პროექტის ავტორი.

წიგნები: ვახტანგ დავითაია. არქიტექტორი, **1998** (მიენიჭა არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს პირველი პრემია); არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე პირველი წიგნი, **2000**; ამერიკული დღიური, **2004**; მონუმენტები. მემორიალები. მცირე არქიტექტურა, **2004**; იაპონური დღიური, **2007**; პროცესი, **2009**; არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე. წიგნი მეორე, **2009**.

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მინიჭებული აქვს: საერთაშორისო ელჩის ორდენი, **2004, XXI** ს.-ის უდიდესი მოაზროვნეები, **2005**, მეგობრობის მსოფლიო მედალი, **2006**. შეტანილია ენციკლოპედიაში "ვინ ვინაა პროფესიაში", **2004/06** წლების გამოცემა (აშშ).



# ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია

## (ქართული არქიტექტურა 2004-2013 წლები)

ვახტანგ დავითაია

**გაგრძელება**
**დასაწყისი 48-ე ნომერში**

### II ნაწილი

#### IV. იურგენ მეიერი (გერმანია)

ვარდების რევოლუციის მეორე სახე და ხელისუფლების მიერ პატივდებული არქიტექტორია იურგენ მეიერი (გერმანია). მის მიერ საქართველოში შესრულებულია: აეროპორტი, ხიდი, იუსტიციის და პოლიციის სახლები მესტიაში, საბაჟო ტერმინალი სარფში, ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, გორის ჩასასვლელთან, მემორიალი ანაკლიაში (ვერ დავაზუსტე რას ეძღვნება), შესაძლოა სხვა დაკვეთებიც ქონდა.

სვანეთი უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს მატერიალურ და სულიერ კულტურაში. ამას მთელი მსოფლიო აღიარებს. ბოლონიის რამდენიმე შემორჩენილი კოშკით იტალია ამაყობს. ისინი კოლოსალურ ტურისტულ ნაკადებს იზიდავენ. კვლევებმა დაადასტურეს, რომ კოშკურა – თავდაცვითი არქიტექტურა, რომელიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაშია აღნიშნული, ძირითადად, ეკვატორის მიმდებარე პარალელებში, ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანამდე, სვანეთის კოშკურა თავდაცვითი არქიტექტურა სრულიად უნიკალურია როგორც ერთიანი ურბანული სისტემა ხაიშიდან ჰადიშამდე. XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში 400-მდე კოშკი იყო. ისინი ქმნიდნენ ზღაპრულ, ფანტასტიკურ არქიტექტურულ სპექტაკლს, განუმეორებელ ემოციურ მუხტს. დღეს მხოლოდ 180-მდე კოშკია შემორჩენილი, უმეტესობა დაზიანებულია. საქართველოს ყველა დროის ხელისუფლების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს კოშკების, მთელი სისტემის აღდგენა პირვანდელი სახით. შესაძლოა ეს დროში გაიწელოს (რამდენიმე ათეული წელი), მაგრამ მიზანი უნდა იყოს ურყევი. სვანეთი ის ადგილია, სადაც აუცილებელია ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა.

აზრი არა აქვს მეიერის საქართველოში ნამოღვაწარის ცალ-ცალკე განხილვას, ისინი საერთი "საავტორო" ნიშნებს ატარებენ: მიზანდასახული უპატივისცემლობა ქვეყნის კულტურულ და არქიტექტურულ ტრადიციებზე, ისტორიულ გარემოში პროექტირებისა და მშენებლობის საერთაშორისო წესების თავხედური იგნორირება. იურგენისთვის უცხოა ცნებები, კონტექსტი, არსებულისადმი პატივისცემა, რევერანსი, რაც დეკლარირებული და მოთხოვნილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა საერთაშორისო დოკუმენტით. დარწმუნებული ვარ, მას ანალოგიური რამ რომ გაეკეთებია თავის ქვეყანაში, გერმანიაში, რომელიმე ისტორიული ქალაქისათვის ან უბნისათვის, გერმანელები საქმეს რეალიზაციამდე არ მიიყვანდნენ და კინწისკვრით მოისვრიდნენ ქვეყნიდან. მესტიაში რეალიზებული ობიექტების მხატვრული ორიენტაცია, არქიტექტურული თემა უნამუსოდ მოპარულია გამოჩენილი იაპონელი არქიტექტორის ტოიო იტოსგან და დანიელი ბჟარკე ინგელსისაგან.

რაც შეეხება სარფის საბაჟო ტერმინალს, ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციონალურ ცენტრებს გორის ჩასასვლელთან, აქ ადამიანური ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, მი-





იურგენ მეიერი. ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციური ცენტრები



ა. დომინგო, კ. ლაზარო, ს. კასტელანო
პარლამენტის შენობა ქუთაისში.

ღწეულია არა არქიტექტურული ლოგიკით, პროფესიონალიზმითა და ტალანტით, არამედ კომპოზიციური ტრიუკით, ექსცენტრულობით, ჟონგლიორობით.

იურგენ მეიერის არქიტექტურული საქმიანობა საქართველოში უნდა შეფასდეს უკიდურესად უარყოფითად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფად, დანაშაულად. მაგრამ... დანაშაულში ლომის წილი უნდა აიღოს თავის თავზე იმჟამინდელმა კულტურის სამინისტრომ, მისმა "ძეგლთა დაცვამ" უმოქმედობის, სიმხდალის და მონური მორჩილებისათვის.



იურგენ მეიერი
მემორიალი ანაკლიაში

## V. ა. დომინგო – კ. ლაზარო – ს. კასტელანო (ესპანეთი)

მიკელე დე ლუკიზე და იურგენ მეიერზე ხელისუფლების არანაკლები ნდობით იყვნენ აღჭურვილნი ესპანელი ა. დომინგო, კ. ლაზარო და ს. კასტელანო. მათ ანდეს ქვეყნის უპირველესი ობიექტი – საქართველოს პარლამენტის შენობის დაპროექტება.

*პარლამენტის შენობა ქუთაისში. 2012.*

აი რას წერენ ავტორები პროექტის ანოტაციაში:

"დაპროექტებული სივრცის იდეა წარმოიშვა წყლის უზარმაზარ ზედაპირზე ამოტივტივებული გიგანტური ბუშტის კონცეფციიდან, რომელიც დასაბამს აძლევს სივრცეს, მოცულობას დამცავი და საიზოლაციო კაფსულის სახით და გარს აკრავს პარლამენტის შენობას.

ბუშტი დაცულობასთან, გამჭირვალობასა და სიწმინდესთან ასოცირდება. იგი იმ ფასეულობების ნათელი ანალოგიაა, რაც წარმოადგენს ქართულ პოლიტიკას. ეს გამოხატავს საქართველოს მთავრობის ძალასა და სიმტკიცეს".

მართალია, პარლამენტის შენობის იდეა გიგანტური ბუშტისგან მომდინარეობს, მაგრამ ის მაინც იმ ფასეულობების ნათელი ანალოგი ყოფილა, რაც წარმოადგენს ქართულ პოლიტიკას და რაც გამოხატავს საქართველოს მთავრობის ძალასა და სიმტკიცეს – დიპლომატიური სინატიფით აამეს თავი ხელისუფლებას ავტორებმა.

როგორაა ყოველივე ეს მიღწეული არქიტექტურით?

საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა ფორმა-ნიშანთა სემანტიკით, თავდაცვითია, კუს ალეგორიაა, პასიური, უკარება, უხასიათო, დეპრესიული, საიდუმლოებით მოცული. ტიპოლოგიურად სპორტული ნაგებობაა. ზეიმურობის, დემოკრატიულობის, სიძლიერის და სიამაყის არავითარი ნიშან-წყალი არ გააჩნია. ესაა შენობა არქიტექტურულ-მხატვრული სიუჟეტისა და რეჟისურის გარეშე. მთავარი, სხდომათა დარბაზის ინტერიერი უინტერესო და მოსაწყენია. სხვა სათავსოთა ინტერიერებსაც დაქვეითებული აქვს ემოციური მუხტი. სხდომათა, სათათბირო და საკონფერენციო დარბაზები შემაწუხებლამდე რაციონალისტური და განძარცულია. ვისაც ეს "დახასიათება" არაობიექტურად მიაჩნია, ვთხოვ გონებაში აღიდგინოს თბილისის პარლამენტის შენობა.

ყოველი შენობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია შესასვლელი. შესასვლელი პირველი აკორდია, პირველი შთაბეჭდილება. ყოველი არქიტექტურული სტილი თავისებურად წყვეტდა შესასვლელის პრობლემას. ის ყოველთვის იყო შესაბამისობაში შენობის ფუნქციასთან. პარლამენტის ახალ შენობას შესასვლელის ფსიქოემოციური და ესთეტიკური პრობლე-



იურგენ მეიერი
პოლიციის შენობა მესტიაში



ა. დ. კაბო
ხსოვნის მემორიალი

მა საერთოდ არ აწუხებს. ის უბრალოდ ფიზიკური შესასვლელია.

როგორც სჩანს, დაქვეითებული ემოციურობა, მდუმარება ზემოთხსენებული ავტორების კონცეპტუალური პოზიციაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს მათი მეორე შენობაც, პარლამენტის სიახლოვეს აშენებული "მთავრობის სახლი", ბანალური, 50-60-იან წლებში ჩარჩენილი ფონური შუშის არქიტექტურაა. სამწუხაროა, რომ ესპანელი ავტორები, რომლებსაც ანდეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ობიექტი, ელემენტალური, სტუმრის თავაზიანობის, ეტიკეტის დონეზე მაინც არ ჩასწვდნენ ქართულ მენტალობას, ტრადიციებს, ხასიათს, სულისკვეთებას, გახსნილობას, ემოციურ წყობას, თეატრალობას და სხვა. ეს, ყველა უცხოელი არქიტექტორის ნახელავში იმდენად ტიპიურია, რომ იფიქრებ, ეს იყო დამკვეთის (ხელისუფალის) კატეგორიული მოთხოვნა.

ერთი "ნიუანსი", რომელსაც ხელისუფლება მხოლოდ მაშინ შეიგრძნობს, როდესაც ამის საჭიროება დადგება. პარლამენტის შენობა უნდა იყოს არა მხოლოდ ზეიმური, ოპტიმისტური და მკაფიო იდეის მატარებელი, არამედ უნდა ქონდეს სახელმწიფო რიტუალების ჩატარების შესაძლებლობა. განსხვავებით თბილისის პარლამენტის შენობისგან, დომინგო-კასტელანო-ლაზაროს ხუფი ამის საშუალებას არ იძლევა. არა ერთი შთამბეჭდავი რიტუალი გვახსოვს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, სადაც სწორედ არქიტექტურა იყო მძლეთამძლე ფსიქოემოციური ფაქტორი, პირველი ვიოლინო. ქუთაისის პარლამენტის შენობას სახელმწიფო რიტუალების ჩასატარებლად საგანგებო სცენოგრაფია და რეჟისურა დასჭირდება. გამოსავალი ორიდან ერთია, ან მუდმივად ახალი სცენოგრაფია და რეჟისურა, ახალი მატერიალური ხარჯები ან რიტუალები უნდა ჩავატაროთ თბილისში "ძველი" პარლამენტის შენობასთან?!

ცნობისათვის: პარლამენტის შენობის სამი ავტორიდან ა. დომინგო და კ. ლაზარო სამოქალაქო ინჟინრებია, მხოლოდ ქალბატონი სანდრა კასტელანოა არქიტექტორი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი ესპანელი არქიტექტორის მოღვაწეობა. ესაა ა. დ. კაბო. საქართველოში მას ორი რეალიზაცია აქვს – *"ხსოვნის ობელისკი"* თბილისში, გმირთა მოედანზე და *ანბანის კოშკი* ბათუმში. მსოფლიოში არ არის მემორიალი, სადაც ადამიანი ვერ მიდის, ყვავილს ვერ დადებს, თურმე გვარებიც აწერია, მაგრამ როგორ უნდა წაიკითხო? უწოდო ამ ობელისკს "ხსოვნის მემორიალი", ეს მკრეხელობაა.

ქვეყანაში, სადაც გაუქმდა ქართული ენის დამცავი ყველა უწყება, სადაც მძინვარებს სნობიზმი, ფირნიშებიდან თითქმის განდევნილია ქართული წარწერები და საცაა ინგლისური გამოცხადდეს სახელმწიფო ენად, "ანბანის კოშკი" ცინიზმი და ფარისევლობაა. უხერხულია ილაპარაკო მის მხატვრულ სახეზე. ის ჩვეულებრივი, უინტერესო მილების სტრუქტურაა, არა და მისი ღირებულება 62 მილიონი ლარია.



ა. დომინგო, კ. ლაზარო, ს. კასტელანო
მთავრობის სახლი



მაქსიმილიანო ფუქსასი
საგამოფენო დარბაზი რიყეზე

## VI. მაქსიმილიანო ფუქსასი (იტალია)

ცოტა მეუხერხულება ფუქსასის მოხსენიება ზემოთხსენებულ, ფაქტობრივად არაარქიტექტორების კომპანიაში. მაგრამ ეს განპირობებულია მისი "უცხოელობით" და არავითარ შემთხვევაში პროფესიული რანგით. ფუქსასი საერთაშორისო კლასის არქიტექტორია და მისი მოღვაწეობა ყველა ქვეყნისათვის სასურველია. მაქვს "საბაბი" მქონდეს პიროვნული სიმპატიებიც. დრო და დრო ვხდებით არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სესიაზე სოფიაში, ერთ არქიტექტურულ ჟიურიშიც ვმონაწილეობდით ბუენოს აირესში. ფუქსასის პირველი პროექტი საქართველოში მეტრო "დელისთან" მაღლივი შენობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ წერტილოვანი მაღლივი შენობები მაინცდამაინც დიდ გასაქანს არ იძლევიან სივრცობრივი ვარიაციების მხრივ, ფუქსასის "კოშკის" პროექტი სახიერია. მოგვიანებით ცნობილი ხდება კიდევ ორი ობიექტი, ორივე მნიშვნელოვანი, ორივე თბილისის ისტორიულ ნაწილში, სამაყურებლო დარბაზი 500 ადგილზე – საგამოფენო დარბაზი რიყეზე და იუსტიციის სახლი მარჯვენა სანაპიროზე "კორტების" ადგილას. თბილისის იუსტიციის სახლი კომპოზიციით, ფორმით, სივრცობრივად, ექსტრაორდინარულია. მას აქვს ინტერესის და ემოციების გამოწვევის უმაღლესი მუხტი, აქტიურია, რაღაცნაირად ქალური, მსუბუქი, კეკლუცი, თავმომწონე, ქართულად ხელგაშლილი და მიმღებიანი, რაციონალიზმის და ეკონომიკურობის საკითხი საერთოდ მოხსნილია. როგორც სჩანს დაკვეთა იყო – "განსაკუთრებული!" შესაბამისი ფინანსური "კარტბლანშით". მიზანი მიღწეულია. გამონაკლისის სახით ქვეყანას აქვს უფლება ასეთი დაკვეთის. ასე დაიბადა მსოფლიოს არაერთი შედევრი, მათ შორის სიდნეის ოპერის თეატრი, ბილბაოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, პომპიდუს ცენტრი და სხვა. საინტერესოა ანარეკლები მტკვარზე, ღამით, დღისით, კარგია ღამის განათებაც. საინტერესოა ხედები მარცხენა სანაპიროდან და რაკურსები ახლო მანძილებიდან. ინტერიერი, როგორც წესი, იწყება ექსტერიერიდან. შენობის სივრცობრივი ხასიათი ერთნიშნად მიანიშნებდა ინტერიერის ექსტრაორდინარობას. მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. სახეზეა უნიკალური, პოლიფონიური სივრცე, შუქ-ჩრდილის საოცარი "თამაში" და მუდმივი ცვალებადობა. ახლა ერთ დელიკატურ საკითხზე, მხოლოდ პროფესიონალებისათვის, როგორც ამას საგანგებო სიტუაციაში ტელევიზიები აკეთებენ. ("მოარიდეთ ბავშვები"). იუსტიციის სახლის არქიტექტურული სახის უმთავრესი და განმსაზღვრელი თემაა სოკოსებრი სახურავები, ბერეტები. ისინი კი გარკვეულ ასოციაციებს იწვევენ გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორის ჟან ნუველის კატარის ეროვნულ მუზეუმთან. კატარის მუზეუმი გაცილებით დიდი არქიტექტურული ორგანიზმია. მას თბილისის იუსტიციის სახლი ფრაგმენტად ერგება. სამუზეუმო კომპლექსის მშენებლობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს. დამთავრება ნავარაუდევია 2014 წლის დეკემბერში. ამ მასშტაბის არქიტექტორების შემოქმედებაში ეს უპრეცედენტო დამთხვევაა. საქართველოში ფუქსასის სხვა დაკვეთებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მსგავსი ინფორმაციები ფაქტობრივად დახურული იყო.

არის მოსაზრება, თითქოს ფუქსასის იუსტიციის სახლი გარემოსთან მიმართებაში არამასშტაბური, არაკონტექსტური უცხო სხეულია. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ყოველი ახალი, ახალ მხატვრულ წესრიგს და ახალ ურბანულ იერარქიას ამყარებს. ეს გარდაუვალია. გარდა ამისა, ამ კონკრეტულ არეალში არ არ-



მაქსიმილიანო ფუქსასი
იუსტიციის სახლი თბილისში


არქ. ვანდი ჰოფერ ლორხი
პიქსელი


ლარს კრუკებერგი, ვოლფრამ პუტცი,
ტომას ვილლემეიტი
სასტუმრო რედისონ ბლუ - ივერია

ის რაიმე ისეთი არქიტექტურული ორიენტირი რომელიც ითხოვს დაქვემდებარებას. გაცილებით პრობლემურია *საგამოფენო-სამაყურებლო დარბაზები რიყეზე*, თავისთავად ფორმები ინტერესს იწვევენ, მაგრამ ისინი ისეთივე კომფლიქტურია გარემოსთან, როგორც "მშვიდობის ხიდი" და "შანგრილა" და ბუდა ბარის ყრუ კედელი. დიდმა მასამ გადაფარა ისტორიული ნაწილის უნიკალური ხედები, ხოლო მარჯვენა სანაპიროდან მნიშვნელოვნ-


ტავ ურბან ჯორჯია. თურქეთი
თბილისის აეროპორტი

ად შეცვალა არეალის სივრცობრივი წესრიგი, მასშტაბი, ხედები, პანორამა, რომლის დომინანტი იყო პრეზიდენტის სასახლე. წინა პლანზე ასეთი დიდი მასის და უჩვეულო ფორმების არქიტექტურამ ბუნებრივად დაისაკუთრა აქცენტის, დომინანტის ფუნქცია. ჩამოართვა პირველობა, ჩამოალაბორანტა პრეზიდენტის სასახლე. სხვა ადგილას, ისტორიული ნაწილის მიღმა, ეს დარბაზები უსათუოდ იქნებოდნენ საყურადღებო არქიტექტურული ფაქტი. ყველაფერთან ერთად, უდღრესად ძნელი იქნება ამ ობიექტის ექსპლოატაცია, ვინაიდან "დატვირთვა" ხდება ბარათაშვილის აღმართიდან, რომელიც უამისოდაც გადატვირთულია ტრანსპორტით.

### თბილისის აეროპორტი. ტავ ურბან ჯორჯია. თურქეთი. 2006.

აეროვაგზალი ქვეყნის ჭიშკარი, პირველი შთაბეჭდილება, იდეოლოგია, პოლიტიკა და პიარია. ამიტომაც, როგორც წესი, სახელმწიფოები ცდილობენ გამოაცხადონ საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო პროექტზე. პრაქტიკამ დაგვანახა, კონკურსის სწორი ორგანიზაციის (ნათელი პროგრამა, ჟიურის კომპეტენტურობა, პრემიები, ვადები) შემთხვევაში, ასეთ კონკურსზე 400-500 პროექტი "შემოდის". ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა სულსწრაფობით, ექსტრემალურ რეჟიმში, წესების უხეში დარღვევით ჩატარდა "ტენდერი" და არა კონკურსი 2005 წელს, თბილისის ახალ, ბოლო 50 წლის მანძილზე მესამე აეროპორტის დაპროექტებაზე და მშენებლობაზე. "ტენდერზე" სულ სამი – ორი ქართული და ერთი გერმანული პროექტი შემოვიდა. უპირატესობა გერმანულ პროექტს მიანიჭეს (ასეც იყო ჩაფიქრებული), მაგრამ გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. რამდენიმე დღეში გამოჩნდა უფრო "ხელსაყრელი" ინვესტორი. გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი. "გაიმარჯვა" თურქულმა კომპანიამ, რომელმაც იკისრა აეროპორტის დაპროექტება და მშენებლობა წარმოუდგენელად მოკლე ვადაში – 11 თვეში. ასე მივიღეთ ის რაც მივიღეთ – უემოციო, უსამშობლო, გლობალისტური, რიგითი შენობა.

### სავაჭრო ცენტრი "პიქსელი" თბილისში. არქ. ვანდი ჰოფერ ლორხი (Wandee Hofer Lorch) არქიტექტურული ჯგუფი. გერმანია. 2008.

შენობა ტოვებს დაუსრულებელის შეგრძნებას. არსებობს დამთავრების მუდმივი მოლოდინი. ფსიქოლოგიურად დაბომბილის მეტაფორაა (დროში ემთხვევა რუსეთ-საქართველოს ომს). არქიტექტურა კონცეპტუალურად არაკონტექსტუალურია მოცულობით, არქიტექტურული თემით, განწყობილებით, თუმცა როგორც გვერდზე, ასევე მოპირდაპირე მხარეს მდებარე შენობები იძლევიან გარკვეულ სტიმულს არქიტექტურული კონტექსტისათვის. ცარიელ ბუდეებში, თითქოს, გამწვანება უნდა ყოფილიყო. ეს შეარბილებდა დაუმთავრებლობის უსიამოვნო შეგრძნებას. შენობა უცხო სხეულია თბილისის ატმოსფეროსათვის. შემოქმედებითი თვალსაზრისით რიგითი ფონური არქიტექტურაა.

### სასტუმრო რადისონ ბლუ ("ივერია"). რეკონსტრუქცია. Graft – design Studio. აშშ. არქიტექტორები: ლარს კრუკებერგი, ვოლფრამ პუტცი, ტომას ვილლემეიტი. 2009.

არქიტექტორ ოთარ (ტონი) კალანდარიშვილის მიერ სასტუმრო "ივერიისათვის" ადგილი ზუსტად იყო შერჩეული. (60-იანი წლები). 22-სართულიანმა შენობამ (პირველი მაღლივი შენობა საქართველოში) იტვირთა აქცენტის როლი ქალაქის სივრცობრივ წყობაში. ავტორის ამოცანა იყო მიეღწია "ქართული განწყობილებისათვის". არქიტექტორმა ეს შესძლო. საქართველომ "ივერია" გაითავისა. სრულიად საწინააღმდეგოა რეკონსტრუირებული "ივერია". მას ერის კულტურის, მენტალობის, ადგილის სულის არავითარი განცდა არა აქვს. შენობისგან სიცივის გრიგალი ქრის. არ სუნთქავს, განდეგილია, უსამშობლო და უხასიათოა. ის მხოლოდ ფიზიკური ელემენტია ქალაქისა, კომფორტული ღამისათევი საწარმო. შენობა მცდარ წარმოდგენას უქმნის სტუმარს ქართველი ერის სულიერ და ესთეტიკურ ფასეულობებზე. უინტერესოა პირველი სართულის ინტერიერის სივრცობრივი და კოლორისტული გადაწყვეტა. შენობამ შეიძინა თანამედროვე სასტუმროსათვის მოთხოვნილი კომფორტი, მაგრამ დაკარგა უმთავრესი – თბილისური ატმოსფერო.

### რეზიდენცია სოლოლაკის თხემზე. არქიტექტორები: მიხეილ ხაზანოვი (რუსეთი) და შინ ტაკამაცუ (იაპონია)

ხაზანოვი და ტაკამაცუ არ წარმოადგენენ ერთ საავტორო ჯგუფს. ობიექტი დაიწყო ხაზანოვმა, დაამთავრა ტაკამაცუმ. უნდა ვივარაუდოთ რომ მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტა ეკუთვნის მ.ხაზანოვს. ადგილი ქალაქის ისტორიულ ნაწილშია, თვალსაჩინოა, შესაბამისად განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოში მო-


მიხეილ ხაზანოვი და შინ ტაკამაცუ
რეზიდენცია სოლოლაკის თხემზე



ონ სტუდიო, ჰოლანდია. არქ. ბენ ვან ბერკლი
ქუთაისის აეროპორტი

ღვაწე არც ერთ უცხოელ არქიტექტორს გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან კონტექსტზე არ უზრუნია. სოლოლაკის რეზიდენციის შემთხვევაში არის კონტექსტის მცდელობა, ვფიქრობ წარმატებული. წრიული ფორმის "კოშკები" იწვევენ გარკვეულ ასოციაციებს ნარიყალას გოდოლებთან. კომპლექსის მოცულობა დანაწევრებულია, სივრცობრივი ხასიათი, მასები, სილუეტი, თითქოს აგრძელებენ ფერდობის სტიქიური განაშენიანების ტენდენციას. დისონანსზე, სიტლანქეზე, როგორც ამას ადგილი აქვს რიყეზე, მესტიაში, ლაპარაკი დაუშვებელია. შენობის წამყვანი არქიტექტურული თემა, მასალა (მინა, ლითონი), ფრაგმენტები, ეს ინდივიდუალური გემოვნების საკითხია. ამ მხრივ ნაკლებად მოხიბლული ვარ, შესაძლოა ზოგადად "ჰაიტეკისადმი" ჩემი უარყოფითი დამოკიდებულობიდან გამომდინარე, ლითონის სიჭარბის, მისი როგორც მასალის სიცივისა და "თანდაყოლილი" არაინტიმურობის გამო. არ მიმაჩნია სწორად, ტერიტორიის გაერთიანების მიზნით (სხვა მოტივს ვერ ვხედავ), გრძელი გვირაბის მოწყობა, რამაც გამოიწვია თაბორის მთაზე ულამაზესი ხედის ჩაკეტვა, თავად შენობის საინტერესო რაკურსების და ფრაგმენტების გადაფარვა.

### თბილისი მოლი. Carefour, Georgia. რაკენ პროჯექტი. გაერთიანებული ემირატები. 2012.

შენობა ორგანულადაა ჩაწერილი არსებულ ურბანულ ქსოვილში. ინტერესს იწვევს მონდრიანის სტილში გადაწყვეტილი ფერადოვანი კედელი. ის იკითხება ტრასის ორივე მხრიდან, შორი მანძილებიდან და გარკვეულწილად ორიენტირის ფუნქციასაც ასრულებს. ფერადოვანი კედელი და მკაცრი, რიტმული ღიობებიანი მინიმალისტური კედელი კარგად ავლენენ ერთმანეთს. მკაფიოა გეგმა. მრავალსინათლიან "მთავარ ქუჩაზე" აკინძულია სხვადასხვა საფირმო მაღაზიები, რომელთაგან სასურველს იოლად აგნებს მომხმარებელი. სივრცობრივად შთამბეჭდავი, საზეიმო და ამაღლებულია მრავალსართულიანი ცენტრალური დარბაზის ინტერიერი. ცენტრში დაშვებული გიგანტური "ძაბრი" ქმნის მხატვრულ ინტრიგას. მიწისქვეშა ავტოსადგომი და გამართული ვერტიკალური კავშირები, მნიშვნელოვან კომფორტს უქმნის მომხმარებელს. თბილისი მოლი – კარეფური კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი აქტიური მოკავშირე შეიძლება იყოს არქიტექტურა ბიზნესის.

### ქუთაისის აეროპორტი. ონ სტუდიო. ჰოლანდია. არქ. ბენ ვან ბერკლი. 2012.

უპრეტენზიო შენობაა, მინიმალიზმის ზღვარზე. ინტერიერის სივრცე ერთიანია, ცხადი, იოლად ორიენტირებადი, რაც აკლია თბილისის აეროპორტს. რომბისებურ კესონებიანი ჭერი, ინდივიდუალობას ანიჭებს შენობის ინტერიერს და გამოარჩევს ანალოგიური ნაგებობებისგან. მთლიანობაში შენობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას განაპირობებს ავტორების ტაქტი და პროფესიონალიზმი.

როგორ უნდა შეფასდეს უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობა ვარდების პერიოდის საქართველოში?

1. შენობათა უმრავლესობა გარემოსთან არაკონტექსტური, შემოქმედებითი თვალსაზრისით ფონური არქიტექტურაა. მათ ვერაფერი შემატეს ერის სულიერ და მატერიალურ კულტურას.

2. რამდენიმე შენობა შეიძლება არქიტექტურულად "საინტერესო"ს კატეგორიას მივაკუთნოთ.

3. შენობათა არც თუ მცირე ნაწილს დამნაშავის სტატუსი შეიძლება მივაკუთნოთ, როგორც კულტურული მემკვიდრეობის და ეროვნული ღირსების შემლახველი "მშვიდობის ხიდი", "შანგრილა", ბუდა ბარი, სამაყურებლო და საგამოფენო დარბაზები რიყეზე, პოლიციის და იუსტიციის სახლები, აეროპორტი – მესტიაში. გერმანელი არქიტექტორის იურგენ მეიერის მცდელობა კოშკი – მაჩუბის ახლებური ინტერპრეტირებისა, კრახით დამთავრდა.

ამ მოვლენაში მთავარი დამნაშავეა ხელისუფლება, რომელმაც მიისაკუთრა უცხოელებთან ურთიერთობის "სრული პაკეტი", დაკვეთა – დამტკიცება – რეალიზაცია, პროფესიული და საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით.

ასეთია საქართველოში ვარდების პერიოდში უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობის მასშტაბები, მათი საქმიანობის ჩემეული შეფასება, რა თქმა უნდა არა მაქვს ბოლო ინსტანციის პრეტენზია.

შესაძლოა, მეტწილად კრიტიკული მუხტის გამო მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგი ვარ საქართველოში უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობის. ეს იქნებოდა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, ისტორიის უცოდინარობა და იგნორირება. წინააღმდეგი ვარ არა "უცხოელი არქიტექტორის", არამედ იმ უცხოელის, რომელსაც შემოქმედებითი პოტენციალი არ გააჩნია ღირებულების შესაქმნელად, რომელიც სარგებლობს დამკვეთის არქიტექტურულ პრობლემებში გაუნათლებლობით და ტვინის საქართველოს მეორად "პროდუქციას", ყავლგასულ ფონურ არქიტექტურას. ასეთები იყვნენ ავტორიტარიზმის პერიოდის მიერ პატივცემული უცხოელ არქიტექტორთა უმრავლესობა. მე წინააღმდეგი ვარ უცხოელებისათვის "უპირატესი ხელშეწყობისა", მათი ქართველ არქიტექტორებზე წინ დაყენების, შემოთავაზებების ბრმად, საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის გაუთვალისწინებლად მიღებისა, უცხოელი არქიტექტორების სტიქიურად შერჩევისა. წინააღმდეგი ვარ არქიტექტორის – უცხოელის, ქართველის, რომელიც უპატივმცემლობას იჩენს ქვეყნის კულტურის და ისტორიის მიმართ. მე მივესალმები უცხოელი კოლეგების ცივილურ მონაწილეობას, თანამშრომლობას ქართველ არქიტექტორებთან, რაც აპრობირებული მეთოდია, იმავდროულად იმუნიტეტი არქიტექტურული ექსცესებისგან, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.





რაკენ პროჯექტი. გაერთიანებული ემირატები
თბილისი მოლი



# თბილისის ბაღ-პარკების ექსპანსიის პრობლემები საბაზრო-ეკონომიკის პირობებში

გლობალურ გარემოში შექმნილი პრობლემების მოგვარება უნდა დაიწყოს ყოველი კონკრეტული ადგილის, ყოველი კონკრეტული გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებით და განხილული უნდა იქნას არა მხოლოდ ლოკალური პრობლემის ჭრილში, არამედ მთლიანობაში, როგორც გლობალური პრობლემის ნაწილი. ურბანულ გარემოში კიდევ უფრო მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემები, ამიტომ ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება ქალაქის ლანდშაფტის სოციალური და ეკოლოგიური მნიშვნელობა. არც საქართველო და მისი დედაქალაქია გამონაკლისი.

თბილისის განვითარების გეგმით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტურიზმის განვითრება წარმოადგენს, რაც შესაბამისი სიმძლავრის ინფრასტრუქტურის შექმნას მოითხოვს, როგორც დედაქალაქში ასევე მის ფარგლებს გარეთ.



სამწუხაროდ ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის ცენტრალურ უბნებში გახშირდა ისეთი მშენებლობები, რომლებმაც შეამცირა ისედაც მწირი გამწვანებული ტერიტორიები. ასევე არსებითად საჭიროა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე პარკების, სკვერების, ბაღების დაცვა. ახალი გამწვანებული ტერიტორიების სწორი ორგანიზება.

მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში, კაცობრიობა შეეჯახა გლობალური ეკოლოგიური კრიზისის პრობლემებსა და ბუნებრივი რესურსების ამოწურვადობის საშიშროების თვალსაზრისით, დაიწყო ფიქრი თავისი განვითარების არასახარბიელო პერსპექტივაზე, მასშტაბური აზროვნების, ცხოვრების წესის კურსის შეცვლის აუცილებლობაზე. გლობალურ მიღწევად გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული რიგი ღონისძიებები,სადაც განიხილებოდა დედამიწაზე შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის არასასურველი მდგომარეობა.

1992 წელს, რიო დე ჟანეიროს გარემოს დაცვის დეკლარაცია გარემოს გან-

ვითარების შესახებ, აცხადებს, რომ ყოველი მოქმედება, რომელიც არღვევს ბუნების წონასწორობას, ბადებს ეკოლოგიურ პრობლემებს. გარემოს დაცვა ეს არის ბუნებასა და ადამიანს შორის ჰარმონიის დამყარების უტყუარი საშუალება.

ურბანიზაციის თანამედროვე ეტაპზე დაირღვა ეს ჰარმონია ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოს შორის, რამაც მთელ მსოფლიოში მწვავე ეკოლოგიური პრობლემები გამოიწვია. თანამედროვე ქალაქში შეცვლილია ბუნებრივი გარემოს თითქმის ყველა შემადგენელი კომპონენტი, ამიტომ ქალაქის დაგეგმარებისას, მეტად აქტუალურია განაშენიანებისა და ახალი წარმონაქმნების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტისა და ეკოლოგიური მოთხოვნების შეთანაწყობა. ურბანული გარემოს მდგრადი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დონეზე. უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტად, ქალაქის ტერიტორიის გამწვანება გვევლინება, რომელიც ურბანული გარემოს შეფასების შკალაზე სულ უფრო მაღალ ადგილს იკავებს.

ქალაქი თბილისი, დგას რიგი პრობლემური საკითხების წინაშე, რომელთა გადაწყვეტაც მკვეთრად გააუმჯობესებს დედაქალაქის გარემოს საერთო მდგომარეობას და უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტებისა და ინვესტორებისთვის.

ქ. თბილისის გამწვანებისა და გაწყლიანების გენ-გეგმის პროექტი ითვალისწინებდა, ქალაქის გამწვანების ერთიანი სისტემის შექმნას და მის მეტ-ნაკლებად თანაბარ განაწილებას გეგმარებითი რაიონების მიხედვით. პროექტის მიხედვით საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების საერთო ფართობი 2000 წლისთვის უნდა გამხდარიყო 3061,0 ჰა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 24,5მ2-მდე უნდა გაზრდილიყო. სამწუხაროდ ცოტა რამ გაკეთდა ჩანაფიქრიდან, 19 ახალი საპარკო ობიექტიდან, არცერთი არ განხორციელდა და პირიქით მიმდინარეობს ექსპანსია, როგორც არსებულ საქალაქო გამწვანებულ სივრცეებზე, ასევე არსებულ პარკებსა და ბაღებზე. წარმოუდგენელია, რომ ნებისმიერი ევროპული ქალაქის, კულტურული მემკვიდრეობის ლანდშაფტურ ძეგლებში, აშენებულიყო-საცხოვრებელი სახლი, სახინკლე ან რესტორანი, ამ მიზნით მოჭრილიყო საუკუნოვანი ხეები, და ეს დაეშვა ქალაქის მართველობას, როგორც ეს მოხდა ვაკისპარკის, მუშტაიდის, ვერეს ბაღებში.

ქალაქში გამწვანებაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია, გატარდეს შემდეგი კონკრეტული ღონისძიებები:



- საბაღე-საპარკო ობიექტებისა და ქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაცვა;
- მწვანე ნარგავების სრული ინვენტარიზაცია;
- ქალაქის მნიშვნელოვანი ძეგლების სტატუსის მქონე საბაღე-საპარკო ობიექტების რესტავრაცია;
- ქალაქის მაშტაბით დაიწყოს ეკომონიტორინგი;
- დადგინდენს თბილისის ბაღების, პარკების და სკვერების წითელი ხაზები;
- შემუშავდეს გამწვანების სპეციალური ნორმები საქართველოს კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით.





ეკოლოგიური მდგომარეობისა და გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია სხვადასხვა ქალაქგეგმარებითი ღონისძიებების გატარება, კერძოდ -ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოძრაობის ორგანიზება, მოჭარბებული ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიების ეკორეაბილიტაცია, რაც გულისხმობს მეტი გამწვანებული არეალების შექმნასა და არსებულის მაქსიმალურ დაცვას.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო ხუთი პარკიდან: ლისის ტბის, კუს ტბის, თბილისის ზღვის, მთაწმინდის პარკი - საკმაოდ მოშორებულია საცხოვრებელ რაიონებს და მოსახლეობისათვის ძნელად მისაწვდომია. განაშენიანებულ ნაწილში, ფაქტიურად მხოლოდ ერთი ვაკის პარკი მდებარეობს, სადაც ჩვეულებრივ არაა დაშვებული მშენებლობა. სასტუმროს მშენებლობას შესაძლოა მწვანე ნარგავები შეეწიროს. აქ ყოვლად დაუშვებელია მშენებლობა, რაც ვაკის პარკის ფუნქციებს ზღუდავს. ცხრა ძირ ხეს მოჭრა ემუქრება, რისი ნებართვაც თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურს 2013 წლის 17 სექტემბერს აქვს გაცემული. ინფორმაცია მშენებლობის შესახებ, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე მოცემული. მწვანე ნარგავებს დიდი როლი აქვთ ქალაქის ჰაერის გაწმენდის გაჯანსაღების თვალსაზრისით. მათ აქვთ თვისება ჰაერიდან შთანთქონ ნახშიროჟანგი და გამოჰყონ ჟანგბადი. 1 ჰა ნარგაობა 1სთ-ში შთანთქავს 8კგ ნახშიროჟანგს, რომელიც იმავე დროის ფარგლებში გამოჰყოფს 200 ადამიანი. აქედან გამომდინარეობს ნორმა - 50კვ.მ, ერთ ადამიანზე. მაგრამ ამ ნორმების გამოთვლისას არ იყო გათვალისწინებული ის, რომ ადამიანის მიერ გამოყოფილ ნახშირორჟანგს ემატება საწვავის წვის მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგიც. იმის გამო, რომ მის მხოლოდ პატარა ნაწილს შთანთქავენ ნარგავები, ნახშირორჟანის ძირითადი ნაწილი ატმოსფეროში იკარგება. ქალაქის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჰაერის გასაუმჯობესებლად რგავენ სხვადასხვა ჯიშის ნარგავებს, რომლებიც შთანთქავენ მომწამლავ ნივთიერებებს. ცენტრებში,სადაც უფრო დიდი საშიშროებაა ჰაერის დაბინძურებისა, ქალაქის გარემოს გასაუმჯობესებლად კარგია დაირგას: თეთრი ტირიფი, მუხა, დიდგულა წითელი, ნეკერჩხალი ამერიკული. გარემოს დაბინძურებას დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ადამიანი შეისუნთქავს 13-დან 48%-მდე ჰაერში არსებულ მავნე მინარევებს, რომლებიც დამღუპველ ზეგავლენას აზდენს მასზე. ქვეითდება მათი შრომისუნარიანობა, ხდება გონების გაფანტვა და ზოგიერთ შემთხვევაში დაღუპვა. ისტორიას ახსოვს ჰაერის დაბინძურების ასეთი ბევრი კატასტროფული ფაქტები.

ასევე არასაკმარისი გამწვანებაა თბილისის დასახლებულ პუნქტებში, კვარტლებში, რაიონებში და ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ქალაქის ხმაურიან ფონს ქმნის. ხმაური არა მარტო ტრამვას აყენებს ადამიანს, არამედ თრგუნავს ფსიქიკას, ანგრევს ჯანმრთელობას, აქვეითებს ფიზიკურ და გონებრივ უნარს. გამოკვლევებმა აჩვენა ,რომ ხმაური ადამიანის ჯანმრთელობაზე ისეთივე დამანგრეველ გავლენას ახდენს, როგორც ზოგიერთი მომწამლავი ნივთიერება.

ქალაქის ურბანიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ლანდშაფტური არქიტექტურის მიაზანია არა მხოლოდ მოხდეს დიდი ტერიტორიების გამწვანება და კეთილმოწყობა, არამედ უნდა შეიქმნას ეკოლოგიური, ძლიერი გარემო. ყველაფერი უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივ და ისტორიული ლანდშაფტის ურთიერთკავშირს.

მწვანე ნარგავების თვისებები უკეთ რომ იყო გამოყენებული, ამისათვის არ არის საკმარისი ნარგავების გამწვანების გამოყვანა ნორმების მიხედვით. აუცილებელია და სასურველია მიკრორაიონების არსებული ნარგავი გამოყენებული იყოს ადამიანისათვის კეთილსასურველი გარემო პირობების ფორმირებისათვის და არქიტექტურული ლანდშაფტის გასამდიდრებლად.

თბილისის გარემოს გამწვანებაზე და კეთილმოწყობაზე უნდა ვიფიქროთ კომპლექსურად. საჭიროა თბილისის ერთიან ურბოფიტოსისტემის შექმნაზე ზრუნვა. ამ ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია ლანდშაფტური არქიტექტურის გამოყენებით და მწვანე ტერიტორიების კარგად შესწავლით და ყველა შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ანა ლაღიძე





# Problems landscape gardening expansion of Tbilisi in the economic conditions

In this paper is considered the role and significance of green planting for improvement of ecological state of urbanized environment. There are covered the peculiarities and sanitary-hygienic features or green planting and are given the recommendation for improvement of legislative framework and for arrangement of green spaces with the purpose of perfection of ecological indices of Tbilisi City.

ANA LAGIDZE









# გიგა ბათიაშვილის წიგნი "ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში"

**გამოიცა ღვაწლმოსილი ქართველი არქიტექტორის, გიგა ბათიაშვილის წიგნი „ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში" .**

**გიგა ბათიაშვილის წიგნი ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი და თბილისის არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებების გენეტიკას ეხება. ავტორი გვიზიარებს თავის შეხედულებებს 1990-2012 წლების თბილისის არქიტექტურულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე, იხსენებს ეპიზოდებს თავისი ცხოვრებიდან, მოჰყავს ამონარიდები საჯარო, სატელევიზიო თუ რადიო-გამოსვლებიდან, აქვეა ფრაგმენტები სტატიებიდან, წერილებიდან და დოკუმენტებიდან.**

**წიგნი ილუსტრირებულია სხვადასხვა წლებში გიგა ბათიაშვილის მიერ შექმნილი არქიტექტურული ესკიზებით, პროექტებით, შენობების ფოტოებითა და გრაფიკულ-ფერწერული ნახატებით.**

გიორგი (გიგა) ბათიაშვილი – ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსი, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის, სსრ კავშირის სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატი, პროფესორი, დოქტორი. 2012 წელს პუბლიცისტურმა ენციკლოპედიამ მიანიჭა "საუკუნის ადამიანის" წოდება.



დაიბადა 1934 წლის 29 მარტს ქ. თბილისში, მეცნიერის ოჯახში. არქიტექტურული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტში" და პირად შემოქმედებით სახელოსნოში. იყო "თბილქალაქპროექტის" თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციარეგენერაციის არქიტექტურული სახელოსნოს შემოქმედებითი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტისა. ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. არის სრული პროფესორი. პროფ. გიგა ბათიაშვილის მოწაფეები წარმატებით მოღვაწეობენ, როგორც შემოქმედებითად, ასევე პედაგოგიურ და სამეცნიერო ასპარეზზე. მათ შორის არიან საერთაშორისო და სხვა პრემიების ლაურეატები და სამეცნიერო წოდებათა მფლობელები. პროფ. გიგა ბათიაშვილი სამეცნიერო კვლევის ავტორია ქალაქმშენებლობის სფეროში – ძირითადი პრობლემა – ისტორიული ქალაქების ქალაქმშენებლობითი ფენომენი. იგი ავტორია ქ. თბილისის ისტორიული ნაწილი რეკონსტრუქციარეგენერაციის ქალაქმშენებლობითი პროგრამისა. ამ პროგრამით მისი 100%-ზე მეტი საავტორო პროექტია მშენებლობით განხორციელებული, ნაწილი პროექტებისა კი განხორციელების პროცესშია. პროფ. გიგა ბათიაშვილის შემოქმედება ფართოდ არის გაშუქებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიის მიერ. მის შემოქმედებაზე გამოქვეყნებულია 50-ზე მეტი გამოკვლევა და სტატია.

გიგა ბათიაშვილი, როგორც მხატვარი, ავტორია 4 კინოფილმისა, რომელთა დემონსტრირება ხდება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. პროფ. გიგა ბათიაშვილი მონაწილეა მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციასიმპოზიუმ-სემინარისა. გამოდის მოხსენებებით, კითხულობს ლექციებს არქიტექტურულ საზოგადოებებსა და უმაღლეს არქიტექტურულ სასწავლებლებში. მისი ნამუშევრები ექსპონირებული იყო თბილისში, მოსკოვში, პარიზში, ბრაიტონში, ბერლინში, დელიში, ბომბეიში, ჰანოიში, საიგონში, სოფიაში, ლოს-ანჯელესში, ვოშინგტონსა და სხვა ქალაქებში.

**გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს გიგა ბათიაშვილის წიგნიდან – "ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში"**

## "გულივერს საქართველოში ბოტები დარჩენია"

**ამონარიდი. "კვირის პალიტრა", 18–24.IV. 2011წ.**

"კვირის პალიტრამ" თავის საიტზე გამოაქვეყნა მერიის სათათბირო ორგანოს – ისტორიული საბჭოს (რომელი საბჭოს?) მოწოდებული პროექტის ფოტო, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მოჭარბებული ფანტაზიითა და ენაკვიმატობით გამორჩეულმა მკითხველებმა ჯერ აუშენებელ ობიექტს სხვადასხვა სახელიც მოუფიქრეს, მაგრამ მისი დანიშნულება ვერ ამოიცვნეს..." ეს ბოტია, რომელიც გულივერს დარჩა, თუ კანალიზაციის მილი?

როგორია ჩემი აზრი? როგორია და აი, ასეთი: ის რაც რიყეზე ხდება – გაუგებარია, რატომ აშენდა გვირაბი მიწის ზედაპირზე? რატომ აშენდა უფუნქციო ხიდი? რატომ მიაშე-







პროექტი "ხიდები".
არქიტექტორები: გ. ბათიაშვილი, ა.ყრუაშვილი.



პროექტი "ხიდები".
არქიტექტორრები: გ. ბათიაშვილი, ა.ჟრუაშვილი.

ნეს ბარათაშვილის კლდეს ასევე უფუნქციო უზარმაზარი კიბე? რატომ აპირებენ " ბუდა ბარის", ბოტების თუ კანალიზაციის მილის აშენებას? – ესაა გამიზნული მცდელობა " ძველი თბილისის", მისი განუმეორებელი მხატვრული სახის, მისი ღირსების დასაკნინებლად.

რიყის, დღეს უკვე არარსებული ისტორიული უბნის, შესაძლო რეანიმაციაზე უარიც, რომ ვთქვათ და მისი ახლებურად გააზრება მოვინდომოთ, როგორ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ მშვენიერ, თბილისურ "გვირგვინს", რომელიც თავს ადგას ამ ადგილს: "რიყეს", "საჩინოს", "მეტეხს", " თაბორს", "ნარიყალას", "სიონს", სიონის უბანს, "ანჩისხატს", "მამადავითს", ბარათაშვილის აღმართს შესანიშნავი კედლითა და მის პლატოზე განთავსებული საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციით, ამ ადგილის უმნიშვნელოვანეს აქცენტს – წმინდა სამების ტაძარს, ხოლო მტკვრის აყოლებით დიდ "უნაგირში" ჩაწოლილ კავკასიონს, მისი ულამაზესი მწვერვალით, – "ყაზბეგის" მთით. ეს მშვენიერი ცირკორამა ხომ მხოლოდ ჩვენია, თბილისურია, განუმეორებელია. ეს არის შემოქმედი ადამიანების ერთობლივი ნამოღვაწარი. როგორი მოთხოვნაც არ უნდა ყოფილიყო დამკვეთისგან, ამ სიმშვენიერის, განუმეორებლობის შეუგრძნობლად თავს უფლება მისცე, ხელი აფათურო ამ წიაღში, არ ეპატიება არც დე ლუკის და, მით უმეტეს, არც ისეთ აღიარებულ შემოქმედს, როგორიც ფუქსასია. თუმცა, რა გასაკვირია ასეთი ქმედება უცხო ტომის სარფიანი დაკვეთის მაძიებლისგან, როდესაც ეს ფაქტი ეროვნული კულტურული განძის მცველების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. მეტიც, როგორც გვამცნეს, საბჭოს დაუმტკიცებია, თუ შეუთანხმებია ასეთი ოპუსები.

სხვათა შორის, ასეთი განუკითხავი ქმედობები მნიშვნელოვნად განაპირობა ასევე ზოგიერთი "კოლეგა" ურბანისტ-არქიტექტორების, რბილად, რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლო ქმედობებმა, მათ ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა დამარხულიყო რიყის ისტორიული განაშენიანების ქალაქგეგმარების სტრუქტურის რეაბილიტაციის შესაძლებლობა. მათ რიყის ტერიტორია მონათლეს "სუკის"-ს ნაჭრად, რაც ნათლად ხდის, რა მერკანტილური სურვილით იყო ნაკარნახევი ეს ქმედობები. შედეგად "სუკად" აღქმული არ ერგოთ ამ სახელის გამომგონებელ არქიტექტორ-ურბანისტებს, ის ერგო არაპროფესიონალ თვითმარქვია არქიტექტორ-ურბანისტებს და ძალზე მაღალი გასამრჯელოს მაძიებელ უცხო ტომის არქიტექტორებს.

დავუბრუნდეთ საკითხს, რა ხდება დღეს რიყეზე? იქ, უკვე აშენებულია უფუნქციო ხიდი და ასევე, ყოველმხრივ გაუმართლებელი გვირაბი. რაც შეეხება ე.წ. "გულივერის ბოტებს", ცუდი არ იქნებოდა, ასეთი რამ გვენახა დიღომში, მტკვრის ჭალაში და არა რიყეზე და არა დიდგორის ველზე. გაკვირვებული ვარ, რომ ამ პროექტს ფუქსასის ლოგო აქვს. ის ერთ–ერთი აღიარებული არქიტექტორია მსოფლიოში. დარწმუნებული ვარ, რომ მას არც უნახავს ეს ადგილი, რომელსაც თავს ადგას ფანტასტიკური სილამაზის გვირგვინი. ვინ დაავალა ფუქსასს აქ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება? ალბათ, შუშის ხიდის ფაქტორმა განაპირობა და მანაც იფიქრა, თუ



ასეთი ერთი ალოგიკური რამ არის გაკეთებული რიყეზე, რატომ არ შეიძლება მეორე “აბსურდის” გაკეთებაცო. ალბათ, აჩქარებდნენ კიდეც ამ სახელოვან არქიტექტორს, ჩქარა, ჩქარაო. ვფიქრობ ამ პროექტის ავტორი თავად ფუქსასი არ არის. ჩვენ, ორივენი, ერთი მსოფლიოს აკადემიის წევრები ვართ. მას პატივს ვცემ, როგორც მაღალი დონის პროფესიონალს და ვფიქრობ, თუკი ეს პროექტი მისი შექმნილია, ალბათ, შედეგია იმისა, რომ მას არ მიეცა საშუალება, გასცნობოდა ლანდშაფტს. ამიტომაც ამ ადგილისთვის ასეთი შეუფერებელი საპროექტო გადაწყვეტა წარმოადგინა, რაც მას არ ამართლებს. არქიტექტურაში არსებობს ერთი აქსიომა, ადგილმდებარეობა კარნახობს ასაგები ობიექტის ფორმასა და შინაარს. თავად არქიტექტურა კი ეროვნული ფილოსოფიის ნაყოფია. არქიტექტურა ერთგვარი ფილოსოფიაა... იდეოლოგიაა... არქიტექტურით იგება გარემო, რომელიც მოქმედებს ადამიანთა ფსიქიკის ფორმირებაზე. პირველ რიგში ობიექტის შესაქმნელად გასათვალისწინებელია შემოქმედის და არა მომხმარებლის აზრი. შემოქმედი ქმნის ეპოქას, რაც არ ძალუძს სხვას.

გავა წლები, ჩვენი შთამომავლობა კარგი სიტყვებით არ შეამკობს ამ წლებში ნამოღვაწარს, მე კი არ მინდა ასე მოხდეს.

დ. მეგრელის ქუჩასა და ღვინის აღმართს შორის განთავსებული რეაბილიტირებული განაშენიანება.
არქიტექტორები: გ. ბათიაშვილი, მ. ლეკვეიშვილი, დ. ჟღენტი.





Transforming Georgia/ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲨᲘ. ᲤᲐᲡᲐᲓᲘ.
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘ ©AB5

ვენეციის არქიტექტურის მე-14 ბიენალე 2014 წლის 7 ივნისიდან 23 ნოემბრამდე გაიმართება - ბიენალეს წლევანდელი ძირითადი თემაა - საფუძვლები (Fundamentals) - კონცეფცია თანამედროვეობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა არქიტექტორმა რემ კულჰაასმა წარმოადგინა. მისი განმარტებით, წლევანდელი ბიენალე ეძღვნება არქიტექტურას და არა არქიტექტორებს.

„2014 წლის ვენეციის არქიტექტურის ბიენალე „საფუძვლები" წარმოაჩენს უკანასკნელი ასწლეულის არქიტექტურის ევოლუციას და ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პირობებში გამოვლინდეს განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა სხვადასხვა ხელოვნებაში, ხოლო მათი ახლებური გააზრება არქიტექტურის ახალ შესაძ-ლებლობებს დაგვანახებს" - აღნიშნა რემ კულჰაასმა.

... და სამწუხაროა, რომ საქართველო წელს ვერ მიიღებს მონაწილეობას ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე

# შეუმდგარი ქართული პავილიონის ისტორია

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘ

წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ პირველად გადაწყვიტა ვენეციის არქიტექტურის საერთაშორისო ბიენალეზე ქართული პავილიონი წარედგინადა სამწუხაროა, რომ ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა. მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარ ღონისძიებებში ისეთი ქვეყნის ჩართულობის ფაქტი, როგორიც საქართველოა, - რომელიც გარდამავალ პროცესებშია და ჯერ კიდევ დასაზუსტებელი აქვს თავისი განვითარების კურსის მიმართულება,თავისთავად იქნებოდა განაცხადი მისი სურვილისა იმყოფებოდეს განვითარებული ქვეყნების რიცხვში და სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მონაწილეობდეს თანამედროვე კულტურულ პროცესებში.

საქართველო უკვე რამდენიმე წელია ოფიციალურად, როგორც ქვეყანა, იღებს მონაწილეობას ვენეციის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე და თანდათანობით აუმჯობესებს თავისი პავილიონის პრეზენტაციის ხარისხს ბიენალეს სპეციფიური ფორმატისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

თუ იმასაც გავიაზრებთ, რომ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით საქართველოში არქიტექტურული აზროვნების ტრადიცია უფრო ძლიერია, ვიდრე ვიზუალური ხელოვნების და ამასთანვე, თანამედროვე პროცესებზეც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს დისკუსიები, სავსებით ლოგიკური იქნებოდა არქიტექტურის ბიენალეზე უფრო მეტი მოლოდინები გვქონოდა, ვიდრე ვიზუალური ხელოვნების წარდგენისას გვაქვს, თუმცა, ამ მოსაზრებას შეიძლება ყველა არ დაეთანხმოს, რა თქმა უნდა.

არქიტექტურის ბიენალეზე მონაწილეობასთან დაკავშირებული რუტინა ამგვარად წარიმართა: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ამ პროექტს კურირებდა ქალბატონი მარინე მიზანდარი, რომელიც შესარჩევი კონკურსის დასრულებისთანავე საკმაოდ ხმაურიან ფონზე გაათავისუფლეს. შესაბამისად, გაჩნდა მაშინვე მოსაზრებები, რომ ბიენალეზე წარსადგენი ქართული პავილიონის პრო-

ექტი ვერ განხორციელდებოდა. თავისთავად, ეს ფაქტი, რომ ერთი კადრის ცვლილება ისეთ მონუმეტურ უწყებაში, როგორიც სამინისტროა, პროექტის ჩაშლას იწვევს, არ გამოიყურება სერიოზულად და არც ის „გარჩევები“ იყო ღირსეული სანახაობა, როცა მედია სივრცეში მარინე მიზანდარის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ.

დავუბრუნდები ისევ ბიენალეს თემას, რომლის კონკურსის პირობებში უპირობო მოცემულობად არსებობდა „კამიკაძე ლოჯია“ - გიოს სუმბაძის ესკიზის მიხედვით აგებული კონსტრუქცია (ილ.1), რომელიც კურატორმა იოანა ვარშამ შარშანდელ თანამედროვე ხელოვნების ბიენალეზე წარადგინა ქართულ პავილიონში. ეს წარმატებული პროექტი იყო და როგორც მაშინდელი შესარჩევი კომისიის წევრმა, მეც მხარი დავუჭირე ძირითადად გიო სუმბაძის მონაწილეობის გამო, რომელიც ადგილობრივ კონტექსტთან მომუშავე ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანია და საინტერესო მხატვრულ ფორმებად იაზრებს მიმდინარე პროცესებს. ეს პროექტი დასრულდა 55-ე ბიენალეს ექსპოზიციის დახურვით და სამინისტროს გადაწყვეტილება, ის დაეტოვებინათ არქიტექტურის ბიენალეზე, როგორც უკვე ქართული პავილიონი, მე ნამდვილად არ მიმაჩნდა თავიდანვე სწორ გადაწყვეტილებად; პირველ რიგში იმ თვალსაზრისით, რომ საერთაშორისო გამოფენებზე უფრო დინამიკა უნდა იყოს დემონსტრირებული, ვიდრე რომელიმე ერთი და თანაც თავისი არსით წარმავალი პროექტის „ძეგლად“ ქცევა. ამასთანავე, „კამიკაძე ლოჯიას“ საქართველოს საიდენტიფიკაციო ნიშნად დამკვიდრება ქვეყნის ერთგვარ ეგზოტიზაციას მოახდენდა საერთაშორისო სივრცეში და დაიჩრდილებოდა ქართულ სივრცეში მიმდინარე არტისტული პროცესების საინტერესო მხარეები. ეს საკითხი ასევე პრობლემა იყო არქიტექტურის ბიენალეზე მონაწილეობის მსურველთათვის, როცა იძულებული იყავი უკვე არსებულ „სკულპტურასთან“ გემუშავა. კონკურსის პირობებში ასევე მითითებული იყო, რომ შესაძლებელი იქნებოდა ორი ან რამდენიმე პროექტის თანამშრომლობა, თუმცა არ იყო დაზუსტებული, ეს რა პრინციპით მოხდებოდა.



ვენეციის 55-ე საერთაშორისო ბიენალე. „კამიკაძე ლოჯია“. გიოს სუმბაძის ესკიზის მიხედვით აგებული კონსტრუქცია. 2013. ფოტო:ლევან მაისურაძე ©არტარეა

მე წარვადგინე პროექტი, რომელიც ჩემს საკუთარ კვლევას ეყრდნობა ჩვენს სივრცეში მიმდინარე პროცესებზე; ჩემი სადოქტორო ნაშრომი, რომელზეც წლებია ვმუშაობ და უკვე თითქმის დასრულებულია, ეხება სწორედ პოსტ ტოტალიტარული მდგომარეობისთვის სახასიათო მხატვრული ფორმების სპეციფიკასა და გარდამავალი პერიოდის ჰიბრიდების ანალიზს. კონცეფციის თანახმად პროექტს - სამუშაო სათაურით - Transforming Georgia/საქართველო ტრანსფორმაციაში, - უნდა ეჩვე-

საფუძვლები/Fundamentals. ფრესკა „კამიკაძე ლოჯიას“ ინტერიერში.
ავტორი: ლევან მინდიაშვილი ©





Transforming Georgia/საქართველო ტრანსფორმაციაში. ფასადის ესკიზი. ავტორი: დავით ხაბულიანი ©AB5

ნებინა სწორედ გარდამავალი პერიოდის მიმდინარე პროცესები გამოხატული არქიტექტურულ ცვლილებებში; კამიკაძე ლოჯიის ფასადი იფარებოდა ამრეკლავი-სარკისებური ზედაპირის პანელებით, როგორც სიმბოლო ქვეყნის ტრანსფორმაციის მეტაფორული ხედვისა არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების სინთეზით და იმ საფუძვლების გათვალისწინებით, რაც ზოგადად თანამედროვე არქიტექტურის სფეროს ეხება და ამავე დროს კონკრეტულად ქართულ სპეციფიკასაც. პროექტის ძირითად ნაწილს ხსენებული ფასადი შეადგენდა, რომელზეც AB5 -მა - არქიტექტურულმა ბიურომ (AB5-ის წევრები: დავით ხაბულიანი, დავით (ლაშა) ლოსაბერიძე, სოფიო გასვიანი) იმუშავა და სიმბოლურად აჩვენებდა მიშენებული ლოჯიების ისტერიის შემდგომ პროცესს, - არსებული ნაგებობების მინის „აკვარიუმებში" მოქცევას და მათი მოდერნიზაციის კვლავ სტერეოტიპულსა და სწორხაზოვან მცდელობას. ერთი მხრივ, ეს იყო რეფლექსია ბოლო წლების საქართველოსთვის სახასიათო პრეტენზიებზე - შექმნილიყოკონცეპტუალური არქიტექტურა და მეორე მხრივ ამ კონსტრუქციის სადა, გეომეტრიული „ეკრანი" ამრეკლავი ზედაპირით შეიძლება ასევე ყოფილიყო სიმბოლო ქვეყანაში არსებული ნებისა, რომ მან ინტეგრაცია მოახდინოს თანამედროვე მსოფლიოს აქტუალურ რეფლექსიურ პროცესებში და თავისი „რაკურსებიც" შესთავაზოს დანარჩენ სამყაროს. ეს კომპონენტი პროექტის მთავარი თემა იყო და შესაბამისად სამუშაო სათაურიც აქედან იყო აღებული - საქართველო ტრანსფორმაციაში.პროექტის მეორე ნაწილი აგრძელებდა თბილისის ისტორიული და არქიტექტურული ეკლექტიკის შრეების თემას, რომელიც წარმოადგინა ლევან მინდიაშვილმა ფრესკის სახით.ფრესკა სათაურით - „საფუძვლები/ფუნდამენტალს" უნდა განხორციელებულიყო ამრეკლავი და პირობითი ბარიერით დაფარული „კამიკაძე ლოჯიას" ინტერიერში, სადაც წარმოადგენილი იქნებოდა თბილისის - საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ-არქიტექტურული კონტექსტი; ეს თავის მხრივ გულისხმობდა დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარე ამბივალენტურ პროცესებს, რამაც შექმნა ეკლექტიზმის თავისებური ვერსია დასავლური, ისლამური, იმპერიული, სოციალისტური და ა.შ. თემებისა და კულტურების გადაკვეთით შექმნილი ჰიბრიდებით. ლევან მინდიაშვილის ინსტალაციის ძირითადი ნაწილის - ფრესკის (ბათქაში, აკრილის საღებავი, კვერცხის ტემპერა, ზეთის საღებავის გრუნტი; 460 x 370 x 370 სმ) საფუძველს წარმოადგენდა1850-60-იანი წლების ფოტო თბილისის ისტორიული ნაწილის ხედით და რომელიც გადაიფარებოდა წინა საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ურბანისტული პროცესების მნიშვნელოვანი მომენტების არაქრონოლოგიური რიგით. აქ ერთმანეთში გამჭოლი შრეების სახით იქნებოდა წარმოდგენილი ნაგებობები,რომელთაც განსაზღვრეს ქალაქის სახის ფორმირება. კედლის ფერწერას ზედაპირზე ემატებოდა მინა-ქსოვილისაგან შესრულებული სამგანზომილებიანი ნაგებობების გამოსახულებები, რაც ფრესკას მოცულობითს გახდიდა. სიუჟეტის დინამიკაში მონაწილეობდა ლოჯიაში უკვე არსებული ლითონის „ჟალუზი", რომელიც მისმა ავტორმა თეა ჯორჯაძემ „კამიკაძე ლოჯიას" პროექტისთვის დაწნული კალათების მოტივებზე შექმნა, ხოლო მისივე სკულპტურა-მაგიდა (ხე, ლითონი) ასევე რჩებოდა ინსტალაციის ნაწილად. საქართველოში არსებული კულტურული კონტექსტის მთავარი ელემენტების მხატვრულ-ანალიტიკური ინტერპრეტაცია ამგვარად ეხმიანებოდა ბიენალეს მთავარ თემას, რომელიც რემ კულჰაასის მიერ განისაზღვრა, როგორც „საფუძვლები/Fundamentals".

საბოლოოდ ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ გაეერთიანებინა ორი პროექტი - კატარინა შტადლერი/Iukrecia Cipitelis Tbilisi Insights და ჩემი პროექტის მხოლოდ ფასადის ნაწილი. თავისთავად ამგვარი ხელოვნური ჰიბრიდი ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ დავთანხმდი, რადგან ფასადი მაინც პროექტის დომინანტური ნაწილი იყო და თან ვიფიქრე, რომ ფასადის თემა ჟიურის მიერ კონცეპტუალურად იყო გაგებული, თუმცა მოგვიანებით სხვა დასკვნის გაკეთება მომიხდა. დავთანხმდი იმ პირობით, რომ ვიმუშავებდი ფასადთან, როგორც სკულპტურასთან და არ ვეხებოდი ინტერიერის პროექტს. როდესაც პირველი სამუშაო შეხვედრა გვქონდა კატარინა შტადლერთან, მან თავიდან გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ მიაჩნია თავისი პროექტი დომინანტურად და ჩვენ მისი სათაურის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ, რაც ძალიან გაგვიკვირდა Transforming Georgia-ს მონაწილეებს. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ვმუშაობთ ცალ-ცალკე პროექტებზე და ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. ამას კიდევ უფრო უცნაური სიურპრიზები მოჰყვა, კერძოდ ინტენსიური წერილები იოანა ვარშასგან სხვადასხ-

ვა სახის დირექტივებით და კომისიის წევრის უფლებამოსილების აშკარა გადაჭარბებით.

ამ დროს მოხდა სრულიად მოულოდნელი ცვლილება სამინისტროს მხრიდან და საბოლოო გადაწყვეტილებით დამტკიცდა ჩემი პროექტი სრული (პირვანდელი) სახით და ამ გადაწყვეტილების დამადასტურებელი ოფიციალური წერილიც მივიღე მინისტრის ხელმოწერით. არგუმენტი იყო ის, რომ ჟიურის არ ჰქონდა უფლება დაემტკიცებინა ორი პროექტი ერთდროულად და Transforming Georgia შეირჩა იმის გამო, რომ იქ განმსაზღვრელი ვიზუალური მხარე იყო, ხოლო კატარინა შტადლერის პროექტი ე.წ. კვლევითი სახისა იყო, მას უნდა შეექმნა ინტერიერში თბილისური სახლის ატმოსფერო და ეწარმოებინა ურბანისტული პროცესების კვლევა. პროექტი ზედმიწევნით კონსტრუქციულად იყო აგებული, თუმცა კვლევის მეთოდოლოგიასა და კონცეპტუალურ ხედვაზე არაფერი იყო ნათქვამი, რაც კურიოზულია კვლევითი პროექტის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ამით ჟიურიც არ დაინტერესებულა.

ამ ფაქტს მოჰყვა კომისიის წევრების პროტესტი და ულტიმატუმი სამინისტროსადმი, ან მათი რეკომენდაციის მიხედვით ემოქმედათ, ან საერთოდ გაეუქმებინათ პროექტი. მათი მოთხოვნა სამართლიანადაც შეიძლება ჩაითვალოს იმ მხრივ, რომ სამინისტროს ისინი ნამდვილად უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში, როცა გადაწყვეტილებას იღებდა, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ჟიურის ეფექტურ მუშაობაზე საერთოდ არ მეტყველებს. კონკურსის ორგანიზების მხარესაც სერიოზული ხარვეზები ჰქონდა, ნაკლებად ჩანდა ჟიურის რამდენიმე წევრის მოწვევის საფუძვლის მართებულობა. რაც შეეხება ჟიურის რამდენიმე უცხოელ წევრს, რომლებიც აღიარებულ ფიგურებს წარმოადგენენ ზოგადად თანამედროვე არტ სცენაზე, ნაკლებად სავარაუდოა არსებითი ცოდნა ჰქონდეთ აქაური პროცესების და ეს არანაირად არ მოეთხოვებოდათ, თან მხოლოდ კეთილმეგობრული განწყობის ნიადაგზე და ჰონორარის გარეშე მათი მონაწილეობა სრულიად ფორმალური იყო და მხოლოდ სახელების ეფექტზე გათვლილი. ამასთან, პროექტის მსვლელობის დროს მოწმე გავხდი, როცა ჟიურის რამდენიმე წევრი ღიად ლობირებდა ერთ-ერთ პროექტს, რაც ასევე სამწუხარო ფაქტია.

სამინისტრომ საბოლოოდ უარი განაცხადა ბიენალეზე ქართული პავილიონის წარდგენაზე და ოფიციალურ მიზეზად დაასახელა ის ფაქტი, რომ მე არ წარვადგინე თანადაფინანსების დამდასტურებელი საბუთი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ლევან მინდიაშვილმა თავისი ფრესკის შესრულების დაფინანსების გარანატიის წერილი მიიღო ნიუ-იორკის გალერეიდან, რომელიც წარვადგინეთ სამინისტროში.

ბოლოს კი ჩვენი გუნდის სახელით შემიძლია დავამატო კომენტარი ჩვენი პოზიციის შესახებ მოვლენათა ასეთ განვითარებაზე:

1. ვთვლით, რომ ჟიურის რეაქცია სამინისტროს გადწყვეტილებაზე იყო ნაჩქარევი და ემოციური. მას შეეძლო მოლაპარაკებები გაეგრძელებინა სამინისტროსთან და ამ შემთხვევაში უფრო მეტი შანსი იქნებოდა მიეღწია საბოლოო გადაწყვეტილების გადახედვისთვის, ვიდრე ულტიმატუმის ენით ლაპარაკისას.

2. დაუშვებლად მიგვაჩნია პროექტის მსვლელობისას ჟიურის წევრების ჩართვა სამუშაო პროცესში დირექტვების გაცემითა და იმპერატიული ტონის გამოყენებით. განსაკუთრებით კი მუქარისა და ცილისწამების მომცველი შეურაცხმყოფელი წერილებით. სამწუხაროდ ამ ფაქტებს ჰქონდა ადგილი მას მერე, რაც სამინისტრომ გადაწყვიტა მხოლოდ ჩვენი პროექტი დაემტკიცებინა. ეს გადაწყვეტილება სამინისტროს ნამდვილად არ მიუღია ჩვენი სურვილის მიხედვით.

3. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ჟიურის მხრიდანაც არ იყო საკმარისად გააზრებული ვენეციის ბიენალეზე ქვეყნის მონაწილეობის მნიშვნელობა ისევე, როგორც სამინისტროს მხრიდან. საერთოდ, კონკურსის განხორციელების მენეჯმენტში იყო სერიოზული ხარვეზები. თუნდაც, ჰონორარის გარეშე ჟიურის მუშაობა მიგვაჩნია სერიოზულ პრობლემად. ჟიურის მუშაობის ხარისხის გარანტია უფრო მყარი იქნებოდა, მისი წევრები ოფიციალურად რომ ყოფილიყვნენ მოწვეული იმ ინსტიტუციებიდან, რომელთაც ისინი წარმოადგენენ და არა პირადი კეთილგანწყობისა და მეგობრობის საფუძველზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტი ჩაიშალა სწორედ ამ ორმხრივად არსებული ხარვეზების გამო.



საფუძვლები/Fundamentals. ფრესკა „კამიკაძე ლოჯიას“ ინტერიერში.
ავტორი: ლევან მინდიაშვილი ©





# ფორუმი ახალი ნათებისგან

2013 წლის 22 ნოემბერს, გაიხსნა "ახალი ნათების" პრემიუმ კლასის, საიმიჯო შოურუმი - "ფორუმი" აღმაშენებლის ხეივანში მდებარე ახალი ნათების ცენტრალური პავილიონის უკან.

ახალი შოურუმი, როგორც თვისობრივად ასევე მომსახურების თვალსაზრისით განსხვავდება "ახალი ნათების" ქსელური მაღაზიებიდან და ამიტომ ქართულ ბაზარზე წარდგება განსხვავებული სახელწოდებით Forum By New Light (ფორუმი ახალი ნათებისგან).

Forum by New Light არის ერთ-ერთი უნიკალური პროექტი მთელს ქვეყანაში როგორც არქიტექტურული ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ეს არის 3500კვ.მ ფართობის მქონე შენობა სადაც წარმოდგენილია მხოლოდ ევროპული მწარმოებლების პროდუქცია (იტალია, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია).

შენობის უნიკალური არქიტექტურა შექმნილია არქიტექტორების მერაბ გუჯეჯიანის, ზურაბ მამათელაშვილის და ერეკლე წიკლაურის ერთობლივი მუშაობის შედეგად. შენობაში გადმოტანილია ბუნებისა (მეჩხერი ტყე, მინდორი, მდინარის ქვიანი სანაპიროები) და ლანდშაფტის ელემენტები და წარმოადგენს მართლაც განუმეორებელ პავილიონს, არა მხოლოდ არქიტექტურული, არამედ ეკოლოგიის თვალსაზირითაც.

შენობა შედგება 4 სართულისაგან:

-1 სართული – 1000 კვ.მ-ზე განთავსებული თანამედროვე დიზაინის, ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი და დღესდღეისობით არსებული ყველაზე ეკონომიური და ეკოლოგიური LED სანათებით განათებული სასაწყობე მეურნეობა.

1 სართული – 400 კვ.მ-ზე განთავსებული







shop in shop ტიპის სალონი და 600კვ.მ-ზე განთავსებული ლოგისტიკური პლატფორმა.

მთავარი სართული – 1000 კვ.მ-ზე გადაჭიმული შოურუმი სადაც წარმოდგენილია ევროპის 11 გიგანტი ბრენდის განათებები, აქსესუარები და ავეჯი (Philips, Artemide, DeltaLight, Prolicht, Kolarz, Linea Light, Fumagalli, Flos, Huelsta, Gautier, Freistil by Rolf-Benz, Koinor), გარე განათების ავეჯისა და სანათების პავილიონი, კაფე სტუმრებისათვის და ხიდი – რომლითაც "ახალი ნათების" ცენტრალური შოურუმი უკავშირდება ახალ შენობას.

3 სართული – ოფისები, საკონფერენციო დარბაზი და მცირე სავარჯიშო დარბაზი დასაქმებულთათვის.

შენობა დასრულებულია ასევე უნიკალური დიზაინის ტერასით, რომელიც განთავსებულია სახურავზე და გარდა არაჩვეულებრივი ხედებისა, გამოირჩევა ასევე გასაოცარი ეფექტების მქონე განათებით.









# Forum
# By New Light









Premium class image showroom by New Light was opened on November 22, 2013 at 16:00 p.m. behind the central hall of New Light, located in Aghmashenebeli Alley.

The new showroom is different from other network shops of New Light by characteristics and service and is presented on Georgian market under different name Forum By New Light.

Forum by New Light is a unique project in the whole country by its architectural and technological features. It is a building with 3500 sq.m area, where only production of European producers (Italy, Austria, Germany, France, Belgium) is presented.

Unique architecture of the building is created as a result of a joint work of architects Merab Gujejiani, Zurab Mamatelashvili, Erekle Tsiklauri . The building has natural (forest, field, stony bank of the river) and landscape elements which makes it indeed a unique hall not only from architectural but also from ecological point of view.

The building consists of 4 floors:

-1st floor – modernly designed storehouse, equipped in accordance with European standards and lightened by so far most economic and ecologic LED lamps is located on 1000 sq.m area.

1st floor – shop in shop type saloon, located on 400 sq.m area and logistic platform, located on 600 sq.m.

Main floor – showroom spreaded on 1000 sq.m, presents lightning fittings, accessories and furniture of 11 giant brands (Philips, Artemide, DeltaLight, Prolicht, Kolarz, Linea Light, Fumagalli, Flos, Huelsta, Gautier, Freistil by Rolf-Benz, Koinor), pavilion of outdoor lightning, furniture and lamps, cafй for guests and a bridge, which connects New Light's central showroom to the new building.

3rd floor – offices, conference hall, and small gym for employees.

The building is accomplished by uniquely designed terrace, located on the roof and besides picturesque views is distinguished with spectacular lightning.











# დამზადებულია საქართველოში

**2013 წლის გაზაფხულზე „ახალმა ნათებ-ამ“ დააწესა „სინათლის დღე“, რომელიც ყოველი წლის 25 მარტს აღინიშნება.**

2014 წლის 21,22 და 23 მარტს „ახალი ნათების“ ორგანიზებით „ფორუმში ახალი ნათებისგან“ გაიმართა ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ავეჯის, აქსესუარებისა და სანათების გამოფენა სახელწოდებით „დამზადებულია საქართველოში, Made in Georgia”.

„ფორუმი ახალი ნათებისგან“ შეიქმნა არა მხოლოდ როგორც სავაჭრო სივრცე, არამედ ადგილი, სადაც მოსული მომხმარებელი თუ უბრალოდ დამთვალიერებელი ეზიარება თანამედროვე განათებისა და ავეჯის ესთეტიკას. ნახავს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებულ ავეჯს, სანათებს და აქსესუარებს, რომელზეც მუშაობდნენ ცნობილი დიზაინერები და ოსტატები. ნახავს პროდუქციას, რომელიც ხელით იქმნება ევროპის სხვადასხვა ქალაქში და გამოირჩევა დახვეწილი დიზაინითა და უმაღლესი ხარისხით.

სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე, კომპანია „ახალი ნათება“ პერიოდულად შესთავაზებს საინტერესო ღონისძიებებს საქართველოს მოსახლეობას. პირველი ღონისძიება არის ნიჭიერი ქართველი დიზაინერების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის, გამოფენის მეშვეობით.

გამოფენაში მონაწილეობდა 4 ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი დიზაინერი და ერთი დიზაინერთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან სანათ საშუალებებს, ავეჯსა და ინტერიერის აქსესუარებს საკუთარი დიზაინით უკვე არაერთი წელია. ბევრ მათგანს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო გამოფენებშიც.









**DESIGNBUREAU** - სამ ახალგაზრდა ქალბატონს აერთიანებს, რომელნიც კრეატიულობითა და ორიგინალურობით ცდილობენ თანამედროვე ტენდენციების დანერგვას საქართველოში. ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი და სოფიო შევარდნაძე კერძო პირებისა და კომერციული ორგანიზაციების პროექტებს საქართველოს მასშტაბით 2004 წლიდან ახორციელებენ. გოგონებს მონაწილეობა აქვთ მიღებული არაერთ ქართულ თუ საერთაშორისო დაჯილდოებაში, მათ შორის 2012 წლის 24 სექტემბერს, ლონდონში 2012 წლის უძრავი ქონების (PROPERTY AWARDS) ევროპული ჯილდო მიიღეს.






**გელა ჩაჩუა** – 26 წლის არქიტექტორია, ის მუშაობს როგორც შენობებზე ასევე ინტერიერის დიზაინზეც და აქვს შექმნილი არაერთი პროექტი. დღეს-დღეისობით არის ლექტორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. სანათების დიზაინზე მუშაობა სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო და დღისათვის აქვს 10–მდე შესრულებული ნამუშევარი.

**გიგი გვალია** – 29 წლის დიზაინერია, რომელსაც განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიასა და ბრიტანეთში London University of Arts-ში აქვს მიღებული. 2006 წლიდან მუშაობს ინტერიერის დიზაინზე ხოლო 2009 წლიდან არის საკუთარი დიზაინ სტუდიის „გიგი გვალია დიზაინ"-ის ხელმძღვანელი, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა და რეალიზდა არაერთი პროექტი თბილისის მასშტაბით. ამჟამად მუშაობს ნატურალური ხის, ტყავისა და ლითონის სანათებზე, რომელთა გატანას გეგმავს დიზაინის საერთაშორისო გამოფენებზე.







**ანუკა თავართქილაძე** – 29 წლის, პროფესიით არქიტექტორ – დიზაინერი. განათლება აქვს მიღებული, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ასევე ფლორენციის დიზაინის საერთაშორისო ინსტიტუტში. 2010 წლიდან მუშაობს არქიტექტურულ კომპანია "**მოსულიშვილი და პარტნიორები**"-ში. სანათებისა და ავეჯის ნაწილების დიზაინის კეთება დაიწყო 2013 წლიდან. მიღებული აქვს მონაწილეობა "olive Design"-ის და "concept store"-ის გამოფენებში.











**ია ქუთათელაძე** – 26 წლის დიზაინერია, რომელმაც ფლორენციაში ისწავლა ინტერიერისა და პროდუქტების დიზაინი. 2009 წლიდან ის საქართველოში მუშაობს და ქმნის ავეჯსა და სანათებს საკუთარი დიზაინით. მიღებული აქვს მონაწილეობა ისეთ გამოფენებში როგორებიცაა „სალონე სატელიტე“ მილანში. იას პროდუქცია 2013 წლის ოქტომბრიდან არის წარმოდგენილი ახალი ნათების საგამოფენო პავილიონში და საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობს.



# ტანსაცმლის მოხმარების თავისებურებანი 90-იანი წლების თბილისში

ერთ – ერთ მეტნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემად და პერსპექტიულ თემად თანამედროვე კულტუროლოგიაში ჩაცმის გამოცდილება იქცა, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიძენთ.

ანთროპოლოგებმა დაამტკიცეს, რომ მოხმარების საგნები და მოდელები, რომლებიც



ნინო მგალობლიშვილი
სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი

ცირკულირებენ გაერთიანებული საერთაშორისო არხებით, ასე უბრალოდ ვერ შეიჭრებიან "ძირეულ" კულტურებში და სრულად ვერ შეცვლიან ყოველდღიურ ყოფას. უფრო მოსალოდნელია, რომ თვით მომხმარებლები მოერგებიან ახალ ტენდენციებს მოხმარების სფეროში, მათთვის ჩვეულებად ქცეული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამიტომ არის, რომ თანამედროვე მოხმარების კულტურა ყალიბდება ძველი და ახალი სტილებისა და საგნების თანაარსებობის პირობებში.

საქართველო უკვე შეეჯახა სამომხმარებლო რევოლუციას. ახლა საკითხი დგას ასე: როგორ აისახება მიმდინარე მიკროცვლილებები მოხმარების კულტურაზე. ჩვენ თვალი მივადევნეთ ამ პროცესს 90-იანი წლების ქართულ სინამდვილეში და შევეცადეთ წარმოგვეჩინა ტანსაცმლის სტილების ტრანსფორმაციის თავისებურებანი. სტატიის კონტექსტში ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ როგორ შეიცვალა ქალაქური მოდა და რა დარჩა საბჭოური ქართველ მოქალაქეთა გარეგნულ იერში. ვიზუალურ მონაცემთა შეგროვების პროცედურას იმგვარად ვაწარმოებდით, რომ გვეჩვენებინა, პირველ რიგში, ტანსაცმლის ტიპობრივი სტილების ის ვარიაციები, რისი დანახვაც შეიძლებოდა თბილისის ქუჩებში. დაკვირვების ობიექტებად გვევლინებიან ცალკეული პიროვნებები, ადამიანთა ჯგუფები, მოვლენები, პროცესები და სხვა. ჩვენ თვალი მივადევნეთ მოდური ნიშნის ცვალებადობას და მასში ჩადებულ მნიშვნელობებს საზოგადოების საბჭოურიდან თანამედროვეობაში გადასვლის პროცესში. დავინტერესდით, თუ როგორ ასახავს მოდური ნიშანი სოციალურ ცვლილებებს საქართველოში.

ვიზუალური დაკვირვებოს საფუძველზე (საოჯახო ფოტოები, ალბომები, ინტერნეტ–სივრცის მონაცემები და ა.შ.), ჩვენ გამოვყოფთ ქართული სამომხმარებლო კულტურის ტენდენციებს, რომლებიც ტანსაცმლის სტილებში ცვლილებებს განსაზღვრავენ. ეს ტენდენციებია: ვესტერნიზაცია, გლობალიზაცია, ლოკალიზაცია, ტანსაცმლის სტილების სულ უფრო მნიშვნელოვანი ვიზუალური დიფერენციაცია.

საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები ყოველთვის ატარებდნენ ნიშნობრივ შინაარსს. აქედან გამოდინარე, ისინი მიანიშნებდნენ იმ ადამიანების სოციოკულტურულ კუთვნილებაზე, რომლებიც ამ საგნებს იყენებდნენ. მაგალითად, რომაელის ტოგა ან გლეხის ჩოხა მიუთითებდნენ სოციალურ კუთვნილებაზე, მაგრამ, არა – ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ახლა ვითარება იცვლება: ბერეტის, კეპის, პანამის და ა. შ. კომბინაცია პიჯაკთან, სვიტრთან, ჩექმებთან ან ე.წ. ესპადრელები ტყავის ქურთუკთან და კოლგოტებთან კომბინირებული, საშუალებას აძლევს ადამიანებს გამოხატოს თავისი ინდივიდუალური შეგრძნებები და ემოციური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. კერძოდ, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ 90-იანი წლების კოსტიუმის ესთეტიკა ცდილობს გადალახოს ყოველდღიურისა და ოფიციალურის დაპირისპირება, როცა ერთად უყრის თავს პირველის "ნებას" და "მეორის "სილამაზესა" და "წესიერებას". ანუ, თანდათან ყოველდღიური ყოფა და მისი ატრიბუტიკა თავის თავზე იღებენ ემოციური თვითგამოხატვის ფუნქციას, რაც დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა იდეოლოგიისა და მაღალი ხელოვნების მონოპოლიას წარმოადგენდა.

90-იანი წლების საქართველოში კოსტიუმის ვიზუალურ ენას აქვს აგრეთვე საკუთარი ნიშნების სისტემა, რომელშიც თავისებური კოდებია ჩადებული. ერთი ამ კოდთა შორის ტრადიციულია. მას წარსულში აქვს ფესვები გადადგმული. ეს კოდი გულისხმობს საბჭოური კულტურის იმ ნაკვალევს (ნიშნები, მნიშვნელობები, პრაქტიკები, სხვადასხვა სემიოტური კოდები), რომლითაც 90-იანი წლების საქართველოში ჯერ კიდევ უხვად იყო გაჯერებული კულტურა. მეორე კოდი, თანამედროვე, რომელიც უახლოესი ტექნოლოგიების გავლენით წარმოიქმნება. პირველში უხვად არის კლიშეები და სტერეოტიპები, ის ნელა იცვლება. მეორე სწრაფად ეხმაურება ტექნოლოგიებში, ხელოვნებაში, მეცნირებასა და მოდაში მიმდინარე ცვლილებებს. შესაბამისად, 90-იანი წლების კოსტიუმი ერთგვარ სოციოკოდს წარმოადგენს, რომელიც ინფორმაციას გადასცემს წარსულიდან მომავალში. ასე, მაგალი-



თად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გავრცელებული ვესტერნიზაციისა და გლობალური ტენდენციების მიუხედავად, 90-იანი წლების საქართველოში მოდა არ ყოფილა მთლიანად ვესტერნიზებული. ტანსაცმელი კვლავაც ინარჩუნებს საბჭოთა წარსულის სემიოტიკურ "ბაგაჟს". შევეცდებით, არგუმენტებით გავამყაროთ ჩვენი მსჯელობა. 90-იანი წლების საქართველოში თვალშისაცემია საბჭოურად იყო ჩაცმული ადამიანი თუ არა საბჭოურად. "საბჭოურობა" კოსტიუმში მომენატალურად და შეუცდომლად იკითხებოდა. ეს სიტყვა ("საბჭოური") კოსტიუმთან მიმართებით 90-იან წლებში ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ ელფერს ატარებდა (ისევე, როგორც სიტყვა "საბჭოთა" პოლიტიკურ თუ ნებისმიერ სხვა კონტექსტში). ჩაცმულია საბჭოურად ან არა საბჭოურად – ეს იყო პრინციპი, რომლითაც განასხვავებდნენ ჩაცმულობას. ეს მიუღებლობა ტანსაცმლის დახასიათებისას "საბჭოური" ჩაცმულობის მიმართ მეტნაკლებად დღემდე არის შემორჩენილი.

ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ 90-იანი წლების საქართველოში გაფორმდა სპეციფიკური პოსტსაბჭოური ჩაცმის გარდამავალი კულტურა. მკვლევარები ჩაცმის ამ კულტურას "ჰიბრიდულს" უწოდებენ. ამგვარი ჩაცმის კულტურის წარმომადგენლებს ხშირად შეხვდებოდით თბილისის ქუჩებში. ისინი საგამოფენო ნიმუშად გამოდგებოდნენ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის თავმოყრილი ერთად სრულიად შეუსაბამო ნივთები: მაგალითად, ძველმოდური ორბორტიანი მორუხო–მომწვანო ფერის ლაბადა, წვრილცხვირიანი ტყავის თეთრი ჩექმები და პოლიეთილენის პაკეტი ქალბატონის ჩანთის ნაცვლად და ა.შ.

რ. ბარტის დეფინიციებს თუ მოვიშველიებთ, აქ საუბარია განხეთქილების შესახებ ტანსაცმლის ენასა და "ერთი ჩასმული მოდური საგნის" ძალაუფლებას შორის. ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ამგვარი საგნის როლში, ალბად, თეთრი ჩექმები უნდა ვივარაუდოთ.

90-იანი წლების ჩაცმის კულტურისათვის დამახასიათებელი ამგვარი უცნაური მიქსის მიზეზად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს დეფიციტი. დეფიციტმა საგრძნობლად შეზღუდა ტანსაცმლის გამოხატვის შესაძლებლობები და გზა გაუხსნა თურქული იაფფასიანი საქონლის ინტენ-





სიურ შემოდინებას. თბილისელი ქალები იმ პერიოდის ფოტოსურათებზე ტყუპებივით გამოიყურებიან. ეს გამოწვეული იყო მრავალფეროვანი სტილური მიმართულებების არარსებობით. იცვამდნენ იმას, რასაც თითო-ოროლა კომერციული მაღაზია სთავაზობდა აზიური წარმომავლობის იაფფასიანი და უგემოვნო საქონლის სახით. შექმნილ ვითარებას აგრეთვე ხელი შეუწყო ტანსაცმლის გამოყენების ახალი წესების გაჩენამ, რომლებსაც უცხოური ჟურნალები და კატალოგები გვთავაზობდნენ. ამის პარალელურად, რაც მთავარია, მიმდინარეობდა ძველი ნორმების შესუსტება და უარის თქმა ჩვეულად მიჩნეულ ტანსაცმლის გამოყენებაზე. და ბოლოს, მიგვაჩნია, რომ, ამდაგვარი მიქსის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება ინდივიდუალურობისაკენ მისწრაფებაც იყო. ქართველებმა, როგორც კი გათავისუფლდნენ ნების შემბოჭავი განაწესების, წესდებებისა და კანონებისაგან და ტანსაცმლით საკუთარი თავის გამოვლენის საშუალება მიეცათ, თავისუფლად ამოისუნთქეს.

90-იანი წლების საქართველოში ჩაცმის კულტურის თავისებურებები შეინიშნება, არა მხოლოდ საგნების, ფასონისა და სტილის შერჩევაში, არამედ ფერების შეხამებაშიც. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მოდისათვის ანსამბლში ფერების შერჩევის პრინციპი – ძირითადი სტილისტური პარამეტრი იყო. სხვა პარამეტრებს – ფაქტურას, ფასონს, საგნების ჟანრობრივ შესაბამისობას – მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდნენ. ფერების შერჩევა მაშინ მჭიდროდ უკავშირდებოდა ტანსაცმლის სტილის საბჭოურ თვისებას – გამოურჩევლობას. მკვლევარები ტანსაცმლის ამგვარ სტილს "შეუმჩნევლობის შეუმჩნეველ" კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. მისთვის დამახასითებელია გამომხატველობას მოკლებული, უფერული, საყოველდღეო საგნები, ნეიტრალური (რუხი, ნახევრადქრომატული, შავი, თეთრი) ფერები, რაიმე გამორჩეული დეტალის უარყოფა. ეს თვისება მეტნაკლებად ვრცელდება მთელ საბჭოურ პერიოდზე. ნიშანდობლივია, რომ, 90-იან წლებშიც, ქართველი ქალის ტანსაცმელში არ არის ნათელი ფერები. ალბათ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს საბჭოთა მენტალიტეტიდან შემორჩენილი ელემენტია. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, პირქუში, მუქი ტონების სიჭარბე ქართველი ქალების იმდროინდელ ტანსაცმელში, შესაძლოა, 90-იანი წლების დასაწყისის დრამატული მოვლენებით იყო გამოწვეული.

ამ პერიოდის ფოტოსურათების დათვალიერება გვაძლევს უფლებას აღვნიშნოთ, აგრეთვე, საბჭოთა ტანსაცმლის ის თავისებურება, რასაც დღევანდელი მეცნიერები ჰერმეტულობას უწოდებენ. ტანსაცმელი ბოლომდე სრულიად დახურული უნდა ყოფილიყო. ამდენად, ჩვენს მიერ შერჩეული ვიზუალური მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმელში ნათლადაა გამოკვეთილი ვესტერნიზაცია და სხვა გლობალური ტენდენციები, 90-იანი წლების ტანსაცმელი საზოგადოების დიდ ნაწილში ჯერ-ჯერობით მოიცავს საბჭოთა წარსულის სემიოტიკურ მნიშვნელობას. ვფიქრობთ, რომ, ზოგადად, ამ პერიოდის ტანსაცმელი – ეკლექტიკური სტილის ნიმუშია, როცა საბჭოთა გამოურჩევლობა ტანსაცმლის დიზაინის თანამედროვე ტენდენციებს ემეზობლება და ამით სტილის "ჰიბრიდულობის" დემონსტრირებას ახდენს.

ამ სტატიაში წარმოდგენილი ტანსაცმლის მოხმარების სტილისა და ხასიათის ასახვა როგორც ყოველდღიურობის კულტურის ერთერთი ფენომენისა – არის პირველი ცდა ქართულ ჰუმანიტარულ ცოდნაში და, უთუოდ, შემოდგომ განვითარებას მოითხოვს.



# Specifics of Dress Styles in Tbilisi of the 1990'ies

NINO MGALOBLISHVILI, ASSOCIATE PROFESSOR AT TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

Dressing experience which we accumulate in everyday life is one of the most important and challenging issues in modern cultural studies. Anthropologists proved that commodities and models circulating via commonly accessible international channels cannot spread at the grassroots level all at once. It is more likely that consumers adapt to new trends slowly, based on habitual practices. This is why modern consumer culture develops from co-existence of old and new styles and objects.

Georgia already passed through the consumer revolution stage. Now the question is how exactly the social changes influence the consumer culture. We followed this process by studying the Georgian life in the 1990'ies and by trying to trace transformation of dress styles. This article aims to report how the urban fashion changed and how the Soviet background reflected on the Georgians' appearance.

Based on visual observation (family photos, albums, internet data, etc.) we can single out the following tendencies of consumer culture, which caused changes in local dress styles: westernization, globalization, increasing importance of visual differentiation.

Clothes have always had some distinguishing features. Consequently, they reveal socio-cultural identity of people wearing them with increasing precision. E.g. a Roman toga or a peasant's robe could place the person socially. Now the situation is even more complicated: different combinations of clothing articles enable us to express our feelings and emotional attitude toward the reality. To tie this to our subject, the dress aesthetics of the 1990'ies tried to reconcile the routine and the formal by bringing together the casualness of the former and comeliness and propriety of the latter; i.e. daily routine and its attributes took on the function of emotional self-expression, which until then represented the monopoly of Soviet ideology and high art.

In Georgia of the 1990'ies visual language of dress has its own system of attributes and characteristic features. On the one hand, it is traditional, rooted in the past, influenced by soviet culture which was still very much alive in Georgia of the 1990'ies. On the other hand, it is modern, originating from the influence of advanced technologies. The former is abundant in clich?s and stereotypes and tends to resist changes. The latter quickly responds to updates in technology, art, science and fashion. In other words, dress style in the 1990'ies represents a peculiar social code transmitting information from the past into the future.

One could argue that in the 1990'ies there formed a peculiar post-Soviet dress culture in Georgia. Samples of this culture, abundant in Tbilisi streets, could be described as attempts to combine totally incompatible articles. Such strange mixtures characteristic of the 1990'ies dress culture can probably be explained by supply shortfalls, which strictly limited expressivity of clothes and enabled intensive inflow of cheap Turkish commodities. Tbilissian women look like twins in photos of that period - obviously because there was no diversity of stylistic trends. People mostly wore cheap and tasteless Asian goods and studied foreign magazines and catalogues for any kind of style guidance. Parallel to this, old standards lost their significance and people tended to give us dress styles that were regarded as habitual before. And finally, we believe that the driving force behind all this was the urge to look unique.

In Georgia of the 1990'ies specificity of dress styles showed not only in selection of clothing articles, designs and trends, but also in matching of colors. We should remember that in Soviet fashion color matching was the major stylistic parameter. Other parameters - textures, designs, stylistic integrity, were not regarded as important. Selection or matching of colors was closely connected with the fundamental principle of Soviet-style clothing - unostentatious humbleness. Its characteristic features are expressionless, colorless, casual clothing, neutral colors (grey, semi-chromatic, black, white), the lack of contrasting details or accessories. This tendency can be observed with more or less intensity during the whole Soviet period. In the 1990'ies Georgian women still tended to underestimate bright colors. This element is probably a leftover of the Soviet mentality. On the other hand, prevalence of dark colors in clothing of Georgian women in the 1990'ies can be explained by the dramatic events marking the beginning of that decade.



Looking at photos describing that period, we can also note the specific feature of Soviet clothing, which present-day researchers describe as hermeticity: the clothes should be as closed and unrevealing as possible.

Consequently, the visual material we have collected enables us to conclude that though dress styles of that period show clear sighs of westernization and other global tendencies, clothing of the greater part of the local population in the 1990'ies still retained specific features of the Soviet era. In our opinion, the style of clothing in that period can be described as eclectic as it merged modern trends with Soviet humbleness and thus demonstrated its hybrid nature.





# სოთბის სააუქციონო სახლის ყოველწლიური გამოფენა "გზაჯვარედინზე"

უკვე 2 წელია საქართველო მონაწილეობს ლონდონის სოთბის სააუქციონო სახლის ყოველწლიურ გამოფენებზე “გზაჯვარედინზე”. ეს არის სოთბის ახალი რეგიონალური პროექტი, რომელიც შარშან მოიცავდა კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს, წელს კი წარმოადგენდა თანამედროვე ხელოვნებას სტამბულიდან ქაბულამდე. ბაია გალერეამ სოტბის გამოფენაზე წარმოადგინა გალერეის მხატვრები: ირაკლი ფარჯიანი (2013, 2014,) მერაბ აბრამიშვილი (2013 – 2014), კოტე სულაბერიძე (2013), ვახო ბულაძე (2014). ამავე პროექტის ფარგლებში, 2013 წლის ნოემბერში სოთბიმ წარმოადგინა ახალი აუქციონი, სახელწოდებით “თანამედროვე აღმოსავლეთი”, რომელშიაც მონაწილეობდა მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი “პიანინო”.

სოთბის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო ხელოვნების სივრცეში ახალი რეგიონის შემოყვანას. ამ გამოფენების შედეგად საქართველო მსოფლიო ხელოვნების ბაზრის მონაწილე ხდება.



VAKHO BUGADZE-DERBY 91- ACRYLIC ON SILK, 230x140cm. 2013







IRAKLI PARJIANI
- METAPHYSICAL LANDSCAPE
- OIL ON CANVAS,
158x230cm. 1989

# Sotheby's Auction House annual exhibitions "At the Crossroads"

It has been 2 years since Georgia is participating in London Sotheby's Auction House annual exhibitions "At the Crossroads".

This is Sotheby's new regional project, which covered the Caucasus and Central Asia last year, while this year it represented contemporary art from Istanbul to Kabul.

At this exhibition Baia Gallery presented three painters: Irakli Parjiani (2013, 2014), Merab Abramishvili (2013, 2014), Kote Sulaberidze (2013) and Vakho Bugadze (2014),

Within the framework of this project, in November, 2013, Sotheby's held a new auction titled "Contemporary East", at which Merab Abramishvili's work of art "Piano" was presented.

Sotheby's project envisages the introduction of a new international arts space. Through participating in this exhibition Georgia will able to enter the World Art Market.



MERAB ABRAMISHVILI -PARADISE- TEMPERA ON PLYWOOD, 122x244cm. 1993









დავით ნიკოლაიშვილი სტუდენტებთან ერთად





# სტუდენტობიდან პროფესიონალამდე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტის, არქიტექტურის პროგრამა 2005 წელს ჩამოყალიბდა. ამჟამად, ფაკულტეტზე 80 სტუდენტი სწავლობს. საინჟინრო ფაკულტეტის, არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელია ია კუპატაძე.

არქიტექტურის პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ორ საფეხურს: საბაკალვროს (4 წელი) და მაგისტრატურას (2 წელი).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის არქიტექტურის პროგრამის მიზანია გაზარდოს არქიტექტორების ახალი თაობა, რომლებიც შეძლებენ პროექტირების თანამედროვე ტენდენციების გამოყენებას, ურთიერთთანამშრომლობას სხვა მომიჯნავე პროფესიონალებთან.

არქიტექტურის პროგრამის ფარგლებში განხორციელებლი სამუშაოები:

2012 წლის ზაფხულში, არქიტექტურის პროგრამის ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტებმა მიიღეს პირველი ადგილი კავშირი "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო"-ს, ბფ-საქართველოსა და მისი პარტნიორების ნავთობისა და გაზის საქმიანობაში - დაფინანსებული პროგრამის, "განახლებული ენერგიისა და ენერგოეფექტური პროექტების განსორციელება" - ფარგლებში ჩატარებულ სტუდენტურ კონკურსში. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები (მაგისტრები და ბაკალავრები). ჟიურის წევრებმა ერთხმად მიანიჭეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საინჟინრო ფაკულტეტის, არქიტექტურის პროგრამის სტუდენტებს საუკეთესო პროექტის სტატუსი, რადგან გათვალიწინებული იყო ყველა ის წინაპირობა, რაც კონკურსის ორგანიზატორებს ჰქონდათ მოთხოვნილი.

2012 წლის, აგვისტოს თვეში დაფინანსდა პროექტი IREX მიერ.

შეიქმნა არქიტექტურის პროგრამის სტუდენტებისათვის საკონსულტაციო ცენტრი - Career Advising Centre. 20 სტუდენტმა გაიარა ამ ცენტრში ტრეინინგი. ტრეინინგს აწარმოებს საინჟინრო ფაკულტეტის, არქიტექტურის პროგრამის ორი სტუდენტი, აგრეთვე ფაკულტეტის თანამშრომლები. ამ ცენტრის შექმნაში დაგვეხმარა IREX-ის მიერ მინიჭებული გრანტი (ია კუპატაძე - საპილოტე გრანტი - 1 ეტაპი).

შეიქმნა და დაიბეჭდა არქიტექტურის პროგრამის პირველი და მეორე კურსის სტუდენტების საუკეთესო ნამუშევრების კრებული. ეს კრებული დაურიგდა 20 არსებულ არქიტექტურულ სახელოსნოს; მოხდა არქიტექტურის პროგრამის პრეზენტაცია ამ კომპანიებში; (IREX ის მიერ დაფინანსებული პროექტი - გრანტის 1 ეტაპი).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საინჟინრო ფაკულტეტის არქიტექტურის პროგრამამ მონაწილეობა მიიღო არქიტექტორთა კავშირის მიერ მოწყობილ "არქიტექტორთა საერთაშორისო ყრილობაში". წარდგენილი გახლდათ არქიტეტურის პროგრამა, არსებული მდგომარეობა, სამომავლო გეგმები.

2012 წლის ოქტომბერში მოწვეული გახლდათ კენტ სტეიტ უნივერსიტეტის, არქიტექტურის პროგრამის პროფესორი - ტერი შვარცი. იგი გახლავთ Clevland Urban Design Collaborative ხელმძღვანელი; ქალბატონმა ტერი შვარცმა წაიკითხა ინტენსიური სალექციო კურსი მესამე კურსელთათვის - ქალაქგეგმარების მიმართულებით. აგრეთვე სტუდენტებთან ერთად მან იმუშავა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტზე - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით. კურ-

გიორგი ყიფშიძე



თორნიკე სამხარაძე



სანდრო ლობჟანიძე






ტარიელ მიქაუტაძე


სულხან ტაბატაძე


თამარ ტეხოვა


ნიკა ქსოვრელი

სი განკუთვნილი იყო მე-3 კურსის სტუდენტებისათვის.

ჩატარდა შეხვედრა ცნობილ გერმანულ არქიტექტურულ სახელოსნოთან - Ortner&Ortner Baukunst. ამ პრეზენტაციის შემდეგ დაიგეგმა მუშაობა ადმინისტრაციული ნაწილის მოწესრიგებაში, 2013 წლის გაზაფხულს 6 საუკეთესო სტუდენტი გაამგზავრა საერთაშორისო ვორკშოფზე, რომელსაც ატარებდა Potsdam School of Architecture; ვორკშოფს გაუძღვა Ortner&Ortner Baukunst ჯგუფის წევრი, არქიტექტორი მარკუს პენელი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საინჟინრო ფაკულტეტმა დააფინანსა 2 საუკეთესო სტუდენტის მგზავრობა. იქ ყოფნას კი სრულად უზრუნველყოფდა გერმანული მხარე. საუკეთესო სტუდენტის გამოვლენა მოხდა წინასწარი კონკურსის საშუალებით.

2012-2013 - სტუდენტებმა შეიმუშავეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკურიანში არსებული ბაზის რეკონსტრუქციის პროექტი.

2012-2013 წლის განმავლობაში მოეწყო ხუთი კლაუზურა, საქართველოში არსებული კომპანიების მონაწილეობის დახმარებით.

2013 წელს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საინჟინრო ფაკულტეტის მიერ შედგა სტუდენტური კონკურსი. მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა სტუდენტმა საქართველოს მასშტაბით;

2012, 2013 წელს ფაკულტეტმა მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო პიკნიკში რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ არის ორგანიზებული;

ამჟამად შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან ერთად სტუდენები მუშაობენ ორ საკონკურსო პროექტზე:

- მდგრადი სოციალური საცხოვრისი ურბანულ გარემოში, ქალაქ ბათუმისათვის;
- ქ. ბათუმის წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე „ურეხი" 140 ბინადარზე.

დაგეგმილია: საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, ურთიერთთანამშრომლობა ევროპულ ან ამერიკულ უნივერსიტეტებთან; პროფესიონალების მაქსიმალურად ჩართვა სასწავლო პროცესში; პრეზენტაციები ან სახელონოში არსებული პროექტების გარჩევა; გასვლითი ღონისძიებები; სტაჟირების პროგრამის განვითარება.

წელს უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის არქიტექტურის პროგრამას დაემატა საგანი ინტერიერის დიზაინი.საგნის პედაგოგი გახლავთ არქიტექტორი დავით ნიკოლაიშვილი. ამ ახალ საგანში შეისწავლება ინტერიერის პროექტირებისას მასში, განათების, მასალის ფერისა და ფაქტურის, ფსიქოლოგიის, ვიზუალური კომუნიკაციების, "მასა-შუქ-ჩრდილი და გამჭვირვალობის", ჰარმონია ინტერიერში, კონსტრუქციების, კომპიუტერული პროგრამების და სხვა მიმართულებები, დამუშავებული თვისობრივად თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის, ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით. საგნის სწავლების თემატიკა შეესაბამება თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს.

შედეგები, პედაგოგის ძალისხმევის, საგნის აქტუალობის და სტუდენტებისგან საგნისადმი დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მეტად საიმედოა. შეიქმნა საინტერესო პროექტები და ფაკულტეტზე ახალი საგნის დაფუძნებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად გადაწყდა ნამუშევრების საჯაროდ გამოფენა.

2014 წლის 27 აპრილს, თბილისში, გალერეაში ART AVENUE გაიხსნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის არქიტექტურის პროგრამის მე-4 კურსის ინტერიერის დიზაინის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა სტუდენტების: ჟანა თაბაგარის, თამარ ტეხოვას, თინათინ ფეიქრიშვილის, თორნიკე სამხარაძის, სანდრო ლობჟანიძის, ტარიელ მიქაუტაძის, ნიკა ქსოვრელის, გურამ მამისაშვილის და სულხან ტაბატაძის პროექტები, რომლებიც, სტუდენტებმა დავით ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით შექმნეს. გამოფენამ საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია. ვუსურვებთ ახალგაზრდებს კვლავ წარმატებებს მომავალში.

გურამი მამისაშვილი



თინათინ ფეიქრიშვილი



ჟანა თაბაგრი





# პროფესიონალური კალეიდოსკოპი



ეს პატარა, მყუდრო სახლი - Art-Cafe HOME - ძველი თბილისის ერთ-ერთ უმშვენიერეს უბანში - ბეთლემის ქუჩაზე მდებარეობს. მისი ინტერიერი მხატვრულად, სახლის მფლობელის და არტ-კაფეს დამფუძნებელის გიორგი კეკელიძის და მისი მეგობრების დახმარებით შეიქმნა; ინტერიერის დიზაინზე მუშაობდნენ მხატვარი თეო ბარამიძე და თიკა ბულბულაშვილი (Slow Pulse Group) და დიზაინერი გივი გვალია, რომელმაც ხელით შექმნა განათების ექსკლუზიური დიზაინი.

ინტერიერში, თემატური სცენარით შინაარსობრივად ღრმა და შთამბეჭდავი კომპოზიციებია წარმოქმნილი, სადაც შიდა კიბით გაერთიანებული საინტერესო სივრცის მთლიანობას მოდულური ელემენტების ერთობლიობა ქმნის. აქ დროის ვიზუალური სტილისტიკისა და კულტურულ-მხატვრული ენის ელემენტებია შეტანილი - დეკორაციები „პატარა ეპოქებია“. თვითმყოფადობის ატმოსფეროს სხვადასხვა საინტერესო საგანი, აქსესუარი და წყნარ ტონალობათა არეალი განსაზღვრავს. ყოველივეს თავისი ალაგი აქვს მიჩენილი და ზუსტად მაშინ ჩნდება პირველ პლანზე, როცა მნახველი მოისურვებს. შედიხარ ამ სამყაროში, სურვილისამებრ ირჩევ მის რომელიმე მონაკვეთს და ებმები თამაშში, სადაც სიტუაციაზე დამკვირვებელიც ხარ და მისი ერთ-ერთი მონაწილეც.

Art-Cafe HOME-ს თვითმყოფადი მოცულობა ორიგინალური ფასადით გამოირჩევა, რომლის ერთ-ერთი კარიდან გიორგი კეკელიძის და მისი მეგობრის ალექსი ფორჩხიძის ბარში - Laboratorium 13 ("Lab 13") -ში ხვდები. ამ უმყუდროვეს და ძალიან „ტფილ“ გარემოში ყურადღებას იპყრობს ლუკა ელოშვილის სტრინგ-არტი. Lab 13-ის დიზაინში გათვლილია ყოველი თითქოს შემთხვევითი დეტალი და ნიუანსი. ფორმით, ფერითა და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულია სივრცით გადაწყვეტასთან, რომელიც არქიტექტურული, მხატვრული ავანგარდისა და ინტელექტუალურობის აურითაა გაჟღენთილი.

ძალიან მალე Art-Cafe HOME-ს (სარდაფის დონეზე) შეემატება Grand Zero - პატარა კლუბი, რომლის ინტერიერი გიორგი კეკელიძის, თეო ბარამიძის, თამუნა წახნაკიას (TAm Oonz) დიზაინით იქმნება.

ასევე, ძალიან მალე, Art-Cafe HOME-ის სახურავზე მოეწყობა ღია ტერასა - კიდევ ერთი არაჩვეულებრივი, ძველი თბილისის ხედებით, თავბრუსდამხვევი ადგილი.

ეს, რასაკვირველია, პროფესიონალური კალეიდოსკოპია, მაგრამ ახლებურად, ვირტუოზულად გამოიყურება და უკვე არსებულთან თავისი არამსგავსებით, არტ-გურმანების წარმოსახვას იპყრობს. Art-Cafe HOME-ის დიზაინი - ავანგარდისტული ეკლექტიკაა, რომელიც მეტად საინტერესო ინტერიერში სავსებით წარმოუდგენელი „მღელვარე“ იმიჯების მოდელირების საშუალებას იძლევა.

ფოტო - ნიკა ფანიაშვილი





# Professional Kaleidoscope





Interior of this little cozy house - Art-Cafe HOME - located in Betlemi street, in one of the most spectacular districts of Old Tbilisi, was designed by art-caf? founder and house owner Giorgi Kekelidze and his friends, artists Teo Baramidze and Tika Bulbulashvili (Slow Pulse Group) and designer Givi Gvalia, who created exclusive light fixtures for this project.

The interior consists of deep and impressive compositions united under a thematic scenario. In the space integrated by an internal staircase, modular elements single out segments with visual stylistics and cultural signs representing different historical periods. Micro-environment in each of them is highlighted by relevant objects, accessories and colors. Visitors are enabled to select any part of this imaginary past and engage in role-playing, offered by interior designers.



Art-Caf? HOME has an unusual fa?ade, which opens one of its doors into Giorgi Kekelidze's and his friend's Alex Porchkhidze's bar Laboratorium 13 (Lab 13). This cozy and comfortable place will surprise you with a display of Luka Eloshvili's string art. In the interior of Lab 13 all seemingly occasional details are carefully considered. Form, color and information-filled decorations harmonize with the general design concept, which is saturated with the aura of architectural and artistic underground and intellectualism.

The basement floor of Art-Caf? HOME is going to open a small club Grand Zero with interior design developed by Giorgi Kekelidze, Teo Baramidze and Tamuna Tsakhnakia (Tam Oonz). The roof of Art-Caf? HOME is being transformed into a terrace offering fascinating vistas of old Tbilisi.

This professional kaleidoscope looks surprisingly innovative and ingenious, spurring the imagination of art gourmands with its difference from all they know and are used to. The point is that Giorgi Kekelidze's design represents underground eclectics, which enables him to create unthinkable, exciting images in an unusual interior.

PHOTO BY NIKA PANIASHVILI





# იდეიდან - კონკრეტულ მატერიამდე







თბილისში მცხეთის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ინტერიერის (160კვ.მ) ავტორები, არქიტექტორები - მაია მესხი და ირაკლი ჩხუბიანიშვილი არიან.

საცხოვრებელი სივრცის თანამედროვე გარემო გამომხატველობით გამოირჩევა და არაორდინალურად ტრანსფორმირდება რეალობაში. მთლიანი სივრცე შესაბამის კომფორტულ ზონებადაა დაყოფილი - საერთო ოთახი, სამზარეულო, მყუდრო ულამაზესი საძინებლები...

სივრცის დახვეწილი არქიტექტონიკა, ლამაზი ფურნიტურითა და ფრაგმენტებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებულად მომხიბვლელია. აქ, ყოველივე მრავალმხრივია და იდეიდან - მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიადაა გარდაქმნილი. დეტალები, დიზაინში მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. საინტერესო მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის წყნარი ტონებითაა აქცენტირებული. აქ განტვირთვისთვის მშვიდი გარემოა შექმნილი.









# From idea to specific materia

Interior of this residential (on Mtskheta street in Tbilisi) has been designed by Maia Meskhi and Irakli Chkhubianishvili.

Space of the Residential boasts a special, modern and exclusive atmosphere, transforming the reality in a unique way. The interior is divided into several functional zones. Refined architectonics, fashionable furniture, subtle design touches and tasteful matching of white background with subdued color accents make this interior expressive, charming and diverse in spite of its functionality.



















# ფუნქციურობა და კომფორტი



წარმოდგენილი ინტერიერი თბილისის პრესტიჟული უბნის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ბოლო, მეშვიდე სართულზე მდებარე ბინაა. მყუდრო ნათელი სივრცე, რომელიც არქიტექტორის ალეკო კორკოტაშვილის დიზაინით შეიქმნა, მფლობელთა ცხოვრების სტილისა და შესაბამისი კომფორტის გარანტია. ინტერიერის კომპოზიციის ცენტრი, მთლიანი ღერძი, ჰოლის, სასტუმროს, სასადილო და სამზარეულო ზონების ორგანიზაცია, მათი „მოძრაობის“ ხაზის დინამიკა და საერთოდ საცხოვრებლის ერთიანი ატმოსფერო თავისუფლების შეგრძნებითაა სავსე. დღისით სამყოფ სივრცის მონაკვეთებში ეკოდეკორია გამოყენებული. საინტერესო დეკორატიული ნიუანსები საცხოვრებელს გამჭვირვალეს და ვიზუალურად კიდევ უფრო ვრცელს ხდის.

იდეის გარეგნული, მოჩვენებითი სიმარტივე გააზრებულ ფუნქციონალიზმთან და კომფორტთანაა შერწყმული. რაც ძალზე მოსახერხებელია ინტერიერის შემდგომი გარდასახვისთვის., რადგან გონივრული დიზაინი, პრაქტიკულად, ნებისმიერ დეკორატიულ დეტალს „ითვისებს“. დროთა განმავლობაში კი ეს დეტლები, სხვადასხვა აქსესუარები „გროვდება“ და საკუთარი, განსაზღვრული ადგილის დაკავებით, ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს და ამით განუმეორებელი საცხოვრებლის ატმოსფეროს ქმნის.





# Functionality and comfort

Architect Aleko Korkotashvili now has made one of the apartment in a so-called top-notch high rise building in one of the fashionable districts of Tbilisi. A comfortable sunlit space fully corresponds to the life-style of its owners. Geographic and aesthetic centers of its composition, correlation of functional areas and atmosphere of the living space on the whole are saturated with the sense of freedom and simplicity. The apartment looks transparent and spacious and defies any attemps to enclose it into any fixed frames.







# ინდივიდუალური სახლის ინტერიერი

Nomos Architects - სტუდია 2013 წლის აპრილში დაარსდა თბილისში, თამარ ქინქლაძისა და გიორგი ზაუტაშვილის მიერ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის შემდეგ, 8 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და მუშაობდნენ ბერლინში. ბერლინის ხელოვნებათა უნივერსიტეტში სწავლის პრალელურად მუშაობდნენ სხვადასხვა არქიექტურულ ბიუროებში. თბილისში დაბრუნების შემდეგ, სტუდიის დაარსების პარალელურად თამარმა და გიორგიმ დაიწყეს მუშაობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არიან არქიტექტურის მიმართულების ასოცირებული პროფესორები.

სტუდია მუშაობს, როგორც არქიტექტურაზე ასევე ინტერიერის დიზაინზე და მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანულ არქიტექტურულ ბიურო - Ellis Williams Architects-თან - რიგ პროექტებზე საქართველოში.



წარმოგიდგენთ თამარ ქინქლაძისა და გიორგი ზაუტაშვილის პროექტით, ახლახანს განხორციელებულ ნამუშევარს - ინდივიდუალური ორ სართულიანი სახლის ინტერიერის დიზაინს, „ლისი ვერანდას" კომპლექსში. აქ, ფუნქციურად ორგანიზებული დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, განსაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. ინტერიერის, პრაქტიკულად, მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კიბის მოაჯირი, ბუხარი, თაროები, ავეჯი აბაზანებში და კაბინეტში - nomos Architectsis დიზაინით არის შესრულებული. სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება. ინტერიერში თანამედროვე ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა, თბილი ტონალობა და ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს. შემოსასვლელში, სველ წერტილებსა და სამზარეულოში იატაკებზე გამოყენებულია marazzi-ის ქვები, ბეტონის ფაქტურით. კედლები გადაწყვეტილია მინიმალური დეკორით. ხოლო სველ წერტილებში კედლები და ავეჯი, მათი თბილი დეკორით მოპირკეთების მიზნით, გადაწყვეტილია ხეში და marazzi-ის ქვებით - ხის ფაქტურით. აქცენტები ძირითადად გაკეთებული არის განათებებზე და ავეჯზე (ტექნიკური განათება - Delta light; ჭაღები დიდი ოთახში - Mooi; ავეჯი - Pianka, Calligaris).

ფოტო - ნინო ლეგაშვილი















# კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე

ყაზბეგის გამზირზე მდებარე, გია გვარამიას ესტეტიკური ქირურგიის ცენტრის საზოგადოებრივმა ინტერიერმა, არქიტექტორ ალეკო კორკოტაშვილის იდეით, „კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე“ შეიძინა. ამ სივრცის დიზაინი თავიდანვე, რამდენიმე წლის წინაც, ბატონი ალეკოს პროექტით შეიქმნა. ესთეტიური ცენტრის ინტერიერი არაორდინალური გადაწყვეტით გამოირჩეოდა, თუმცა, კომფორტული, მაგრამ შეჩვეული გარემოს გადახალისების მიზნით, ცენტრის მესვეურებმა მისი გარდასახვა მოისურვეს და ამისათვის, კვლავ, ინტერიერის პროექტის ავტორს მიმართეს.

მალე, ავტორის ძალისხმევით საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთჰარმონიულობით, ერთ მთლიან, ნათელ, ცოცხალ ორგანიზმად გარდაიქმნა. მისი მონაკვეთების, ცალკეული დეკორატიული ელემენტების და აქსესუარების უცხო სინქრონი, ბუნებრივი და ხელოვნური განათების (დიოდური განათება ჭერზე) სრულად ათვისებისა და სივრცეებში მაქსიმალურად მიმობნევის საშუალებას იძლევა.

ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებით, ხაზების, ფერის და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფრენებითაა მიღწეული.








# თითოეული მატერია შესაძლებელია იყოს ხედვის საშუალება ხელოვნებაში...

## Ogni materiale può essere un modo per guardare nell’arte...

**L’ARTE DEL CAFFÈ**

„è da una tazzina caduta accidentalmente sulle pagine di un libro che è nata la mia arte“

### მელანია ტოცი

*- ... ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, როდესაც ჩემმა ყავის ფინჯანმა გადაწყვიტა მიმართულება შეეცვალა და მთლიანად გადმოღვრილიყო გაზეთზე. სტატიაზე რომელსაც ვკითხულობდი, ლამაზი ეფექტური ლაქა წარმოიქმნა... და მალე ჩემი ემოციების გამოსახატავად ამ არაჩვეულებრივი, ორგანული საღებავის გამოყენება დავიწყე ...”*

ბუნებრივი ყავის საღებავი შეიძლება აკვარელს შეედაროს. განსხვავებული წყლის პროცენტულობა კი სხვადასხვა ინტენსივობის ყავისფერს გვაძლევს.





კარგად გაზავებულ ბაზას ყავით უფრო და უფრო მეტი კონცენტრირებული ფენები ემატება. ამ ტექნიკით, სხვადასხვა სიღრმესა და ფერებში, სახეები თუ პეიზაჟები იქმნება, მაგრამ ტექნიკა, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს მელანიას, არის შემთხვევითი - იგი ქაღალდზე ღვრის თითქმის სავსე ყავის ფინჯანს და ყავის ნაკადის მოძრაობ-

ას აკვირდება. ქაღალდის ბოჭკოები ყავის სურნელით იჟღინთება, ნამუშევარი სასიამოვნოდ არაადეკვატურ თვისებას იძენს, საბოლო ჯამში კი მნახველს მრავალმნიშვნელოვანი ემოცია უჩნდება - მელანიას ნამუშევრებს ტრადიციულისგან უნიკალური არომატის განცდა განასხვავებს.

მელანია ტოცი არის მხატვარი, ხელოვანი, რომელიც არაერთ მასალაზე მუშაობს. მან, უკვე დიდი მოწონება დაიმსახურა ბერლინში, ხელოვნების გალერეა Taxeles-ში გამოფენაზე, მოაწყო პერსონალური გამოფენები და მონაწილეობა მიიღო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალზე სადაც, ასევე წარმატებები ხვდა წილად.

*- ყოველთვის მიზიდავდა ყავა - მაღალი დონის ენერგეტიკული სასმელი, რომელიც, დღემდე, განსხვავებული მომზადების წესითა და მიღების რიტუალით, მსოფლიოს ბევრ კულტურაშია დამკვიდრებული.*

*ჩვენი დღევანდელობა ინდივიდის კრიზისს წარმოშობს - ადამიანი ტექნოლოგიების უფსკრულში იძირება, რომელიც მას ხდის მხოლოდ არასანდოს ...*

*ადამიანმა ემოციებით, საკუთარი შესაძლებლობებისა და გრძნობების უფრო ძლიერი აღქმით ბუნებასთან კონტაქტი უნდა დაიბრუნოს.*

*ამ კონცეფციიდან გამომდინარე, მე მომწონს, როდესაც მეორადი, ერთი შეხედვით, ცივი მასალების გამოყენებით იქმნება ძლიერი კონტრასტი თბილთან და ჰარმონიულთან - ბოჭკოებთან და ბუნებრივ მასალებთან, - მელანია ტოცი.*







# In art, everything can serve as a way to see...

**OGNI MATERIALE PUÒ ESSERE UN MODO PER GUARDARE NELL'ARTE...**





**L'ARTE DEL CAFFÈ**

**„è da una tazzina caduta accidentalmente sulle pagine di un libro che è nata la mia arte"**

**MELANIA TOZZI**

*- ... everything began one day with my coffee cup deciding to change the direction and spill over a newspaper. On top of the article I was reading a nice, impressive spot formed ...... and I soon started to use this unusual 100% organic dye to express my emotions.....*

Melania Tozzi unleashes her fantasy by creating artistic combinations of recycled materials. She strives to enchant people by presenting mixtures of materials capable of expressing complex emotions.

Coffee beans, pages from old books, pieces of porcelain come together in Melania's clear-cut compositions, which emit the impression of coffee aroma and human warmth.

Shapes and images created by the artist are a fair representation of her imagination and experience, born in brilliant interpretations and proportioned strokes as a result of inspiration received from studying metaphysical and versatile works of classical, cubist and surrealist artists.

Organic coffee dye might be compared to aquarelle; variation of water percentage results in different intensity of brown.

A very dilute foundation is followed by increasingly concentrated layers of coffee. By applying this technique and varying depth and intensity of color it is possible to paint faces and landscapes. But the technique Melania likes most is randomness – she simply spills a cup of coffee over a sheet of paper and contemplates the flow. Paper fibers get saturated with coffee flavor and acquire pleasant and unusual features, finally evoking extraordinary, multi-sensorial emotions in onlookers – coffee flavor is what makes Melania's works so different from traditional art.










Melania Tozzi is an artist who works with diverse materials. She got very popular in Berlin as a result of participation in Tacheles Art Gallery exhibition, organizing of several personal exhibition and successful involvement in contemporary art festival.

*- I was fascinated by coffee – high energy drink, which still retains different brewing methods, tastes and drinking traditions in many cultures around the world.*

*Our present lifestyle gives rise to personality crisis - we sink in the abyss of technologies that make us unreliable in the long run....*

*We should reestablish contact with nature through stronger emotions and awareness of our capabilities and senses.*

*Based on this concept, I enjoy using recycled, seemingly odorless and cold materials to create strong contrast with warm and harmonious natural materials, - Melania Tozzi.*










# SKIA 2014 - ღია არქიტექტურული კონკურსი

ბაკურიანმა არქიტექტორ მოთხილამურეთა ტრადიციულ შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი – “SKIA” . საინფორმაციო მხარდამჭერი - ჟურნალი “სტილი”.

შეხვედრას საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მასში ქართველ სტუდენტებთან და პედაგოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის და სომხეთის წარმომადგენლებმა. არქიტექტორთა წლევანდელ შეხვედრას უაღრესად თბილი მასპინძლობა გაუწიეს ბაკურიანის სასტუმრო “თრიალეთის” მესვეურებმა.

2013 წლის მიწურულს გამოცხადდა ღია არქიტექტურული კონკურსი, მოთხილამურე არქიტექტორთათვის, **„საქართველოს მთიან რეგიონში სასტუმროს ტიპის ხის სახლის“** პროექტზე. კონკურსის ორგანიზატორები: **საქართველოს არქიტექტორთა კავშირი; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი „SKIA“; შპს „ვუდ სერვისი“.**

2014 წლის 6-9 თებერვალს, საკ-თან არსებული მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბის (SKIA) ყოველწლიური შეკრება-სემინარის „ბაკურიანი-2014“-ის ფარგლებში, შეჯამდა არქიტექტურული კონკურსის შედეგები.

საერთაშორისო ჟიურიმ ,რომლის თავმჯდომარე იყო **სომხეთის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ბადალიანი,** განიხილა კონკურსზე წარმოდგენილი მასალა და გამოავლინა გამარჯვე-















ბულები. კერძოდ, ხმათა უმრავლესობით ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება გაეცა ორი თანაბარი ფულადი პრემია თითო - 1000 ლარის ოდენობით. ეს პრემიები დაიმსახურეს პროექტებმა დევიზით 194509 და 151626.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც 2014 წლის 8 თებერვალს გაიმართა სასტუმრო „თრიალეთი“-ს სააქტო დარბაზში, ჟიურის თავმჯდომარემ საჯაროდ გახსნა დალუქული კონვერტები და ამცნო დამსწრე საზოგადოებას გამარჯვებულთა ვინაობა. კონკურსის გამარჯვებულები არიან: **ლუკა ჩაგანავა, ნინი ჭანტურია; რობინზონ გეთიაშვილი.**




არქიტექტორთა ტრადიციული შეკრების თანმდევი იყო სამთომოთხილამურეთა შეჯიბრი გიგანტურ სლალომში, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში გაიმართა.

სპორტული მიღწევების გარდა ორგანიზატორებმა შეხვედრის მონაწილეები მრავალი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ არქიტექტორი ქალბატონები კომპანია Voulezvous-გან. არქიტექტორ მოთხილამურეებს პრიზები და საჩუქრები გადაეცათ სხვა სპონსორი კომპანიებისგან.

ალსანიშნავია ჟურნალ “სტილის” მიერ დაწესებული პრიზი – ჟურნალი „სტილის“ ახალი ნომრები და წიგნი „ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სტრუქტურა“ (ავტორი: ჰამლეტ მოსულიშვილი), რომელიც არქიტექტურულ კონკურსში და სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულ არქიტექტორებს გადაეცად.










# The Cells













On March 21, 2014 at 7pm Gala Gallery invited the visitors to the opening of Kote Jincharadze's personal exhibition The Cells. During the exhibition public will have an opportunity to see 14 new works. This is the first exhibition of the artist to present his paintings only. New compositions are composed of squares, which from their side form the cells. Unity of cells establishes a net, a net creates a construction.

Cell is an elementary unit found in every living organism and serving as part of its viability. There is no life, functioning, reproduction or development without a cell.

Cells form a system of interconnected elements.

Each cell, which is part of the system, creates around itself a comfortable envelope in order to protect itself from the chaos. Each cell gets its name, finds its place in the common coordinate system, time and space of the today's world. Cell is a constrained space.

Each canvas represents the construction, that is dedicated to a different topic. Every cell displays an image that corresponds to independent visual signs and codes.

Today important facts or events are delivered to the audience through electronic digital channels. New and immediate dynamic operates in an interactive mode where intense flow of information fills and conquers human psycho-neurological system through kaleidoscopic exchange. In parallel, digital technologies exercise total control on private relationships of the society.

Presented works and the use of the 2D design for the suggested platitude emphasize ironic, absurd and superficial character, intensity of modern kaleidoscopic offers, a homogeneity where the space, depth, perspective, layers are obsolete and construction, squares, cells try to protect themselves from existing chaos through creation of a specific visual order.

Separate works use different scale for description of a colorful background that is associated with the relevant topic. Every square contains sharp graphic signs, contrasting figures, silhouettes, inscriptions and the names, which all contribute to the creation of the united regulated game boards. The viewers can only formally consider these images to be named paintings.

# უჯრედები

გალა გალერეაში 2014 წლის 21 მარტს გაიხსნა კოტე ჯინჭარაძის პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით – „უჯრედები". გამოიფინა მხატვრის 14 ახალი ნამუშევარი. ეს კოტე ჯინჭარაძის პირველი გამოფენაა, რომელშიც მხოლოდ ფერწერული ტილოებია წარმოდგენილი.

ახალი კომპოზიციები შედგება კვადრატებისგან, კვადრატები ქმნიან უჯრედებს, უჯრედების ერთობლიობა ქმნის ბადეს, ბადე ქმნის კონსტრუქციას. უჯრედი არის ყოველი ცოცხალი ორგანიზმის და მისი სიცოცხლისუნარიანობის აგებულების ელემენტარული ერთეული. უჯრედის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე, ფუნქციონირება, გამრავლება და განვითარება. უჯრედები ქმნიან სისტემას, რომლის შემადგენლობაშიც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა იყრის თავს. სისტემაში მყოფი ყოველი უჯრედი იქმნის კომფორტულ გარსს, რომლითაც იგი თავს იცავს ქაოსისაგან. აქ ყოველი უჯრა საკუთარ სახელს იღებს, იჭერს საკუთარ ადგილს ერთიან კოორდინატთა სისტემაში, თანამედროვე სამყაროს ერთიან დროსა და სივრცეში.

უჯრედი შემოსაზღვრული სივრცეა.

ყოველი ტილო წარმოადგენს სხვადასხვა თემაზე შექმნილ კონსტრუქციას, სადაც ყოველი უჯრედი გადმოცემს დამოუკიდებელი ვიზუალური ნიშნებისა და კოდების შესაბამის გამოსახულებებს.

დღევანდელ სამყაროში ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა საზოგადოებას მიეწოდება ელექტრონული ციფრული საინფორმაციო საშუალებებით, სწრაფად და მყისიერად. ახალი დინამიკა ინტერაქტიულ რეჟიმში, ინფორმაციის ასეთი ინტენსიური ნაკადი კალეიდოსკოპური მონაცვლეობით ავსებს და მოიცავს ადამიანების ფსიქო-ნერვულ სისტემებს, პარალელურად ციფრული ტექნოლოგიები ახდენენ ტოტალურ კონტროლს საზოგადოების პირად კერძო ურთიერთობებზე.

ამ ნამუშევრებში 2D განზომილება, როგორც შემოთავაზებული სიბრტყის დიზაინი, ხაზს უსვამს ირონიას, აბსურდულობას, ზედაპირულობაზე, თანამედროვე კალეიდოსკოპური შემოთავაზებების ინტენსივობაზე, ერთგვაროვნებაზე. სადაც სივრცეს, სიღრმეს, პერსპექტივს, შრეებს აღარ აქვთ ადგილი, სადაც კონსტრუქცია, კვადრატები, უჯრედები გარკვეულ ვიზუალურ მოწესრიგებით თავს იცავს ქაოსისაგან.

ცალკეული ნამუშევრები განსხვავებული გამით ასახავენ თემისგან გამომდინარე ასოციურად მისადაგებულ ფერადოვან ფონს. ყოველ კვადრატში გამოსახული მკვეთრად აქცენტირებული გრაფიკული ნიშნები, კონტრასტული ფიგურები, სილუეტები, იმიჯები, წარწერები და დასახელებები ქმნიან ერთიან მოწესრიგებული თამაშის დაფებს. სტენდებს, რომლებიც ფორმალურადღა თუ აფიქრებს მნახველს დაარქვას მას ფერწერა.























# "ფერადი სიზმრები - 20 წლის შემდეგ"

პერსონალური გამოფენა







# Colorful Dreams 20 years after

PERSONAL EXHIBITION

2014 წლის 19 მარტს, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ანა ლაღიძის პერსონალური გამოფენა, რომელიც 26 მარტამდე გაგრძელდა.

გამოფენის მხარდამჭერი:

საქართველოს მხატვართა კავშირი;

მხატვარ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია - „Femin & Art“

საინფორმაციო მხარდამჭერი: ჟურნალი „სტილი“

დაახლოებით, ოცი წლის წინ - 1997 წელს - თბილისში, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში (ე.წ. „ცისფერ გალერეაში“) გაიმართა და-ძმა ანა და ვანო ლაღიძეების პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით „ფერადი სიზმრები“. გამოფენაზე წარმოდგენილმა ექსპოზიციამ, რომელიც გალერეის მთელ საგამოფენო სივრცეს ავსებდა, მაშინ, დამთვალიერებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და სხვადასხვა მედია საშუალებებით ვრცლად იქნა გაშუქებული.

მას შემდეგ, თითქმის ოცი წელიწადია, ანა ლაღიძე, განუწყვეტლივ მუშაობს თავისუფალ სტილში. იგი მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი გამოფენის მონაწილეა. თუმცა, წელს, ანა, პერსონალურად წარუდგა საზოგადოებას ექსპოზიციით - „ფერადი სიზმრები 20 წლის შემდეგ“. ამჯერად, ანა ლაღიძის „ფერწერული“ თუ „გრაფიკული“ კომპოზიციები - ფერადი თექისგან და სხვადასხვა სახის თუ ფაქტურის ქსოვილებისგან არის შექმნილი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ასადმე ნამუშევარი.

March 9 2014 at the National Library of Georgia opened Ana Lagidze's personal exhibition  Colorful Dreams 20 years after". On the exposition were exhibited about a hundred works - Felt and quilt.The exhibition continues until March 26.





# ჟურნალი „სტილის” 48-ე ნომრის პრეზენტაცია




2014 წლის 17 თებერვალს, 17:00 საათზე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, ,,საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ მიერ გაიმართა ჟურნალი ,,სტილის“ 48-ე ნომრის პრეზენტაცია.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა ასოციაციის ახალი პარტნიორი კომპანიის ,,ჯეოსტილის“ პრეზენტაცია. კომპანიის წარმომადგენელმა გააცნო არქიტექტორებს მათ მიერ საქართველოში დამზადებული პროდუქცია და სამომავლო გეგმები.

ამის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას თავისი შემოქმედება გააცნო იტალიელმა არქიტექტორმა - ანდრეა ვიგანომ. არქიტექტორი ქართველ პროფესიონალებთან და კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობითაა დაინტერესებული.

,,სტილის“ ამ ნომერში შესაძლებლობა გეძლევათ გაეცნოთ იტალიელი არქიტექტორის შემოქმედებით ფრაგმენტებს.

გარდა ამისა პრეზენტაციაზე ასოციაციის მესვეურებმა, მოწვეულ არქიტექტორებთან ერთად განიხილეს ახალი, მორიგი წიგნის - ,,საქართველოს თანამედროვე არქიტექტურა“ გამოცემისთვის საჭირო პროცედურები არქიტექტურის III საერთაშორისო ფესტივალის ჩასატარებლად წინასაორგანიზაციო საკითხები.

ჟურნალი ,,სტილის“ 49-ე ნომრის პრეზენტაცია ჩატარდება 15 მაისს, 11:00 საათზე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში.











რადიო კომპანია "ფორტუნა"

წარმოგიდგენთ მუსიკალური დაჯილდოვების ცერემონიალს

ოქროს ბალლე

# STYLE

სარეკლამო კომპანია



ქ. თბილისი შარტავას ქ. 35/37
style_inbox@mail.ru
2 37 52 97
577 44 86 00